# საქართველოს ქალი

ეროვნული ბიბლიოთეკა
12
645/2
2006



2006
№ 3-4



ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა




– სიკეთეს ეძებ? ყოველნაირი სიკეთე მე მაქვს!
– ნეტარება გინდა? ყველა ნეტარება მე გამაჩნია!
– სილამაზე გინდა? ვინ არის ჩემზე ლამაზი!
– ღირსება გსურს? ვინ არის ღვთის ძეზე და
მარად ქალწულის ძეზე ღირსეული?
– სიმაღლე გინდა? ვინ არის სასუფევლის
უფალზე მაღალი?
– დიდება გსურს? ვის აქვს ჩემზე მეტი დიდება?
– სიმდიდრეს ეძებ? მე მაქვს ყოველნაირი სიმდიდრე.
– სიბრძნე გინდა? მე ვარ სიბრძნე ღვთისა.

# ნომერშია:


ნომრის სტუმარი –
ფიქრია ჩიხრაძე . . . . . . . . . . . . . . . . 2 გვ.
ქართველ-ებრაელ ქალთა საზოგადოება . . . . . . 4 გვ.
ილოცე, მამაო, ჩვენი შვილებისათვის . . . . . . 6 გვ.
საუკუნის ადამიანები –
ვახტანგ ჭაბუკიანი. . . . . . . . . . . . . . . . 8 გვ.
ერთი ეპიზოდი კონსტანტინე გამსახურდიას
ცხოვრებიდან . . . . . . . . . . . . . . . . . . . 11 გვ.
„თითების ავანტიურა“. . . . . . . . . . . . . . . 12 გვ.
ქართული ენის გუთნისდედა –
ვახტანგ კოტეტიშვილი. . . . . . . . . . . . . . 14 გვ.
ოჯახი მხოლოდ სიყვარული როდია . . . . . . . 16 გვ.
სცენის მიღმა –
ეკა ანდრონიკაშვილი . . . . . . . . . . . . . . 18 გვ.
გვარიშვილობა –
წერეთლები . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 20 გვ.
პროზა –
ნარგიზა მგელაძე . . . . . . . . . . . . . . . . 22 გვ.
პოეზია –
ქეთევან კვიციანაძე . . . . . . . . . . . . . . . 23 გვ.
სიტყვის ოსტატი –
ტიციან ტაბიძე . . . . . . . . . . . . . . . . . 24 გვ.
იბეჭდება პირველად –
გიორგი კობახიძე . . . . . . . . . . . . . . . . 32 გვ.
როგორ ავარიდოთ ბავშვი მრუდე გზას. . . . . . 34 გვ.
რუსული ესტრადის ქართველი ვარსკვლავი. . . . 35 გვ.
სილამაზის გაკვეთილები, კულინარია . . . . . . 40 გვ.



ჟურნალი
ქალებისათვის

მთავარი რედაქტორი
მარინე ნაკაიძე



სარედაქციო კოლეგია: მარიკა ბარათაშვილი, ნინო ჯავახიშვილი, ნანა ბაგრატიონ-დავითაშვილი, ნანული ბუკია, ნაზი თარგამაძე, მანანა იმესაშვილი, ლია კაკაბაძე, ცინარა ტერელაძე (მხატვარი რედაქტორი), ირმა ჩოფიკაშვილი.

პაატა მამფორია (კომპიუტერული უზრუნველყოფა)



გარეკანის პირველ გვერდზე მსახიობი ეკა ანდრონიკაშვილი
მეოთხეზე – თითების თეატრის „მსახიობები“

რედაქციის მისამართი: 0108, ქ. თბილისი, მ. კოსტავას ქ.№14. Vსართ. ტელეფონი: 99-98-71

რეგისტრაციის №06/4 – 897 ჟურნალი გამოდის 1923 წლიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „ზომაზე მეტად ემოციური ადამიანი ვარ...“

**ქართველ პოლიტიკოს მანდილოსანთა საკმაოდ წარმომადგენლობით გალერეაში ფიქრია ჩიხრაძე, ალბათ, ერთადერთი ქალბატონი გახლავთ, ვინც არასოდეს კარგავს წონასწორობას, ნებისმიერ სიტუაციაში შესაშური სიმშვიდითა და აუღელვებლობით გამოირჩევა, მისი დამაჯერებელი საუბარი კი, გაღიზიანების ნაცვლად, საოცარ რწმენასა და იმედს ბადებს ადამიანში. თუმცა ასეთიც უნდა იყოს ნამდვილი პოლიტიკოსი და ამიტომაც არის, ქ-ნ ფიქრიას საზოგადოების სხვადასხვა ფენაში უამრავი თაყვანისმცემელი და დამფასებელი რომ ჰყავს.**



**– ქ-ნო ფიქრია, როგორც ვიცი, სტუდენტობიდან დისიდენტური მოძრაობის აქტიური წევრი ბრძანდებოდით. როგორ დაიწყო თქვენი პოლიტიკური კარიერა და სად მოღვაწეობდით პარლამენტში მოსვლამდე?**

– განათლებით ფილოლოგი ვარ და როდესაც უნივერსიტეტში ვაბარებდი, ვიცოდი, ადრე თუ გვიან, ამ გზით მომიწევდა სიარული. იმ ხანებში უნივერსიტეტი ეროვნული ცხოვრების სერიოზულ კერას წარმოადგენდა, სადაც უამრავი საოცარი ადამიანი მოღვაწეობდა და ბავშვებიც, რომ იტყვიან, პირდაპირ ოაზისში, ეროვნული მოძრაობის ავანგარდში აღმოვჩნდით. დროც დაემთხვა და ჩვენი ჯგუფი: დათო ტურაშვილი, ნიკო ნიკოლოზიშვილი, თედო ისაკაძე, ბარბარე გრიგალაშვილი, ნანა ბოკუჩავა, ნინო ბარძიმიშვილი, დღეს ძეგვის ბავშვთა სახლის მფარველი დედა ემილია, მაია მელიქიძე – საკმაოდ პოპულარული გახდა საზოგადოებისათვის, თუმცა კი, რადგანაც იმ ხანებში ტელევიზიით აკრძალული ხალხისა და თემების ჩვენება არ შეიძლებოდა, ეს პოპულარობა ზეპირი გადმოცემით იყო გამოწვეული.

მოგვიანებით ჯგუფი უნივერსიტეტის პრეს-კლუბად ჩამოყალიბდა, რომელიც ძალიან საინტერესო სტუდენტურ ფურცლებს გამოსცემდა. შემდგომ ჟურნალისტურ საქმიანობაზე გადავერთეთ, ტელევიზიაში პოლიტიკური გადაცემა „რეიტინგის“ მთელი ციკლი მოვაწყვეთ, სადაც პოლიტიკურ ძალებს შორის პირველი დებატები გავმართეთ. დავაარსეთ გაზეთი „ივერია-ექსპრესი“, რომელიც იმ ხანებში პირველი ყოველდღიური დამოუკიდებელი გამოცემა და რამდენიმე წლის მანძილზე ძალიან პოპულარული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი იყო.

ჩემს ცხოვრებაში არსებობდა საზოგადოებრივი ორგანიზაცია „პოლიტიკური კლუბიც“, რომელიც ძირითადად ყოფილი პრეს-კლუბელებისა და საზოგადოების სხვა, პოლიტიკურად ცნობილი სახეებისგან შედგებოდა. ძალიან მწვავე პერიოდის მიუხედავად (გახსოვთ, ალბათ, ტერაქტების სერია), „პოლიტიკურმა კლუბმა“ მეტნაკლებად დემოკრატიული ღირებულებების მქონე პოლიტიკურ ძალებს შორის მაინც მოახერხა დიალოგის გამართვა, რათა ხელისუფლება იმ ხანებში სათავეში მყოფი ოდიოზური ფიგურებისაგან გაეთავისუფლებინათ. პოლიტიკური პარტიის წევრი პირველად 1999 წელს გავხდი, როცა ნეოკონსერვატული კავშირი დავაფუძნეთ, 2001 წელს კი ნეოკონსერვატული კავშირი „ახალი მოძრაობა“ და პარლამენტში შექმნილი ახალი ფრაქცია ერთ პოლიტიკურ ძალად – „ახალ მემარჯვენეებად“ გაერთიანდა და მეც მისი წევრი გავხდი.

**– რამდენად ამართლებენ „მემარჯვენეები“ თქვენს იმედებს, რამდენად შეესაბამება ეს პოლიტიკური ძალა თქვენს მსოფლმხედველობასა და მრწამსს?**

– პარტიული არჩევანის გაკეთება ძალიან რთულია, თუ პასუხისმგებლობის გრძნობა აქვს ადამიანს. რაკი სტუდენტური მოძრაობიდან მოვდიოდი, პარტიებს ყოველთვის დისტანციიდან ვუყურებდი და პარტიულობის კომპლექსიც კი მქონდა, თუმცა ჩემი მსოფლმხედველობის, ჩემნაირი მრწამსის ადამიანების გუნდს ყოველთვის ვეძებდი. ძალიან გამიმართლა, რადგან „მემარჯვენეებმა“ სერიოზულ კატაკლიზმებს გაუძლეს.

**– ქალი პოლიტიკაში – რა დადებითი და უარყოფითი მხარეები აქვს მას. ხომ არ გაღიზიანებთ, როცა ქალბატონებს გამორჩეულად, ხაზგასმით გამოყოფენ მამაკაცებისაგან?**

– არა, რატომ, ქალი ხარ და... სულაც არა ვარ მომხრე, რომ ქალი და მამაკაცი აბსოლუტურად ერთნაირად განიხილებოდეს, თუმცა ქალების პარლამენტში ხელოვნურად მომრავლება და კვოტების შემოღება დაუშვებლად და შეურაცხყოფად მიმაჩნია. საქართველოში უამრავი ნიჭიერი ქალია და, ვისაც პოლიტიკაში მუშაობის სურვილი აქვს, არა მგონია, ბარიერი შეექმნას. პოლიტიკოსი ქალები, მცირე გამონაკლისის გარდა, როგორც წესი, უფრო წარმატებულები არიან და განსხვავებული ხედვითაც გამოირჩევიან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემთვის პოლიტიკაში ყოფნა ნამდვილად არ არის იოლი, მაგრამ ასეთივე რთული იყო ყველა სამუშაო, სადაც კი ვყოფილვარ, იქნებოდა ეს სკოლა თუ ჟურნალისტიკა. ყველგან მთელ ჩემს ენერგიას ვდებდი და ვთვლიდი, რომ ჩემს საქმეში ვიხარჯებოდი. დღეს ძალიან დაძაბული რიტმით მიწევს ცხოვრება, მუდამ აქტიურ მდგომარეობაში, ჟურნალისტების წნეხის ქვეშ ვიმყოფები. ჩემთვის არ არსებობს დილა და შუაღამე, ტელეფონი მუდამ ჩართული მაქვს, რადგან ამ დაძაბულ პერიოდში შეიძლება უცებ გავხდე საჭირო.

**– მიუხედავად იმისა, რომ მუდამ მოკამათეს გხედავთ, მაინც ძალიან მშვიდი და გაწონასწორებული ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებთ. ეს თქვენი გარეგნული უშფოთველობა უფრო პოლიტიკური იმიჯია თუ სინამდვილეშიც ასეთი ბრძანდებით. და საერთოდ, როგორ უძლებთ ამდენ შემოტევას?**

– როგორც ჩანს, ეს უფრო ჩემი ბუნებაა, რომელიც, მადლობა ღმერთს, პოლიტიკაში ხანგრძლივად ყოფნამ არ დამიმახინჯა. თუმცაღა, გარეგნული სიმშვიდე სულაც არ ნიშნავს, რომ უემოციო ვარ. შეიძლება ითქვას, ზომაზე მეტად ემოციური ადამიანიც კი ვარ და ეს თვისება გაბრაზებაში, ხმის აწევასა ან ყვირილში კი არა, ხმისა და ხელების კანკალით უფრო გამოიხატება. ვერ ვიტყვი, რომ თითოეული ემოციური შეტევა იოლად გადამაქვს, ბევრჯერ თეთრად მითენებია ღამე, ბრაზი დიდხანს მიმყვება ხოლმე.

**– ქალი მაინც ქალია, თუ ტირით ხოლმე, ქ-ნო ფიქრია?**

– შეიძლება არ დამიჯეროთ, მაგრამ ძალიან მტირალა ვარ. ხშირად დიდ ძალისხმევად მიჯდება ცრემლების შეკავება.

**– ვიცი, რომ ძალიან გამბედავი და მამაცი ქალბატონი ბრძანდებით, ისიც მსმენია, რომ ერთხელ, დიდთოვლობისას, რაჭაში ფეხითაც კი ახვედით...**

– პირველ კურსზე ვიყავი, როცა ბებია გარდამეცვალა. ძალიან დიდი ზამთარი იყო, ტრანსპორტი არ დადიოდა. გამოცდებს ვაბარებდი და ჩემებმა ეს ამბავი დამიმალეს. მეზობლისგან შემთხვევით შევიტყვე. თავზარი დამეცა, ვერაფრით წარმოვიდგინე, როგორ უნდა დაეკრძალათ ბებია უჩემოდ, რაღაც საოცარი ძალა მომეცა და მარტო დავადექი გზას. იმ დროს უკვე დაძაბული პერიოდი იყო. ცხინვალამდე ავტობუსით ჩავედი, იქიდან ჯავის გადასახვევამდე შემხვედრ მანქანას გავყევი, შეღამებულში კვაისამდე ოსებით სავსე საბარგოთი ვიმგზავრე. ის ღამეც ოსების ოჯახში გავათიე, რომლებიც მეხვეწებოდნენ, უკან დავბრუნებულიყავი, მაგრამ რა გამაჩერებდა. დიდხანს ვიარე ფეხით და სასწაულით ჩავაღწიე ონამდე, სადაც დახმარების ხელი გამომიწოდეს. როცა ვაი-ვაგლახით ჩემი სოფლის მოსახვევს მივაღწიე, ბებოს უკვე მოასვენებდნენ. აი, ასე უცნაურად „შევხვდით“ ერთმანეთს.

**– თავად როგორი ქალები მოგწონთ, და საერთოდ, როგორი უნდა იყოს ქალი?**

– სულ ჭკვიანი ქალების გარემოცვაში მიწევს ყოფნა და საერთოდაც, მგონია, რომ ქალი ჭკვიანია. არ ვამბობ, რომ მაინცდამაინც ფილოსოფიური აზროვნებით უნდა გამოირჩეოდეს, მაგრამ ქალს რაღაც სხვანაირი, გრძნობისმიერი, ინტუიციური სიჭკვიანე ახასიათებს და თავისი შესაძლებლობებით არის ძლიერი – მეც ისეთი ქალი მხიბლავს, რომელიც ძლიერია, მაგრამ ამავდროულად არ კარგავს თავის ქალურობას. მამაკაცური ქალები არ მომწონს.

**– საზოგადოების გარკვეული ნაწილი სკეპტიკურად უყურებს ოპოზიციას და მას მმართველი პარტიის ერთგვარ პარტნიორად აღიქვამს პოლიტიკურ თამაშში. თქვენ რას იტყოდით, როგორია დღეს რეალობა?**

– საკმაოდ რთულ სიტუაციასთან გვაქვს საქმე. ოპოზიციურ პარტიებსაც გვიჭირს, ვგრძნობთ, რომ, ერთის მხრივ, კოორდინაციაა აუცილებელი, მეორეს მხრივ, კი ისეთი ნაბიჯები იდგმება, რაც ეჭვის საფუძველს გვაძლევს. მაგრამ თუ ასეთ რამეებს ბოლომდე ჩავყვებით, მაშინ საკუთარი პოლიტიკური ძალის იქით არ უნდა გავიხედოთ და ყველასთან გავწყვიტოთ ურთიერთობა. ასეთი კომფორტის უფლებას კი ვერ მივცემთ თავს, როცა სხვადასხვა ძალა არსებობს და საზოგადოების დიდი ნაწილიც ერთად მოქმედებას ითხოვს. აქედან გამომდინარე, ბევრ ეჭვს, ბევრ შესაძლო უნდობლობას, შეუთავსებლობას უკანა პლანზე ვწევთ და ვეწევით ამ თანამშრომლობის ჭაპანს, რადგან დღევანდელ ეტაპზე ეს აუცილებელია.

**– ოპოზიციური პარტიებიდან მაინც რომელს უფრო აღიქვამთ სერიოზულ პარტნიორად?**

– მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ და ლეიბორისტებს მსოფლმხედველობრივად არაფერი გვაკავშირებს, როგორც პარტნიორი, შალვა ნათელაშვილი წესიერი, პატიოსანი ადამიანია, არასოდეს გადადის სიტყვას, რაც პოლიტიკაში ძალზე მნიშვნელოვანია და ჩვენც ვაფასებთ და პატივს ვცემთ მას. გარკვეულ საკითხებში ბევრი საერთო გვაქვს კონსერვატორებთან და რესპუბლიკელებთან. ძალიან სიმპათიურად გამოიყურება კოკო გამსახურდია, პოლიტიკური თვალსაზრისით, ჯერ კიდევ ფორმირების პროცესშია სალომე ზურაბიშვილის ორგანიზაცია, ვნახოთ, როგორ ძალად ჩამოყალიბდება მომავალში.

**– გათხოვებაზე თუ ფიქრობთ? როგორი დიასახლისი ბრძანდებით, ქ-ნო ფიქრია?**

– უდროობის გამო, დიასახლისი, ალბათ, ცუდი, თორემ ისე ყველაფრის კეთება მიწევს და მეხერხება და სახლში ყოფნაც ძალიან მიყვარს. სამწუხაროდ, ძალიან იშვიათად მეძლევა ამის შესაძლებლობა. რაც შეეხება გათხოვებას, ამაში პოლიტიკამ ნამდვილად შემიშალა ხელი. თანაც, პოლიტიკის გადამკიდე, ხანდახან ისეთ რაღაცეებს სჩადიან ხოლმე კაცები, რომ მათკენ გახედვის სურვილიც კი მეკარგება.

**– რას უსურვებდით ჩვენს ჟურნალს და ქართველ ქალებს საერთოდ?**

– ქართველ ქალებს ძალიან ვგულშემატკივრობ. ჩემი ცხოვრების მანძილზე ბევრ ღირსეულ ქალბატონს შევხვედრივარ და ვისურვებდი, რომ ეს გალერეა ქართველი მანდილოსნებისა, არ გაუფერულებულიყოს XXI საუკუნეში და ჩვენი ერის მასულდგმულებელი ძალაც, კვლავ და კვლავ, ასეთი ქალბატონები ყოფილიყვნენ.

„საქართველოს ქალს“ კი, რომელიც მუდამ ასეთი მანდილოსნების პოპულარიზაციის სადარაჯოზე იდგა და იმედი მაქვს, მომავალშიც იდგება, სწორედ ამ მხრივ ვუსურვებდი დიდ წარმატებებს.

**– გმადლობთ.**

**მანანა იმედაშვილი**

24394
საქართველოს პარლამენტის

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ერთი გვაქვს ცა

საქართველოში რამდენიმე წელია არსებობს ქართველ-ებრაელ ქალთა ასოციაცია, სადაც 7 ქართველი და 7 ებრაელი ქალბატონია გაერთიანებული. მათი საქმიანობა იმდენად საინტერესო და მიმზიდველი მოჩანდა შორიდან, რომ ბუნებრივად გაჩნდა სურვილი მათი გაცნობისა. როგორც გულღია დიასახლისებს სჩვევიათ, ღიმილით მიმიღეს და ყველა კითხვაზე ხალისით მიპასუხეს. მათი საუბრიდან გამომდინარე, ყოველგვარი პათეტიკის გარეშე უნდა ითქვას, რომ მართლაც დიდ საქმეს აკეთებენ – ორი ერის 26 საუკუნოვან მეგობრობას განამტკიცებენ და ანვითარებენ. ის, რომ საზოგადოება უნდა შეექმნათ, მტკიცედ ჰქონდათ გადაწყვეტილი, მაგრამ იმაზე დიდხანს კამათობდნენ, როგორი სახე და მიმართულება მიეცათ მისთვის...



● ნათელა პატარკაციშვილი, ციალა ბათიაშვილი და ევა ბაბალაშვილი-ხუხაშვილი

**ევა ბაბალაშვილი-ხუხაშვილი, ასოციაციის პრეზიდენტი:**

– ქართულ-ებრაულ ურთიერთობებს, ალბათ, ანალოგი არ გააჩნია მსოფლიოში, მაგრამ ყველაფერს გაფრთხილება და გამდიდრება ჭირდება. ბევრი ვიფიქრეთ და საბოლოოდ იმ აზრამდე მივედით, ვინაიდან ჩვენ საქართველოდან ვართ ამოსულები, ასოციაცია ქართულ-ებრაული მიმართულების უნდა ყოფილიყო. ებრაელები არასოდეს ამბობენ, რომ საიდანღაც ვართ ჩამოსულები, რადგან ჩამოსვლა ზევიდან შეიძლება, ზემოთ კი... ღმერთია.

საოცარი ძალა აქვს ქართულ მიწას. მართლაც ანდამატივით იზიდავს ადამიანს. როცა საქართველოდან ებრაელების მიგრაცია დაიწყო, აქედან თითო პეშვი მიწა და ქართული ადათ-წესები წაიღეს და სწორედ იმ ტრადიციებით გააგრძელეს ცხოვრება. ამის წყალობითაა, რომ ისრაელში იზრდებიან ბავშვები, რომლებსაც თვალით არ უნახავთ საქართველო და მის შესახებ მხოლოდ უფროსებისგან თუ სმენიათ, მაგრამ დიდი ხალისით მღერიან ქართულად და ცეკვავენ ქართულ ცეკვებს. ახლახანს ქართული თეატრიც კი ჩამოყალიბდა. აი, ასე „ებრძვიან" საქართველოს მონატრებას აქედან წასულები, თუმცა მაინც ვერ „ამარცხებენ". ამდენად, აქ დარჩენილებს მით უფრო არ გვაქვს უფლება, დავანგრიოთ საუკუნეების მანძილზე დამკვიდრებული ტრადიციები.

**ციალა ბათიაშვილი, ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი:**

– არსად ისე კარგად არ გრძნობენ ებრაელები თავს, როგორც საქართველოში. გასული საუკუნის დასაწყისში ებრაელების მსოფლიო სიმპოზიუმზე დიდი რაბინი დავით ბაზოვიც მიიწვიეს, რომელმაც სიამაყით განაცხადა: მე ჩამოვედი ქვეყნიდან, სადაც დღემდე არც ერთ ებრაელს არ უგრძნია შევიწროებაო. ამ სიტყვებზე თურმე, ყველა ფეხზე წამოდგა და დიდხანს უკრავდნენ ტაშს.

საქართველო ჩემთვის ყველაფერია, რადგან მთელი ჩემი ცხოვრება, ავიც და კარგიც, სწორედ მასთან არის დაკავშირებული. იტალიურ ეზოში ვცხოვრობდი, სხვადასხვა ერის შვილებთან ერთად. ყველამ კარგად ვიცოდით ქართული, სომხური, რუსული, ქურთული... ჩვენს შორის არანაირი განსხვავება არ იყო. მნიშვნელობა არ ჰქონდა, ვინ სად ლოცულობდა, ვინ რა ეროვნების იყო, ვის რა ეცვა. მართლაც, ჯანსაღ ურთიერთობებზე გავიზარდე, რამაც ღრმა კვალი დატოვა ჩემში.

ჩემი ერთადერთი ქალიშვილი ოჯახთან ერთად ისრაელში ცხოვრობს და ხშირად ვსტუმრობ მათ, მაგრამ საქართველოს გარეთ მაინც ვერ ვიცხოვრებ.

შეიძლება ითქვას, რომ ჩვენთვის საქართველო და ისრაელი ერთ მთლიან სამშობლოდ მოიაზრება, როგორც ევამ გითხრათ, აქედან წასულმა ებრაელებმა რაც თან წაიღეს, წმინდა ქართული იყო, რაც დღემდე ცოცხლობს მათში და თაობიდან თაობას გადაეცემა.

**– თქვენი ასოციაცია ძირითადად რას საქმიანობს?**

**ქ-ნი ევა:** – ლამაზ ტრადიციად დამკვიდრდა ცნობილი ადამიანების მოწვევა. ყოველ შეხვედრაზე ერთი სფეროს ორ წარმომადგენელს ვმასპინძლობთ. მაგალითად, შევხვდით ცნობილ ქველმოქმედებს ბადრი პატარკაციშვილს და ნიკო ლეკიშვილს, დიდ მეცნიერებს ანდრია აფაქიძეს და გიგლა ხუხაშვილს. შეხვედრის ბოლოს ბ-ნმა ანდრიამ, რომელიც ცრემლებს ძლივს იკავებდა, გვითხრა, ასეთი ბედნიერი ცხოვრებაში ერთხელ ვიყავი, ახალგაზრდობისას, გამოსაშვებ საღამოზეო...

ასევე მოწვეული გვყავდა ყველასთვის საყვარელი მომღერლები მერაბ სეფაშვილი და ავთო ქოსაშვილი, სხვათა შორის, ბ-ნი ავთო „ქართულ ხმებში" მღეროდა, ამჟამად ისრაელში ცხოვრობს, სადაც ქართულად აამღერა ებრაელები, ფრანგები, პოლანდიელები...

ერთი შეხვედრის დროს ნათელა ურუშაძემ ასეთი ისტორია გაიხსენა: რეპრესიების წლებში მისი დედა დაიჭირეს. მეზობლად ებრაელი ცოლ-ქმარი ცხოვრობდა. კაცი უშიშროებაში მუშაობდა თურმე. ერთხელაც მისმა ცოლმა სია გადასცა ნათელას და უთხრა: ამ მისამართებზე ხუთ-ხუთი მანეთი გააგზავნე, საიდანაც აღარ დაგიბრუნდება, იქ იქნება დედაშენიო. ასე იპოვა დედა ქ-ნმა ნათელამ, რომელმაც ეს მისამართები საიდუმლოდ სხვებს გადასცა და იმ ებრაელის წყალობით, მრავალმა ადამიანმა იპოვა დაკარგული ოჯახის წევრები.

**ქ-ნი ციალა:** – მართლაც უმდიდრეს ტრადიციებზეა დაფუძნებული ჩვენი ასოციაცია. სამი წელია მსგავსი შეხვედრები გრძელდება და მოსაწვევთა სია კი არ ამოიწურა, პირიქით, იზრდება და იზრდება. სამწუხაროდ, არავინ გვაფინანსებს, რაც ხელს გვიშლის ქველმოქმედებაში, თუმცა მცირედს მაინც ვახერხებთ. საკუთარი სახსრებით სისტემატურად ვეხმარებით სტიქიით დაზარალებულებს და უკიდურესად გაჭირვებულებს. ყურადღებას არ ვაკლებთ მიუსაფარ და მზრუნველობამოკლებულ ბავშვებს, ყრუ-მუნჯთა სკოლის აღსაზრდელებს. დაგვყავს

ეროვნული ბიბლიოთეკა



● ციალა და გურამ ბათიაშვილების ოჯახი



● ხუხაშვილების ოჯახის მანდილოსნები

ვაკის პარკში, ცირკში, მაკდონალდსში. ჩვენს გვერდით ერთგულად დგას ქ-ნი ნათელა პატარკაციშვილი, რომელიც ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტია.

**– თქვენი ოჯახების შესახებაც გვიამბეთ...**

**ქ-ნი ევა:** – ბედნიერი ვარ, რომ ჩემს გვერდით ძლიერი, ერთგული, მზრუნველი მამაკაცი დგას. ჩვენი ოჯახი ლამაზ სიყვარულზე აღმოცენდა, რომელიც დღესაც გრძელდება და, საერთოდაც, ისეთი შეგრძნება მაქვს, რომ არც არასდროს დასრულდება. ის გახლავთ ცნობილი ჟურნალისტი და სპორტული კომენტატორი ჯამლეთ ხუხაშვილი, რომელიც არის კალათბურთის კლუბ „მაკაბის" პრეზიდენტი და მთავარი მწვრთნელი. ახლახანს სპორტული რადიო გახსნა – „ჯაკო", სადაც საინფორმაციო ბლოკი მიმყავს რუსულ ენაზე. პატარაობიდანვე ვწერ მოთხრობებს, ჩანახატებს. ცოტა ხნის წინათ ზღაპარიც დავწერე. ზღაპარი ჩემში ყოველთვის იყო, რადგან დისნეის სიტყვებისა არ იყოს, სანამ ბავშვი ხარ, შეძლებ წინსვლას, განვითარებას, მაგრამ თუ აღმოაჩინე, რომ გაიზარდე, მაშინ შენში ყოველგვარი პოტენციალი ამოიწურება და... უცებ დაბერდები.

ოჯახი ჩემთვის უმთავრესია, ყველაფერია. ვაჟი – მიხეილი ეკონომისტია. ბავშვობაში სერიოზულად იყო გატაცებული კალათბურთით. საბჭოთა კავშირის წევრიც იყო და მსოფლიო მოიარა გუნდთან ერთად. რძალი – თამარ ნამთალაშვილი უცხო ენების სპეციალისტია. ისიც „ჯაკოში" მუშაობს. ჰყავთ ორი შვილი – ევა და ჯამლეთი. მიშა გვეხუმრება ხოლმე, მშობლების კლონირება მოვახდინეო.

ჩვენი ქალიშვილი, ია, პროფესიით ჟურნალისტია, ოჯახთან ერთად ისრაელში ცხოვრობს. მისი მეუღლე, ზაზა ბერიძე თელავივში ცნობილი უროლოგია, ორ შვილს ზრდიან, თამის და ნატალის.

ტრადიციული ოჯახი გვაქვს. პარასკეობით ჩვენთან ნათესავები იკრიბებიან და ჩვენი წესის მიხედვით ვეგებებით შაბათს. დიდ სიამოვნებას მანიჭებს მათი გამასპინძლება. უამრავი საქმე მაქვს, თავისუფალი დრო თითქმის არ მრჩება და, ბუნებრივია, ვიღლები კიდეც, მაგრამ ჩემი სტიმული და ენერგიის წყარო ჯამლეთია. როცა ვეკითხები, ხომ არ დაიღალე-მეთქი, რა დამღლისო, მუდამ ასე მპასუხობს. ორივენი ცეცხლის ნიშნის ქვეშ ვართ დაბადებულები და ცეცხლივით უნდა დავიფერფლოთ.

მახსოვს, ბებია ოთხმოცი წლის რომ იყო, მაშინაც დაუღალავად ფუსფუსებდა სამზარეულოში, წუთითაც არ ჩერდებოდა. ერთხელაც რომ ვუთხარი, ბებო, დაისვენე, დაიღლები-მეთქი, მიპასუხა, ძალა და ენერგია ამ ქვეყნად უნდა დავტოვო, იქ არ დამჭირდებაო.

**– ქ-ნო ციალა, ცნობილი ადამიანის, მწერალ გურამ ბათიაშვილის მეუღლე ბრძანდებით. როგორია ბ-ნი გურამი ოჯახში?**

– ძალიან თბილი და ყურადღებიანი. ჩვენც სიყვარულით შევუღლდით და ეს გრძნობა დღემდე გვასულდგმულებს! ღმერთს მადლობას ვწირავ, ცხოვრების გზაზე გურამს რომ შემახვედრა.

ოჯახში ყველას თავისი ადგილი და ფუნქცია აქვს, მაგრამ მაინც ვფიქრობ, რომ ქალის როლი განსაკუთრებით დიდია, რადგან ქალს თანაბარი წარმატებით შეუძლია ოჯახის აშენებაც და დანგრევაც. მე და გურამი შეუღლების დღიდან ერთგულად ვდგავართ ერთმანეთის მხარდამხარ. ჩვენი ცხოვრება ია-ვარდით არ ყოფილა მოფენილი, ეკლებიც ხშირად შეგვხვედრია, მაგრამ როცა ცოლ-ქმარს შორის ჯანსაღი ურთიერთობაა, ყოველგვარი პრობლემა და სიძნელე უკან იხევს. განუხრელად ვიცავთ ჩვენს რწმენას, წეს-ჩვეულებებს, რადგან თუ ადამიანი საკუთარ რწმენას უღალატებს, ის სამშობლოსაც უღალატებს და ოჯახსაც. ებრაელობა სწორედ რწმენამ გადაარჩინა, ეს გურამის შემოქმედებაშიც კარგად აისახა, მაგრამ როცა კომუნისტების ზეობის პერიოდში დაწერა პიესა „ვალი", სადაც ნაჩვენები იყო ებრაელების მიგრაციის ნამდვილი ტრაგედია, ეს მართლაც გმირობის ტოლფასი იყო, რადგან მაშინ ამ თემაზე ჩურჩულსაც ვერ ბედავდნენ. შემდეგ გოგი ქავთარაძემ ქუთაისში დადგა პიესა, რითაც მართლაც, მნიშვნელოვანი ფურცელი ჩაიწერა ქართული თეატრის ისტორიაში.

ჩვენი ქალიშვილი – ლანა მამის კვალს გაჰყვა, უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტი დაამთავრა, თუმცა ჩემი ხათრით მუსიკალური განათლებაც მიიღო. ამჟამად ოჯახთან ერთად ისრაელში ცხოვრობს. სიძე, გურამ ხარაზიშვილი წარმატებული ექიმია. უფროსი შვილიშვილი, თეა, იერუსალიმის უნივერსიტეტის ფაკულტეტის მესამე კურსზე სწავლობს, ლიკა კი, სკოლის დამთავრების შემდეგ, საკუთარი სურვილით ჯარში წავიდა. ორივეს საოცრად აქვს პატრიოტული გრძნობა განვითარებული, თუმცა ვალდებულიც ხარ გიყვარდეს ის ქვეყანა, სადაც ცხოვრობ.

**ქ-ნი ევა:** – როცა სოდომი და გომორი ინგრეოდა, იქიდან ხალხი ლოტმა გამოიყვანა. ღმერთმა ბრძანა, უკან არ მოიხედოთო, მაგრამ ლოტის მეუღლემ არ ისმინა მისი და გაქვავდა. აქედან, ალბათ, უნდა დავასკვნათ, რომ არ არის საჭირო უკან მოხედვა. ადამიანმა დღევანდელი დღით უნდა იცხოვროს და ირგვლივ სიკეთე თესოს.

**ქ-ნი ციალა:** – მართლაც, ვაკეთოთ სიკეთე და გვიყვარდეს ერთმანეთი. სულიერი სიმშვიდე რომ მოვიპოვოთ, სხვების კარგად ყოფნაც უნდა ვინატროთ, რადგან არ შეიძლება იყო ბედნიერი, როცა შენს ირგვლივ უამრავი გაჭირვებულია. და კიდევ, გაიღიმეთ და ღმერთიც აუცილებლად გაგიღიმებთ!

**მარინე ნაკაიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ილოცე, მამაო, ჩვენი შვილებისათვის!

**უცნაურია, მაგრამ წმიდა მამები გაცილებით უკეთ გვიცნობენ, ვიდრე ჩვენ ვიცნობთ საკუთარ თავს; უკეთ იციან, რა გვჭირდება და რა გვიჭირს. მათი რჩევები სწორად ცხოვრებას გვასწავლიან.**

**პაისი ათონელი XX საუკუნის მამაა. 1994 წელს გარდაიცვალა, ჩვენი თანამედროვეა და ამიტომ კარგად ესმოდა ის სირთულეები, რომელთა შორის ცხოვრება ჩვენი ხვედრია. სხვა ათონელი მამების მსგავსად, ლოცვით და კურთხევით გვინათებს გზას, გვეხმარება უკეთ გავიგოთ ჩვენი როლი ამ ცხოვრებაში, ვიპოვოთ ჩვენი ადგილი და წარმატებული ადამიანები გავხდეთ ღვთისათნო გზაზე სიარულში.**

**— მამაო, თქვენ თქვით, რომ სიყვარული ადამიანს ზრდის...**

— ადამიანი უნდა გიყვარდეს საკუთარ თავზე მეტად. დედას შვილები თავის თავზე მეტად უყვარს. შვილები რომ დააპუროს, ის მშიერი რჩება. თუმცა სიხარული, რომელსაც ის განიცდის, აღემატება სიხარულს, რომელსაც მისი შვილები განიცდიან. შვილები ხორციელ საკვებს იღებენ, ხოლო დედა — სულიერს. ისინი საჭმლის გემოს გრძნობენ, ხოლო დედა სულიერი სიხარულით ხარობს.

გოგონას გათხოვებამდე ათ საათამდე ძინავს, თანაც საუზმეს დედა უმზადებს. საქმის კეთება ეზარება, უნდა ყველაფერი სხვამ გაუკეთოს. პრეტენზიები აქვს დედ-მამის მიმართ, თვითონ კი უსაქმურობს. მუდმივად იღებს დახმარებას და კურთხევას მშობლებისა და და-ძმებისაგან. მაგრამ, როცა თვითონ ხდება დედა, ის ემსგავსება მოწყობილობას, რომელიც საკუთარ თავს მართავს, რაც უფრო იტვირთება, მით უფრო კარგად მუშაობს, — ამის მიზეზი მასში განუწყვეტლივ მომუშავე სიყვარულია. ადრე თუკი რამე ჭუჭყიანს შეეხებოდა, გულდაგულ იბანდა ხელებს სურნელოვანი საპნით. ახლა შვილის ჭუჭყიან საცვლებს რეცხავს და ზიზღს არ განიცდის. ადრე, როცა აღვიძებდნენ, უკმაყოფილო იყო; ახლა, ბავშვი რომ ტირის, მთელი ღამე ფხიზლობს და არ იღლება. ეს იმიტომ, რომ გაიზარდა, დედა გახდა და მასში მსხვერპლშეწირვა, სიყვარული გაჩნდა.

უნდა ვთქვა, — დედა მეტ სიყვარულს და მსხვერპლს გაიღებს, ვიდრე მამა. ამის მიზეზი კი ისაა, რომ მამას ნაკლები საშუალება ეძლევა საკუთარი თავის შეწირვის. დედა უფრო მეტ დროს ატარებს შვილებთან, მათ უძღვნის თავს. მამა ნაკლებად წვალობს შვილების აღზრდით, მათგან არ იმართება, ამიტომ მისი სიყვარული ისეთი დიდი არ არის, როგორც დედის.

რამდენი დედა მოსულა ჩემთან და უთხოვია „ილოცე, მამაო, ჩემი შვილისთვის!“ იშვიათად, რომ კაცისგან გაიგო „ილოცე, ჩემი შვილი სწორ გზას აცდა“. დღესაც იყო ერთი ქალი, რვა შვილი მოიყვანა. ათრთოლებული ცდილობდა პატარების წინ დაყენებას, მწკრივში ჩააყენა ყველა, კურთხევა რომ მიეღოთ. იშვიათია ასეთი რამის ნახვა მამის მხრიდან. მამის მოფერება — თუ მასში ღვთის მადლი არაა — უგულოა, დედის მოფერებას კი — ღვთის გარეშეც კი — თავისი მადლი აქვს. ბავშვს უყვარს და პატივს სცემს მამას, მაგრამ მამისადმი ეს გრძნობაც დედობრივი სიყვარულის სინაზითა და სითბოთი საზრდოობს.

**— მამაო, წმიდა ნექტარიუს ეგინელი მონაზვნებისადმი გაგზავნილ ერთ-ერთ წერილში მოუწოდებდა მათ, მიეგებონ ღირს დედებს და არა ღირს მამებს! რატომ ამბობდა ამას წმიდა მამა? იქნებ ქალებს ამტანობა აქვთ ნაკლები?**

— ვის? ქალები არიან ნაკლებად ამტანები? მე მაოცებს მათი ამტანობა! ქალის სხეული მამაკაცთან შედარებით სუსტია, მაგრამ მას ძლიერი გული აქვს, რომლის საშუალებით ის ისეთი ამტანია, რომ მამაკაცს ჯობნის. დიახ, კაცი უფრო ღონიერია, მაგრამ მას არ აქვს ისეთი გული, როგორც ქალს.

დედა წვალობს, ძალ-ღონე ეცლება, მაგრამ არც ტკივილს გრძნობს ამ დროს და არც დაღლილობას. თავს აიძულებს იმუშაოს, მაგრამ შვილების და თავისი სახლის სიყვარულის გამო, ყველაფერს სიხარულით აკეთებს. ადამიანი, რომელიც მთელი დღე წევს, მასზე მეტად იღლება. მახსოვს, პატარები რომ ვიყავით, დედა შორიდან ეზიდებოდა წყალს, სადილს ამზადებდა, პურს აცხობდა, რეცხავდა, მინდორში მუშაობდა. ამას ჩვენი მოვლაც ემატებოდა, არ ვასვენებდით, — ვჩხუბობდით ერთმანეთში და სხვა საქმეებს მოსამართლის როლიც ემატებოდა. მაგრამ ის ამბობდა: „ეს ჩემი ვალია. ეს ყველაფერი უნდა გავაკეთო და არ ვიწუწუნო“. ამ სიტყვებში კეთილ აზრს დებდა. მას უყვარდა სახლი, უყვარდა თავისი შვილები და საქმეები ძალას არ ართმევდა. ყველაფერს გულით, სიხარულით აკეთებდა.

რაც მეტი დრო გადის, დედას უფრო უყვარს სახლი. წლები გადის, მაგრამ ის სულ უფრო მეტ მსხვერპლს გაიღებს, რომ შვილიშვილებიც გაზარდოს. უფრო ნაკლები ღონე აქვს, მაგრამ თავის მოვალეობებს გულით ასრულებს. მისი ძალები აღემატება ქმრის ძალებს და იმ ძალასაც, რომელიც მას ახალგაზრდობაში ჰქონდა.

**— იცით, მამაო, ქალები ავადმყოფობაშიც მეტი თავდაჯერებულობით გამოირჩევიან, ვიდრე მამაკაცები.**

— ეს იმიტომ, რომ დედა ხშირად ხდება შვილის ავადმყოფობის მოწმე, ამიტომ იცის, რა არის ავადმყოფობა. დიდი გამოცდილება აქვს ამ საკითხში. ახსოვს, რამდენჯერ აუწია სიცხე მის შვილს. სხვადასხვა სცენა უნახავს: როგორ უჭირდა სუნთქვა ბავშვს ან როგორ დაუკარგავს გონება, მაგრამ როგორც კი მიურტყამს ლოყაზე, გონს მოსულა. კაცი ამას ვერ ხედავს. მას არ აქვს ასეთი გამოცდილება. ამიტომ რომ გაიგებს, ბავშვს სიცხე აქვს, შფოთავს და ნერვიულობს: „რა ვქნათ? აბა, ჩქარა ექიმი!“

ბავშვის აღზრდა ფეხმძიმობიდან იწყება. თუ ორსული ნერვიულობს, ბავშვიც შფოთავს! ხოლო, თუ დედა სულიერი ცხოვრებით ცხოვრობს, ბავშვიც კურთხეულია. ამიტომაა, რომ ქალმა ორსულობის პერიოდში იესოს ლოცვა უნდა იმეოროს, იკითხოს სახარება, იგალობოს, მშვიდად იყოს.

დედა უნდა შეეცადოს, ბავშვი ძუძუთი კვებოს და რაც უფრო დიდხანს შეძლებს ამას, უკეთესია. დედის რძე ბავშვების ჯანმრთელობის პირობაა. რძესთან ერთად ბავშვი იღებს სითბოს, სინაზეს, ნუგეშს, უსაფრთხოებას და, ამგვარად, ძლიერი ხასიათის ადამიანად ყალიბდება. მაგრამ ბავშვის რძით კვება დედასაც ეხმარება სხვადასხვა ანომალიების თავიდან აცილებაში, რაც ხშირად მკერდის მოკვეთის მიზეზი ხდება.

ძველად ქალს იმდენი რძე ჰქონდა, რომ საკუთარ შვილსაც აჭმევდა და მეზობლისასაც. დღეს კი ქალების უმრავლესობას თავისი შვილის გამოკვებაც უძნელდება. ქალი, რომელიც არ აჭმევს შვილს, მას უსაქმურობის „მიკრობსაც“ გადასცემს. რადგან ქალები ძუძუთი არ კვებავენ შვილებს, ისინი ნუგეშის გარეშე იზრდებიან. ვინ მისცემს მათ სიყვარულსა და სინაზეს? ძროხის რძიანი ქილა? ბავშვს აძლევენ გაყინული მინის ბოთლზე წამოცმულ საწოვარას და მათი გულიც იყინება. შემდეგ კი, როდესაც შესაბამის ასაკს მიაღწევენ, ნუგეშს ისევ ბოთლში ეძებენ სხვადასხვა დუქნებში. სულიერი შფოთის დასაფარად, სასმელს ეძალებიან და ლოთდებიან. თუ ბავშვი თვითონ არ მიიღებს სითბოს, თავისი შვილისთვის გადასაცემად არაფერი ექნება. ასეა ყველაფერი ერთმანეთზე დამოკიდებული. შემდეგ კი მოდის



დედა და ტირის: ,,ილოცე, მამაო! შვილს ვკარგავ!“

**– ბევრი ქალი ამბობს, რომ მატერიალური გასაჭირის გამო მუშაობენ.**

– მათ უჭირთ, რადგან უნდათ ჰქონდეთ ტელევიზორი, ვიდეომაგნიტოფონი, პირადი ავტომობილი და ა.შ. ამიტომ იძულებულნი არიან, იმუშაონ, რის გამოც ვერ ზრუნავენ შვილებზე, საბოლოოდ კი კარგავენ მათ. თუ მხოლოდ მამა მუშაობს, ოჯახი იძულებულია, ცოტათი დაკმაყოფილდეს, სამაგიეროდ, მსგავსი პრობლემები არ აქვთ. ხოლო როდესაც ორივე ცოლქმარი მუშაობს, რადგან თითქოს ფული არ ყოფნით, ოჯახი თავის ნამდვილ აზრს კარგავს. რა უნდა ქნან ბავშვებმა? მათი დედები უფრო უბრალოდ რომ ცხოვრობდნენ, ძალა არ გამოელეოდათ, ბავშვებიც მეტად ხალისიანები იქნებოდნენ. ერთმა კაცმა შვიდი უცხო ენა იცოდა, ცოლი კი დიდი ძალისხმევით სწავლობდა ოთხს. ამის გარდა, ცოლს კერძო გაკვეთილებიც ჰქონდა. მუდამ ენერგიული რომ ყოფილიყო, სულ რაღაც აბებს სვამდა. მათი შვილები ჯანმრთელები დაიბადნენ, მაგრამ შემდეგ დაავადდნენ. ამიტომ ვურჩევ ყველა დედას, ისე ააწყოს თავისი დღის განაწესი, რომ რაც შეიძლება დიდხანს იყოს შვილთან. სხვაა, როცა ქალს რაიმე სხვა საქმეც აქვს, რომელსაც სახლში აკეთებს. ეს უკეთესიცაა მისთვის, რადგან სხვა საკითხზე გადასვლას შეძლებს, როდესაც შვილებზე ზრუნვით დაიღლება.

ბავშვები შიმშილობენ დედობრივი სიყვარულის ნაკლებობის გამო, რადგან მთელ დღეს დედა სამუშაო ადგილზე ატარებს.

**– მამაო, როგორ უნდა მოაგვაროს დიასახლისმა სახლის საქმეები ისე, რომ ლოცვისთვის დარჩეს დრო? როგორ უნდა განაწილდეს დრო ლოცვასა და საქმეებს შორის?**

– ჩვეულებრივ, ქალებმა საქმეში ზომა არ იციან. მათ უნდათ, რომ თავის საქმესა და საზრუნავს ახალ-ახალი საქმეები შემატონ. რადგან დიდი გული აქვთ, ქალებს წარმატებით შეუძლიათ წარმართონ თავისი სულის ,,საშინაო მეურნეობა“, მაგრამ ამის ნაცვლად, გულს წვრილმანებზე ხარჯავენ. წარმოიდგინეთ, გაქვთ სასმისი, რომელიც მორთულია ლამაზი ხაზებით, ნახატებით. განა ეს ხაზები რომ არ ჰქონდეს სასმისს, თავის დანიშნულებას ვერ შეასრულებდა? ქალი მაღაზიაში როცა მიდის, დიდხანს უხსნის გამყიდველს, როგორი ნივთის ყიდვა უნდა. თუ სასურველს იპოვის, ბედნიერია. კაცი იშვიათად თუ მიაქცევს ყურადღებას ღამის სანათი ლურჯია თუ შავი. ქალი კი პირიქით, მას უნდა სილამაზე, ხარობს, ამას თავისი გულის ნაწილს უძღვნის. რაღა რჩება ქრისტესთვის? მთქნარება და დაღლილობა ლოცვისას, რაც უფრო შორდება ქალის გულს. თუ გული ქრისტესთვისაა მიძღვნილი, უდიდეს ძალას ფლობს! რამდენიმე დღის წინ ერთი ქალი ვნახე, რომელიც სრულად იყო მინდობილი ქრისტეზე. ნებისმიერ საქმეს მხურვალედ იწყებდა, თითქოს გულში ცეცხლი ენთო. ცოტა ხნის წინ ის ჩვეულებრივი ადამიანი იყო, მაგრამ უცებ თითქოს რაღაც ნაპერწკალი ჩაუვარდა გულში, მოიშორა თავისი ოქროს სამკაულები და ძვირფასი ტანსაცმელი, საოცარი უბრალოებით ცხოვრობს. მისი ცხოვრება მსხვერპლშეწირვას დაემსგავსა! მას ,,შური აღეძრა“ წმინდანების მიმართ, ამ სიტყვის კარგი გაგებით. იცით, რამდენს ლოცულობს სკვნილზე, რამდენ დროს ატარებს ფსალმუნის კითხვაში! ღვაწლი მის საზრდოდ იქცა.

**– მამაო, ერთმა ქალმა თქვა, რომ ის ფიზიკურად სუსტია და ძალიან იღლება შრომისგან. ვერც თავის საქმეებს აკეთებს ბოლომდე, არც ლოცვის დრო რჩება.**

– ლოცვისთვის რომ დრო დარჩეს, თავისი ცხოვრება უნდა გაამარტივოს. უბრალოებით შეიძლება დიდ წარმატებას მიაღწიოს. დედას აქვს უფლება, თქვას ,,დავიღალე“, ბევრს იმიტომ შრომობს, რომ ბევრი შვილი ჰყავს, მაგრამ, თუ იმაში ხარჯავს დროს, რომ მისმა სახლმა სხვებზე მოახდინოს შთაბეჭდილება, მაშინ რას იტყვის? ზოგიერთი ქალი ბავშვებს ავიწროებს, რომ ხელი არაფერს ახლონ, რომ ყველაფერი ლამაზად და თავის ადგილზე იდოს. აიძულებს შვილებს, ყაზარმული დისციპლინის პირობებში იცხოვრონ. ამ დროს ბავშვები, რომლებიც ნორმალურები დაიბადნენ, სხვადასხვა გადახრებით იზრდებიან. თუ გონიერი ადამიანი მრავალშვილიან ოჯახში აღმოაჩენს, რომ ყველაფერი თავის ადგილზე დევს, ორ დასკვნას გამოიტანს: ან ბავშვები არიან გონებრივად ჩამორჩენილები, ან დედა აიძულებს მათ იცხოვრონ სამხედრო დისციპლინის პირობებში. ამ უკანასკნელ შემთხვევაში ბავშვების გულში არსებული შიში აიძულებს მათ, წესიერად მოიქცნენ. ერთხელ ერთ მრავალშვილიან ოჯახში ვიყავი სტუმრად. ბავშვები ცდილობდნენ გავეხალისებინე ცელქობით, რაც, რა თქმა უნდა, არღვევდა წესრიგს – ,,ყველაფერი თავის ადგილზე“. სწორედ ეს წესრიგია უდიდესი უწესრიგობა, რომელიც ძალას ართმევს თანამედროვე ადამიანს.

იმის ნაცვლად, რომ დედა სქოლასტიკურად დაკავდეს საშინაო საქმეებით – უსულო საგნებით – უმჯობესია, შვილები აღზარდოს. ელაპარაკოს ქრისტეზე, წაუკითხოს წმინდანების ცხოვრება. ამასთან, საკუთარი სულის განწმენდაზეც უნდა იზრუნოს, რომ სულიერად ბრწყინავდეს. დედის სულიერი ცხოვრება შეუმჩნევლად და უხმაუროდ დაეხმარება შვილების სულებსაც. ასე შვილებიც ბედნიერები იქნებიან და თვითონაც, რადგან გულში ქრისტე ეყოლება. თუ დედას იმის დრო არ აქვს, რომ ,,წმიდაო ღმერთო“ თქვას, როგორ იკურთხებიან მისი შვილები?

**– მამაო, რა ქნას დედამ, თუ ბევრი შვილი და ბევრი საქმე აქვს?**

– ნუთუ არ შეუძლია სახლის საქმის კეთებისას თან ილოცოს? იესოს ლოცვას დედაჩემმა მიმაჩვია. როდესაც ბავშვობაში ვცელქობდით და ის მზად იყო გაბრაზებულიყო, მესმოდა, ხმამაღლა ამბობდა: ,,უფალო იესო ქრისტე, შემიწყალე მე“. პურის ცხობისას წარმოთქვამდა: ,,სახელითა უფლისათა და ღმრთისმშობლისათა“. ცომის მოზელისას, საჭმლის მომზადებისას, მუდმივად იმეორებდა იესოს ლოცვას. ასე იღებდა კურთხევას თვითონაც, იკურთხებოდა პური და საკვები, რომელსაც ამზადებდა, იკურთხებოდნენ ისინიც, ვინც ამ საკვებს იღებდა.

დედის ღვთისმოშიშობას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. თუ დედას მორჩილება და ღვთის შიში აქვს, ოჯახში ყველაფერი წესრიგშია. მე ვიცნობ ახალგაზრდა დედებს, რომლებსაც გაბრწყინებული სახე აქვთ, თუმცა არსაიდან ელიან რაიმე დახმარებას. ბავშვებთან საუბრის დროს კარგად ვგრძნობ მათი დედების მდგომარეობას.

რუსულიდან თარგმნა
**ქეთევან ღოღობერიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბრავო, ჭაბუკიანი



აპრილი შემოდიოდა თბილისში, ყვაოდა ნუში... ის მიდიოდა, სიცოცხლეს ეთხოვებოდა.

ამბობენ, სიკვდილის წინ ადამიანი განვლილ ცხოვრებას თვალს ავლებსო. ალბათ, ისიც ჩავლილ წლებს იხსენებდა.

მრავალშვილიან ოჯახში დაიბადა. სულ რვანი იყვნენ — მამა, მიშა ჭაბუკიანი ხურო იყო. დედა, წარმოშობით ესტონელი, შვილებს გერმანულს ასწავლიდა.

ბავშვობა ვერაზე გაატარა. იმ უბანში მარტო მათი სახლი იდგა. ირგვლივ უკაცრიელი ველი იყო.

მოპირდაპირე გორაკზე ქართული კლასიკური გიმნაზია შენდებოდა. ამ საქმის ერთ-ერთი მოთავე, პედაგოგი ნიკო ცხვედაძე მამასთან მეგობრობდა. მამა მშენებელ მუშებს ხელმძღვანელობდა. შვილი ამაყობდა მშობელი მამით, რომელიც საოცნებო შენობას აგებდა. იმასაც გრძნობდა, როგორ უჭირდა ოჯახის რჩენა. ამიტომ ვახტანგი სამუშაოს ეძებდა, ქუჩაში პაპიროსს ჰყიდდა და ოჯახში ფული შემოჰქონდა.

სწავლასთან ერთად მადამ შევალიეს საოსტატო-სამხატვრო სახელოსნოში მუშაობდა. წნელისგან კალათებს და სხვადასხვა ნივთებს წნავდა, დამატებით შემოსავალს შოულობდა.

ერთხელ, შეკვეთილი კალათი კერძო საბალეტო სტუდიის ხელმძღვანელს მარიამ პერინს მიართვა. მისმა ნაკეთობამ ყოფილი ბალერინა მოხიბლა და გაკვეთილზე დასწრება შესთავაზა. იმ დღიდან შეიყვარა ბალეტი და მალე პერინის მოწაფე გახდა. მასწავლებელი მოწაფით კმაყოფილი იყო. ხშირად გამოჰყავდა დილის წარმოდგენებში. პირველი წერილი ვახტანგ ჭაბუკიანზე იოსებ გრიშაშვილმა გამოაქვეყნა ჟურნალში „თეატრი და ხელოვნება“:

„სტუდიაში სწავლობს ახალგაზრდა ვახტანგ ჭაბუკიანი, რომელიც დიდ იმედებს იძლევა. საჭიროა ყურადღება მიექცეს, ვინაიდან ქართულ ოპერასთან ერთად ქართული ბალეტის შექმნისათვის ჭაბუკიანი ერთი პირველთაგანია“.

სტუდია რომ დაამთავრა, ოპერის თეატრში სტაჟიორად ჩარიცხეს. მაშინ მისი და თამარი ბალეტის სოლისტი იყო. ვახტანგი ხშირად გამოჰყავდათ საოპერო დადგმებში მოცეკვავედ. განსაკუთრებით მოსწონდათ მისი ცეკვა „ქეთო და კოტეში“.

სტაჟიორის ხელფასი მცირე იყო. ვახტანგმა დამატებითი შემოსავლის ძებნა დაიწყო. რუსთაველის თეატრის შენობაში რესტორან „ქიმერიონში“ ცეკვავდა.

თბილისში საგასტროლოდ ლენინგრადის მარიას თეატრის ბალეტის ოსტატები ელენე ლიუკომი და ბორის შავსოვი ჩამოდიან. მათი გამოსვლების შემდეგ სულ სხვა წარმოდგენა შეექმნა ბალეტზე. გულმა ლენინგრადისკენ გაუწია, იქაურ ქორეოგრაფიულ სასწავლებელში მოინდომა სწავლა. მოხვედრა კი ადვილი არ იყო. როგორც მისი უფროსი დის, კატიას ქმარი, სამხედრო ექიმი მაქსიმ გორდონი თავის მოგონებებში წერდა, კატიამ სთხოვა სასწავლებლის დირექტორს, ყოფილ მოცეკვავეს ვიქტორ სემიონოვს ძმის მიღება.

უარი მიიღო, მაგრამ ძმა ლენინგრადში მაინც ჩაიყვანა და გამოცდაზე შეუშვა. გადიოდა დრო. ოთახიდან არავინ გამოდიოდა, უცებ გაიღო კარი და აღელვებული ვიქტორი გამოვიდა, გადაეხვია კატიას და მიულოცა: „თქვენ სასწაული ჩამოგვიყვანეთ. ეს ჭაბუკი ჩვენ ყველას დაგვჩრდილავს“.

კატია და მაქსიმი ლენინგრადში სამხედრო ჰოსპიტლის საერთო საცხოვრებელის ერთ პატარა ოთახში ცხოვრობდნენ. ვახტანგმა იქვე იშოვა ოთახი. ბინის ქირის გადახდის და თავის რჩენის საშუალება რომ ჰქონოდა, ქორეოგრაფიულ სასწავლებელში სწავლასთან ერთად მუშაობა დაიწყო, კინოთეატრ „ტიტანში“ სეანსებს შორის ცეკვავდა. მაყურებელს ფილმებზე უფრო მისი ცეკვა იზიდავდა.

პირველი დადგმები მოწაფეობის წლებში განახორციელა. 18 წლისამ ი. დუნაევსკის მუსიკაზე ესპანური ხალხური ცეკვა და ა. რუბინშტეინის მუსიკაზე „ცეცხლის ცეკვა“ დადგა. წითელ ტუნიკაში გამოწყობილი ფეხშიშველა ჭაბუკი ჩირაღდნებით ხელში აჯადოებდა მაყურებელს. ჭაბუკიანმა პირველი განაცხადი გააკეთა საგმირო ხასიათის ცეკვაზე და წინ წამოსწია მამაკაცის როლი ბალეტში.

ლენინგრადში მის ხელოვნებას ხვეწდნენ ვ. სემიონოვი და ვ. პონომარიოვა. მასთან ერთად სწავლობდნენ ტ. ვეჩესლოვა, გ. ულანოვა, ნ. დუდინსკაია, ე. ჩიკვაიძე — შემდგომში მისი პარტნიორები.

ჭაბუკიანი პირველია ბალეტის ისტორიაში, რომელმაც დაამკვიდრა მამაკაცის წამყვანი, გაზრებული, ქმედითი როლი, ვაჟკაცური, შემტევი ცეკვა და გაბათილა დამხმარე, ნაზი, რაფინირებული კავალრის ფუნქცია.

იგი მარიას თეატრში მიიწვიეს.

ერთ-ერთი პირველი გამარჯვება „დონ-კიხოტში“ ბაზილის როლის შესრულებამ მოუტანა. ჭაბუკიანის ბაზილი ლეგენდასავით დარჩა თანამედროვეთა ხსოვნაში. დღეს უკვე ამ პარტიას ახალი შემსრულებლები ჰყავს, მაგრამ ისინი ვერ წაშლიან ჭაბუკიანის მიერ მინიჭებულ უზარმაზარ შთაბეჭდილებას, ის კი არა, ვერც კი გაუტოლდებიან. გაცისკროვნებული, ელვარე, მწველი ბაზილი გიტარით ხელში გრიგალივით შემოიჭრებოდა სცენაზე და წარმოუდგენელი სისწრაფით იწყებდა ცეკვას სატრფოსთან კასტანიეტებით.

ამის მერე ძნელი წარმოსადგენი იყო ჭაბუკიანის ბაზილი მესამე აქტში ურთულეს ვარიაციებს მხოლოდ მისეული დიდი პირუეტით რომ დააგვირგვინებდა. ცალ ფეხზე ლარივით გამართული ასრულებდა 32 პირუეტს, თითქმის ერთი ამოსუნთქვით, უსწრაფესი ტრიალით ფეხის წვერზე. და როცა სისწრაფის ზენიტში მყოფი მოულოდნელად ადგილზე გაირინდებოდა დახვეწილ პოზაში — სასწაული ხდებოდა დარბაზში.

ამიტომაც წერდნენ: „ის დაიბადა დიდი პირუეტით სისხლში“. ბაზილის შემდეგ ჭაბუკიანის გმირული და ვაჟკაცური პარტიებია: ჭაბუკი „შოპენიანაში“, ზიგფრიდი „გედის ტბაში“,

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რევოლუციაა ბალეტში



● „ლაურენსია"



● „გორდა"

ალბერტი „ჟიზელში", ანდრი „ტარას ბულბაში, სოლორი „ბაიადერაში".

სოლორი იყო ბოლო გმირი მარიას თეატრის სცენაზე, რომელსაც ჭაბუკიანი განასახიერებდა როგორც მოცეკვავე. ამის შემდეგ იგი გაიცნეს როგორ ბალეტმეისტერი.

30-იან წლებში ლენინგრადში ჭაბუკიანმა დადგა ბალეტები: ანდრია ბალანჩივაძის „მთების გული", ა. კრეინის „ლაურენსია". „მთების გულში" ჭაბუკიანი, როგორც მოცეკვავე, ჯარჯის როლს ასრულებდა, „ლაურენსიაში" — ფრონდოზოს.

„მთების გული" 1938 წელს „დაიბადა" ლენინგრადში. ბალანჩივაძის უაღრესად ეროვნულმა მუსიკამ, დამკვიდრებულმა ხალხურ მელოდიებზე, მოხიბლა იქაური მაყურებელი.

თუ ადრე ჭაბუკიანი — მოცეკვავე არაქართულ, შორეულ გმირებს განასახიერებდა, ახლა უკვე მთიელი ჯარჯის სახით მშობლიურ გარემოში აღმოჩნდა. ჭაბუკიანის ჯარჯი დაჯილდოებული იყო ცეცხლოვანი ტემპერამენტით. მისი მგზნებარე შემართება თავისი მებრძოლი ბუნებით მთის არწივის ასოციაციას იწვევდა და უცებ ლირიზმი გამოანათებდა, როცა სიყვარულით ფრთაშესხმული ჯარჯი გულისსწორ მანეჟესთან ერთად კლასიკურ ადაჟიოს ასრულებდა.

ა. კრეინის „ლაურენსია" (ლოპე დე ვეგას „ცხვრის წყაროს" მიხედვით) ჭაბუკიანმა ლენინგრადში 1939 წელს დადგა, ესპანელი ფრონდოზოს როლი მანვე განასახიერა. მასზე ამბობდნენ, რომ ჭაბუკიანი ფრონდოზოსთვის იყო დაბადებული. მან წარმოაჩინა გმირის სახე ამბოხებულ ხალხთან კავშირში. ჭაბუკიანის ფრონდოზომ, მართალია, დაუთმო პირველობა ლაურენსიას (ამ როლში მისი პარტნიორები სხვადასხვა დროს იყვნენ: „ნ. დუდინსკაია, მ. პლისეცკაია, ვ. წიგნაძე), მაგრამ თავად მას არ დამორჩილებია. მისი ცეკვა იყო რაინდული, ვაჟკაცური, შემტევი. მისი ფრონდოზო გრიგალივით დაჰქროდა სცენაზე, ნავარდობდა ჰაერში, აკეთებდა თავბრუდამხვევ პირუეტებს.

შეყვარებული ფრონდოზო უცბად რისხვად გვევლინება, როცა იარაღი უნდა აიღოს ხელში. ფინალში გამარჯვების ზეიმი მისი ზეიმია — მაღალი მქროლავი ხტომებით, ძალზე სწრაფი, ელვისებური ტრიალით.

ჭაბუკიანი მოწოდებით მოცეკვავე იყო. მას ჰქონდა ცეკვის უჩვეულო უნარი. ამიტომ შეარქვეს „მოცეკვავე — ვირტუოზი". ის თვლიდა, რომ ცეკვაში მთავარი არ იყო ტექნიკა.

მიაჩნდა, რომ ტექნიკური სრულყოფა არაფერია, თუ ცეკვა მოკლებულია სულს, ემოციას, აზრს, შინაარსს. ჭაბუკიანი ყოველთვის მოაზროვნე მოცეკვავე იყო.

ომი დაიწყო. დადგა სამშობლოში დაბრუნების დრო. მტერი კავკასიას მოუახლოვდა. ჭაბუკიანი ჰეროიკულ საბალეტო სპექტაკლებს ამზადებს, ქართულ კლასიკურ ბალეტს უყრის საფუძველს.

1947 წელია. თბილისის ოპერის თეატრში იდგმება გრ. კილაძის ბალეტი — ზღაპარი „სინათლე". მას ჭაბუკიანის ფანტასტიკური ხელწერა ამშვენებს. ამ სპექტაკლში ჭაბუკიანი უფლისწული ავთანდილია, რომელიც ბნელ ძალებთან ბრძოლაში მშობელ ხალხთან ერთად იმარჯვებს. ეს იყო სამამულო ომში გამარჯვების გამოძახილი.

გრძელდება ახალი ძიებები ეროვნული ბალეტის განსამტკიცებლად. ჭაბუკიანი დავით თორაძის „გორდას" დგამს. მტერზე გამარჯვება კვლავ ახალ ასახვას თხოულობდა. ხალხმა იხილა გმირულ-პატრიოტული გრძნობით აღსავსე სანახაობა.

1953 წელია. ახლა მთავარია მშვიდობის შენარჩუნება. ჭაბუკიანი დგამს დ. თორაძის ბალეტს „მშვიდობისათვის". ამ დადგმით მან წმინდად მოიხადა ვალი ქვეყნისა და ხალხის წინაშე.

სულ 30 დადგმა განახორციელა დიდმა ბალეტმეისტერმა. მათ შორის აღსანიშნავია ბალეტი „ოტელო". (1957 წ.) ჭაბუკიანი უკვე დაბრძენებული შემოქმედია. მას აქვს განუმეორებელი და ყველასგან გამორჩეული ხელწერა. იგი ითვლება ბალეტ „ოტელოს" ლიბრეტოს ავტორადაც, ამდენად თავს უფლებას აძლევს დაშორდეს შექსპირს და სიუჟეტური თანმიმდევრობა შეცვალოს.

ჭაბუკიანის ოტელო იყო ვაჟკაცი, მეომარი, სახელგანთქმული მხედართმთავარი, მგზნებარე მიჯნური, მოყვარული ქმარი, კეთილშობილი ადამიანი.

ჭაბუკიანი — ოტელო მავრიტანული ცეკვისას არაჩვეულებრივად თავშეკავებულია თავის ჟესტებსა და მოძრაობებში. იგი არ იყენებს თავის ტრადიციულ ხტომებს. ცეკვავს მთელი სხეულით,

ყველა კუნთით და, რაც მთავარია, ხელებით. მისი ხელები სიტყვაზე მრავლისმეტყველია. ხან ვაჟკაცური, ხანაც ნაზი და მზრუნველი. მისი ბედნიერებაც და ტრაგიზმიც სწორედ ამ ხელებშია გამოხატული – ჯერ უბედნიერესი შეყვარებულის, შემდეგ კი „მოტყუებული“ კაცის – მკვლელის ხელებში.

ჭაბუკიანმა თავისი დადგმით და შესრულებით აკაკი ხორავას ათქმევინა: „უკვე რამდენიმე დღეა შთაბეჭდილებების ტყვეობაში ვარ. დიახ, ოტელლო ასობით წარმოდგენაში მითამაშია, რომლის ტანჯვა-წამება, სიყვარული განმიცდია ყოველ სპექტაკლში, მაგრამ ჭაბუკიანის ოტელომ სულ სხვაგვარად განმაცდევინა ოტელოს სიხარული და მწუხარება, სევდა და ტრაგიზმი.

მისი ოტელლო მართლაც რომ შექსპირისეულია“.

„დემონი“ და „ჰამლეტი“ ახალი მწვერვალებია ჭაბუკიანის შემოქმედებაში. მწვერვალების დაპყრობა გრძელდებოდა...

და უცებ, ფეხებმა უღალატა, თანდათან სიარულიც გაუჭირდა. ჯოხი დაიკავა ხელში, ეგონა, ეს დროებითი იყო, მაგრამ ავადმყოფობა ძლიერდებოდა.

კიდევ კარგი, მსოფლიოს დაპყრობა მოასწრო. მას უკვე კარგად იცნობდნენ შტატებში, სამხრეთ ამერიკაში, საფრანგეთში ავსტრიაში.

მოსკოვისა და ლენინგრადის თეატრებიც ხშირხშირად თხოვდნენ ჩასულიყო დასახმარებლად. როგორც იქნა, დაითანხმეს და მოსკოველებმა დიდ თეატრში ბენეფისი მოუწყვეს. მეორედმოსვლა იყო. უბილეთოდ დარჩენილი ხალხი საღამოს დამთავრებას გარეთ ელოდა, რომ შთაბეჭდილებები მოესმინათ. ამბობდნენ, ასეთი ამბავი შალიაპინის კონცერტებზე იყოო.

ლენინგრადმა მისი საიუბილეო საღამოს მოწყობა გადაწყვიტა. უხმობდნენ როგორმე ჩასულიყო. ავადმყოფობა გასაქანს არ აძლევდა და მან დაიჩივლა: „მარიას თეატრის სცენაზე ჯოხით ვერ ავალო...“

მსოფლიოს საუკეთესო კლინიკები მზად იყო დახმარებოდნენ, დათანხმებულიყო ოპერაციაზე. ჭაბუკიანი მხოლოდ მადლობას უხდიდა.

არადა, ხალხს ენატრებოდა მისი ცეკვა – მან ხომ თითქმის 60 წლის ასაკამდე ჭაბუკივით იცეკვა... ხალხს მისი ახალი დადგმები აინტერესებდა და არა მასზე საქები სტატიების კითხვა.... ამბობენ, დიდ მსახიობზე წერა არ შეიძლება, ის უნდა ნახოო.

ველარ ნახეს და დაიწყეს წერა, ზოგმა მის სიცოცხლეშივე, ზოგმა – მერეც.

„პირველად ვახტანგ ჭაბუკიანი ბაქოში ვნახე გასტროლებზე ჩამოსული მარინა სემიონოვასთან ერთად. მაშინ მე ბაქოს ქორეოგრაფიულ სასწავლებელში ვსწავლობდი. უგონოდ ვიყავი შეყვარებული მასზე სილამაზის და ვაჟკაცობის გამო. შევძლებდი განა იმის წარმოდგენას, რომ გავიდოდა წლები და მე მისი პარტნიორი გავხდებოდი“. **ვერა წიგნაძე.**

„რამდენი ნიჭიერი ახალგაზრდა აღზარდა, რამდენს გაუხსნა გზა“. **მიხეილ ლავროვსკი.**

„ვკანკალებ. იწყება ბალეტ „დონ-კიხოტის“ რეპეტიცია და მაშინვე ვექცევი მის ტყვეობაში. მიპყრობს მისი შთაგონებული სახე, კეთილი თვალები, თბილი ღიმილი, ძლიერი ხელები. ისეთი გრძნობა მეუფლება, თითქოს პირველად არ ვცეკვავ მასთან. საოცარი ერთიანობაა. ეს არის ნიჭი არა მხოლოდ შემოქმედისა, არამედ ადამიანისა“. **ოლგა ლეპეშინსკაია.**

ვახტანგ ჭაბუკიანს უცეკვია მსოფლიოს თითქმის ყველა ვარსკვლავთან. განსაკუთრებით გამოარჩევდა მარინა სემიონოვას და ალა შელესტს, ასევე ივეტ შოვირეს, ფრანგული ბალეტის უთვალსაჩინოეს ბალერინას.

„ერთხელ, როცა ქალბატონი ივეტ შოვირე მასთან ერთად ცეკვავდა „ჟიზელში“ და შეიტყო თავის პარტნიორის ასაკი, განცვიფრდა: „55 წელი! ფანტასტიკაა, ფანტასტიკა!“ – იგონებს ვახტანგის პირადი მასაჟისტი **იური ჩისტიაკოვი.**

დიდი სიყვარულით ლაპარაკობს ვახტანგ ჭაბუკიანზე **ალა შელესტი:**

„მე ბედნიერი და ამაყი ვარ იმით, რომ სცენური აღზევების, შემოქმედებითი დიდების, გაფურჩქვნის პერიოდში მყავს ნანახი ეს გენიალური მოცეკვავე, ვისთანაც ცეკვა ნეტარება იყო“.

„როდესაც დიდ თეატრში მძიმე პერიოდი მქონდა, ბატონი ვახტანგი ყველანაირად მედგა მხარში, მთავაზობდა კიდეც მასთან ჩასვლას სამუშაოდ თბილისში. ამის დავიწყება არ შეიძლება“. **მაია პლისეცკაია.**

თავისი შთაბეჭდილებები პარიზიდან **ეთერ ფაღავამაც** გამოგზავნა: „ყოველთვის მახსოვს გასტროლები ჩემს მშობლიურ, ძვირფას თბილისში. 1967 წელი იყო. ჩვენ ვცეკვავდით „ჟიზელსა“ და „დონ კიხოტს“. მასთან ყოველი შეხვედრა წარუშლელ კვალს და მადლიერების გრძნობას ტოვებდა შემოქმედებითი სიხარულისთვის“.

„როგორი იყო ვახტანგისა და ელენე ლიუკომას დუეტი, ღმერთო ჩემო, რა ხდებოდა! მისი ერთი გამოჩენა ატყვევებდა დარბაზს. სხეული როდენის ქანდაკებას ჰგავდა. მოძრაობათა შადრევანი, სილამაზე თითოეულ მოძრაობაში, თავის მობრუნებაშიც კი, ფრინველის ფრთებს მიმსგავსებული ხელების აქნევა. დარბაზი ხან სუნთქვაშეკრული გაირინდებოდა, ხან აღტაცებული იყო შთაბეჭდილებებით. ნოვატორი და მეამბოხე, საცეკვაო ტექნიკის რეკორდსმენი ჭაბუკიანი – რევოლუციაა ბალეტში“ – **სერაფიმა ვეკუა.**

...იმწლევანდელი აპრილი საბედისწერო აღმოჩნდა მისთვის. ბოლო წუთს, როცა სიცოცხლეს ემშვიდობებოდა, უთხოვია: წამომაყენეთო. წამოაყენეს, ვდგავარ, ვდგავარო და... გათავდა.

საიდან არ ჩამოვიდნენ მის დაკრძალვაზე თაყვანისმცემლები, ბალეტის ვარსკვლავები. თეატრიდან გამოსვენებისას ხალხმა ხანგრძლივი ტაშით დააჯილდოვა. ისმოდა გაუთავებელი „ბრავო“. ასეთი რამ ედიტ პიაფს, ანა მანიანის, ჟან გაბენს მოუწყვეს.

მთაწმინდაზე ხელით აიყვანეს. საფლავში ჩასვენებისას ისევ იქუხა ტაშმა. „ბრავო“ – ყვიროდა და ქვითინებდა ხალხი, – „შენ რევოლუცია ხარ ბალეტში“.

მეუღლეს, ბალერინა გალინა კუზნეცოვას ვახტანგი ომამდე დაშორდა, მაგრამ ისინი მეგობრებად დარჩნენ. გალინა თვლიდა, რომ ჭაბუკიანის გვერდით ცხოვრება ბედის საჩუქარი იყო. ღრმა მწუხარებით გამოეთხოვა იგი მეგობარს.

მათ დაშორებას ჰქონდა, ალბათ, გამართლება. ამბობენ, დიდი მსახიობები მხოლოდ ხელოვნებას ეკუთვნიანო. ამასვე ადასტურებს ალექსანდრე ვერტინსკი: „დიდი არტისტები ღმერთებივით არიან – მარტოხელები“.

ვახტანგ ჭაბუკიანს თავის მოწონება არ უყვარდა, მაგრამ მეგობრებთან საუბარში ხანდახან თავმდაბლად გაიხსენებდა თავისი შემოქმედებითი ცხოვრების ეპიზოდებს:

„დღევანდელ დღესავით მახსოვს 1934 წლის იანვარი, გამგზავრება ამერიკაში ტატიანა ვეჩესლოვასთან ერთად. ჩვენ შემოგვთავაზეს „კარნეგი ჰოლის“ საკონცერტო დარბაზი, სადაც აპლოდისმენტებით ხვდებოდნენ სერგეი რახმანინოვს, ანა პავლოვას. ჩვენი წარმატება დიდი იყო. ერთ-ერთ კონცერტზე მოვიდნენ ჯორჯ ბალანჩინი და გამოჩენილი მოცეკვავე პეტრე ვლადიმიროვი. მე რომ თქვენი ნიჭის მეოთხედი მქონდეს, – მითხრა მან, – მთელ მსოფლიოს დავაჩოქებდი ჩემს წინაშეო“.

მსოფლიო მართლაც დააჩოქა!

**ლია კაკაბაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ერთი ეპიზოდი კონსტანტინეს ცხოვრებიდან



● ვახტანგ კოტეტიშვილი, კონსტანტინე გამსახურდია, პავლე ინგოროყვა და ალექსანდრე აბაშელი

„ჩემს სიჭაბუკეში დიდ სიამოვნებას მგვრიდა ილია ჭავჭავაძის მაღალი და ნათელი შუბლის და მისი დიდრონი, სევდიანი თვალების ხატვა.

მუდამ ვოცნებობდი, როგორმე ახლოს მენახა იგი.

ჩვენი სოფლის ხუცესი ხშირად დადიოდა ტფილისში და მან მამცნო: მე მინახავს ილია ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების კანტორაში მრავალგზის.

თოთხმეტი წლის ბიჭუნას ფრიადების შინ მიტანისთვის ხუთი ოქრო მაჩუქა განსვენებულმა მამაჩემმა. ეს ფული შემოვინახე და ტფილისს წაველი დედაქალაქისა და ილიას სანახავად.

ცხადია, ჩემი მოკრძალებული წადილი იყო: შორიდან მაინც დამენახა იგი.

საშინელი შთაბეჭდილება დასტოვა ჩემზე ჩვენმა ტფილისმა. რკინიგზის სადგურზე, გრძელულვაშებიანი ჟანდარმები დაძრწოდნენ ღეზების ჩხარუნით, რიყის ქვით მოკირწყლულ ქუჩებში წითელყაბალახიანი კაზაკები დააჯირითებდნენ თავიანთ ნასუქალ ცხენებს.

ქართული ასოები მხოლოდ თონეებისა და სახაშეების აბრაზე იყო წაჯღაბნილი. არც ჩაქჩაქა ცხენიან ტრამვაიში, არც ქუჩაში ქართული არ ისმოდა.

ხანგრძლივი კითხვა-გამოკითხვის შემდეგ მივაგენი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების კანტორას, რომლის ვიტრინაში გამოფენილი იყო ილიას, აკაკის და იაკობ გოგებაშვილის ბროშურებული წიგნები. მათი ტირაჟი ათას ცალს არ აღემატებოდა.

ღრიჭოდ დარჩენილი კარიდან შევიჭვრიტე.

კანტორაში იჯდა სათვალიანი, მოღუშული მოხუცი და რაღაცას წერდა. როცა მან თავისი საქმიანობა მოათავა, სათვალე შუბლზე აიკეცა და მკითხა:

„შენ რა გინდა, ბიჭოვო?"

როცა ვუთხარი ილია ჭავჭავაძის ნახვა მინდამეთქი, გაოცებამ გაიელვა მის სახეზე და გვარი მკითხა, უკეთ რომ ვთქვა: „ვისი ბიჭი ხარ?"

როცა მე მამაჩემის სახელი და გვარი ვუხსენე, თავი გააქნია.

ასეთი გვარი ჯერ არ გამიგონია.

მე ისეთ ჰასაკში ვიყავი იმჟამად, როცა ვაჟებს განსაკუთრებულად უყვართ თავიანთი მამები. მანამდის აგრე მეგონა მთელი ქვეყანა იცნობს-მეთქი მამაჩემს, რადგან ჩემს თვალში იგი იყო ვაჟკაცობის, სიდარბაისლისა და სიმამაცის განსახიერება.

ახლა ასეთი რამ მკითხა ამ მოღუშულმა კაცმა:

„ჰო, მაგრამ რისთვის გინდოდა, ბიჭიკო, ილიკო ჭავჭავაძის ნახვა? შენ რა საქმე უნდა გქონოდა მასთან?"

ესა სთქვა და ირონიულმა ღიმილმა გადაირბინა მის მოღუშულ ტუჩ-პირზე.

მე პირდაპირ არ ვუპასუხე, რადგან ვიგრძენი, რა უხერხულ მდგომარეობაში ჩავვარდი ანაზდად, პირიქით შევეკითხე:

„მაინც სად შეიძლება ბატონი ილია ჭავჭავაძის ნახვა?"

„ილია პეტერბურგს წაბრძანდა წუხელ"...

მე გავეცალე ამ მიღუშულ კაცს, გულდაწყვეტილად გამოვხურე კარი, ახლა ჩემი ერთადერთი წადილი იყო: სიონი, შურის ციხე და მეტეხი მენახა (სხვა რამეების ნახვა მე არც მომინდომებია)...

...ერთი წლის შემდეგ ისევ ვაპირებდი ილიას სანახავად ტფილისს გამგზავრებას, აგვისტოს მოღუშულ საღამოს ჩემი საყვარელი კვიცი მდინარეში საბანაოდ მომყავდა.

რკინიგზის სადგურიდან მომავალმა ცხენოსანმა ასეთი საშინელი ამბავი მამცნო ტყისპირად:

ილია ჭავჭავაძე მოუკლავთო გუშინ.

იმ საღამოს ფიცი დავდევი: მთელი ჩემი სიცოცხლის მანძილზე მებრძოლა ილიას მკვლელების წინააღმდეგ.

მეორე დღეს, გაზეთებში ვნახე ილიას განგმირული შუბლი და ეს იარა მოუშუშებელ დამღად დააჩნდა მას შემდეგ ქართველი ხალხის გულს"...

მოამზადა **ნინო ზერაგიამ**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „თითების ავანტიურა"



„თითების თეატრს" თვრამეტწლიანი ისტორია აქვს, თუმცა თბილისში მხოლოდ მეოთხე წელია არსებობს. მეტიც, ოფიციალურად მხოლოდ წელს, ცოტა ხნის წინათ გაიხსნა და მაყურებლის – განსაკუთრებით ბავშვების, ისეთი მოწონება და სიყვარული დაიმსახურა, რომ უკვე საკუთარი ფანებიც კი ჰყავს – ბავშვები მშობლებს სპექტაკლზე კიდევ ერთხელ წაყვანას სთხოვენ. ეს არცაა გასაკვირი, რადგან თითქმის ერთი საათის განმავლობაში თითები ისე ბრწყინვალედ ასრულებენ სხვადასხვა ეტიუდებს, რომ შენდაუნებურად გითრევენ მშვენიერ „ავანტიურაში". პირველი „ავანტიურისტი" კი თეატრის ხელმძღვანელი ბატონი ბესო კუპრეიშვილია.

„თითების თეატრის" შექმნის იდეა სრულიად შემთხვევით დაიბადა 1988 წელს ბათუმში, ბავშვთა ხელოვნების სტუდია „მთიებში", რომლის ხელმძღვანელიც ქალბატონი ნინო ნიჟარაძეა. ამ სტუდიაში ბატონი ბესო კუპრეიშვილი რეჟისორ-პედაგოგად მუშაობდა. სტუდიაში საკვირაო ჯგუფიც იყო გახსნილი, სადაც ყოველ კვირა 18 გოგონა ხელგარჯილობას ეუფლებოდა. ერთ დღეს ქალბატონმა ნინომ რეჟისორს სთხოვა, „იქნებ ამ ჯგუფთანაც გაგეკეთებინა რამეო". გაგიჟდა ბატონი ბესო – „ამათთან რა უნდა გავაკეთოო?", მაგრამ...

**ბესო კუპრეიშვილი:** რომ აღარ მომეშვა, შევთავაზე, მოდი, ამ ბავშვებს დავმალავ, გამოჩნდება მხოლოდ ფეხი, ხელი, ყური, თითი-მეთქი... ყველაზე მეტად თითის გამოჩენის იდეა მოგვეწონა. დავიწყეთ მუშაობა, დავდგით რამდენიმე ეტიუდი და 17 წუთიანი პროგრამა ვუჩვენეთ მაყურებელს. ყველას ძალიან მოეწონა, მაგრამ ამ ბავშვებმა დაამთავრეს საკვირაო სკოლა, აიღეს დიპლომები და ჩვენც გავჩერდით. თუმცა, ცოტა ხნის შემდეგ მივხვდით, რომ კარგ რაღაცას ვაკეთებდით და გადავწყვიტე, თეატრალური სტუდია გამეხსნა, სადაც თითებითაც ვითამაშებდით. ერთი სიტყვით, თავიდან საერთოდ არ მიფიქრია, რომ ეს შეიძლებოდა „თითების თეატრი" ყოფილიყო, უბრალოდ, როგორც გითხარით, საუბარი იყო თეატრალურ სტუდიაზე, სადაც ვცდილობდით, ექსპერიმენტები ჩაგვეტარებინა. გახსნაზე „მთიებმა" და ჩვენმა სტუდიამ ერთობლივი ღონისძიება ჩავატარეთ და მეორე ნაწილში მაყურებელს ის ჩვიდმეტწუთიანი პროგრამა ვუჩვენეთ, რომელსაც ბავშვები თითებით თამაშობდნენ. ამის შემდეგ თითების სპექტაკლებზე მოთხოვნა თანდათან გაიზარდა და როცა ჩვეულებრივ სპეტაკლებს ვთავაზობდით მაყურებელს, ყველას ეგონა, რომ ამის შემდეგ თითების სპექტაკლი დაიწყებოდა. სამწუხაროდ, მოხდა ისე, რომ შენობიდან, სადაც ვმუშაობდით, გამოგვიშვეს, რადგან ასლან აბაშიძესა და დრამატურგ ალექსანდრე ჩხაიძეს შორის, რომელიც აჭარის თეატრის მოღვაწეთა კავშირის თავმჯდომარე იყო, ძალიან დიდი დაპირისპირება არსებობდა. ბატონი ალექსანდრე მსახიობის სახლის ხელმძღვანელიც გახლდათ, სადაც ჩვენი თეატრი მუშაობდა. მოკლედ, თვითონვე გადაგვიყვანეს დიდ შენობაში, რომელიც სავალალო მდგომარეობაში იყო, თუმცა შეგვპირდნენ, გავარემონტებთო. ერთ პატარა ოთახში ფარდა ჩამოვაფარეთ, ფანჯრებს ცელოფნები ავაკარით და ვითომ სარეპეტიციო სიტუაცია შევქმენით. ხუთი წელი ვიყავით ამგვარ მდგომარეობაში. შემდეგ შენობის გარემონტება დაიწყეს. რემონტი ორ წელს გაგრძელდა და იმდენი თანხა დახარჯეს, ხუთ თეატრს გააკეთებდა კაცი. იმ დროს ბათუმში ყველას უჭირდა, ლარიან ბილეთებსაც ვერ ვყიდდით, თუმცა ასლანი იძახდა, აჭარაში ყველაფერი ყვავისო. ჩვენ „ექსტრავაგანსამ" გადაგვარჩინა იმით, რომ თითქმის ყოველ წელიწადს უცხოეთში დავდიოდით გასტროლებზე: ორჯერ საფრანგეთში ვიყავით, ორჯერ – ინგლისში, ორჯერ – თურქეთში, ისრაელში, აზერბაიჯანში. თბილისშიც ჩამოვდიოდით ხოლმე... მერე უკვე საბოლოოდ გადმოვედი თბილისში, ბათუმში გაჩერება აღარ შეიძლებოდა. რამდენიმე წელია თბილისში ვარ, მაგრამ თეატრი სულ ორი თვეა, რაც გავხსენით. ჯერ ერთი, სარდაფის თეატრად ქცევის პროცესმა, ანუ სარემონტო სამუშაოებმა, წაიღო დიდი დრო, მეორეც, ყველაფერი საკუთარი სახსრებითა და დანაზოგით გავაკეთეთ.

**– მსახიობები, ანუ თითები რა პრინციპით შეარჩიეთ?**

– მსახიობს უნდა ჰქონდეს კარგი სმენა, მუსიკალური რითმის გრძნობა და, რაც მთავარია, ამ საქმის კეთების სურვილი. სხვა ყველაფერს ჩვენ ვასწავლით. თეატრში ამჟამად, ჩემი ჩათვლით, სულ თორმეტნი ვართ. ჩვენ ვალაგებთ აქაურობას, ვმორიგეობთ, ბილეთებს ვყიდით და ა.შ. მოკლედ, ყველაფერს ჩვენ ვაკეთებთ. ესენი (მსახიობებზეა საუბარი) თეატრის მეოთხე თუ მეხუთე თაობაა. ორი მათგანი ბათუმიდან თბილისში წამოვიდა სასწავლებლად და ავტომატურად მოხვდა ჯგუფში, დანარჩენები კი, რაღაც კასტინგივით ჩავატარე და, ისე ავარჩიე. მერე ვიღაცეები გავუშვი, ვიღაცეებს, ალბათ, კიდევ გავუშვებ, ვიღაცეებს კი ისევ ავარჩევ და ა.შ. ამ რამდენიმე კვირის წინაც მქონდა შერჩევა და იქაც ექვსი ბავშვი ავიყვანე... რვა მსახიობი მყავდა, ექვსი დაემატა, ამათაც „გავწმენდ" და ალბათ, საბოლოოდ ისევ რვამდე დავიყვან.

**– ანუ, თეატრში რვა მსახიობი გჭირდებათ?**

– შეიძლება ასე ითქვას... თუმცა, ექვსზე „ვგიჟდები"... უცხოეთში რომ მიდიხარ, ერთი კაციც კი ვაჭრობის საგანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხდება... სხვათა შორის, ახლა ერთი ბიჭი ავიყვანე, რომელმაც ანკეტაში ძალიან საინტერესო რაღაც ჩაწერა: „განათლება უმაღლესი, საქმიანობა – უსაქმური“. აგაშენა ღმერთმა, ბევრი საქმე გექნება – მეთქი, ვუთხარი. ხელიც ძალიან საინტერესო აღმოაჩნდა. ახალ ეტიუდს ვაკეთებთ და პირდაპირ შევიყვანე ამ ეტიუდში. ძალიან მალე გვექნება მზად და შეიძლება, „ექსტრავაგანსას“ დავამატო ან შესაძლოა, ახალი პროგრამა გავაკეთო კლასიკური მუსიკის მიხედვით და „კლასიკო“ დავარქვა. კარმენზე, ბოლეროზე, ჩაპლინზე, ვივალდის თემებზეა ლაპარაკი... თუმცა, ვნახოთ, ჯერ არ მომიფიქრებია – რას გადავწყვეტ...

**– თითების სიგრძეს თუ აქვს რაიმე მნიშვნელობა და საინტერესოა, რეჟისორი, არჩევანისას, ქალის თითებს ანიჭებს მეტ ყურადღებას თუ მამაკაცისას?**

– რა თქმა უნდა, გრძელი თითები კარგია, მაგრამ ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა არ აქვს. ჩვენ თითებს ვაცმევთ რაღაცეებს და გრძელი თითების ეფექტს ეს „ჩაცმულობა“ იძლევა. არც იმას აქვს არსებითი მნიშვნელობა, თითები ქალისაა, თუ მამაკაცის. მაგალითად, „ოსურში“ ქალების როლს მამაკაცებიც ცეკვავენ და ცხადია, პირიქითაც ხდება სხვა ეტიუდებში...

**– მსახიობების ასაკი განსაზღვრულია?**

– კი, ოცდასამი წლის შემდეგ იხურავენ ქუდს და სახლში მიდიან... ერთადერთი „ხანდაზმული“ გვყავს – ოცდაცამეტი წლის, „ნაროდნი არტისტს“ ვეძახი... ვფიქრობ, რომ მსახიობების ასეთი ცვლა კარგია. მე რამდენიმე თეატრში ვმუშაობდი და ვიცი, როგორი ინტრიგა ტრიალებს ყველგან. აქ მთავარი „ინტრიგანი“ მე ვარ, რასაც მინდა იმას გავაკეთებ, როცა მომინდება, მსახიობს მაშინ გავუშვებ, როცა მინდა – მივიღებ...

**– როგორც ჩანს, ძალიან მკაცრი ხელმძღვანელი ხართ...**

– ადრე უფრო მკაცრი ვიყავი – „ჩაუშესკუს“ მეძახდნენ. თითებს ვცემდი – დალილავებული თითებით დადიოდნენ მსახიობები. ახლაც შემომრჩა ეს ჩვევა, თუმცა ნაკლებად – ამათ ერთი-ორჯერ „გადავუარე“... რა ვქნა, საქმისადმი ზერელე დამოკიდებულებას ვერ ვიტან...

**– საუბრისას აღნიშნეთ, რომ ბევრჯერ იყავით უცხოეთში გასტროლებზე. ყველაზე კარგად რომელ ქვეყანაში მიიღეს „თითების თეატრი“?**

– ყველგან კარგად იღებენ, მაგრამ, მერწმუნეთ, საქართველოსთანა მაყურებელი არსად არის. მახსოვს, საფრანგეთში სპექტაკლი რომ დაიწყო, ერთი ეტიუდი დამთავრდა, არავითარი რეაქცია, მეორე ეტიუდი დამთავრდა, კვლავ – სიჩუმე, მესამე – ისევ სიჩუმე... ბოლოს კი გამხიარულდნენ, მაგრამ როცა ვიკითხე, რა ხდება-მეთქი, ვერ მივხვდით რა იყოო, – მიპასუხეს... ქართველები ყველაფერს მაშინვე ხვდებიან... უცხოეთში ზოგჯერ ვილაცეები მოდიან და გვეკითხებიან, თოჯინა გვაჩვენეთო... ვეუბნებით, რომ ეს თოჯინა არ არის, ხელთათმანია, მაგრამ სანამ ახლოს არ ნახავენ, არ სჯერათ ხოლმე... ასეთი რაღაცეებიც ხდება...

**– ვიცი, რომ სცენარებს თავად წერთ, ეტიუდზე მუშაობას დიდხანს უნდებით?**

– „ჯექსონის“ სამწუთიან ეტიუდს სამ წელიწადს ვაკეთებდი. „ჩაპლინი“ კი, რომელზეც ახლა ვმუშაობთ, 1989 წელს გავაკეთე, შემდეგ მივატოვე და ახლა ისევ თავიდან ვიწყებ. ამ ხნის განმავლობაში სულ ვფიქრობდი, რა შეიძლებოდა გამეკეთებინა, მე მგონი, რაღაც ისეთს მივაგენით, რომ მაყურებლისთვის საინტერესო იყოს. თითს ხომ ყველაფერი არ შეუძლია – რაღაცას აქაც ვატყუებთ მაყურებელს და იცით, როგორ კარგად ტყუვდებიან? თეატრი თამაშია, მაგრამ მაინც ვგიჟდები, როცა ტყუვდებიან.... მაყურებლის ფანტაზიაზე ვთამაშობთ, მაგრამ ამასწინათ ერთი გენიალური ფაქტი მოხდა: ერთი ციცქნა გოგონა მოიყვანეს სპექტაკლზე, რომელმაც ხმამაღლა იკითხა: „ეს რა იყოო?“ დავიჭირე – „არ მოგეწონა-მეთქი?“ – „არაო!“ – მგონი, მიხვდა (იცინის)... ბავშვებს ყველაზე კარგი რეაქცია აქვთ. მახსოვს, როგორ უთხრა ერთმა მეორეს: „მე გედები მომეწონა ძალიან“, „სულელო, გედები? ვერ დაინახე, რა დღეში იყვნენ“? – სპექტაკლს არჩევდნენ.





**– „თითების თეატრს“ ბათუმში პრეზიდენტი ჰყავდა – ასლან აბაშიძის შვილიშვილი და ეს, ალბათ, საუბრის ცალკე თემაა. უბრალოდ, საინტერესოა, აქაც ხომ არავინ მოინდომა პრეზიდენტობა?**

– ჯერჯერობით სიჩუმეა... ისე, გამოცდილება გვაქვს და ვიცით, ახლა როგორ უნდა ვილაპარაკოთ...

**– პოლიტიკოსებმა თუ ნახეს „ექსტრავაგანსა“?**

– მხოლოდ ოპოზიციის წარმომადგენლებმა... პოზიცია ჯერ არ ყოფილა, მიუხედავად იმისა, რომ დაპატიჟებულები იყვნენ...

**– მაყურებლებში ქალები სჭარბობენ თუ მამაკაცები?**

– ასე ვერ დავაკონკრეტებ: ხან ქალები სჭარბობენ, ხან – მამაკაცები.

**– და ბოლოს, ბატონო ბესო, მართალია, ნაწილობრივ უკვე ვისაუბრეთ, მაგრამ მაინც დავაკონკრეტოთ, რა სიახლე შეიძლება შევიდეს „თითების თეატრის“ რეპერტუარში?**

– პროგრამას აუცილებლად განვაახლებთ და გარდა იმისა, რაც უკვე გითხარით, ალბათ, აპრილის ბოლოს, ყოველ შემთხვევაში მაისში მაინც, მაყურებელი იხილავს პინქ ფლოიდის „კედელს“, რომელზეც ვმუშაობთ და იუმორით გადმოვცემთ ბევრ რამეს. ვფიქრობთ „ჰამლეტის“ დადგმაზე და ალბათ, ამასაც გავაკეთებთ. „ჰამლეტი“ თითებით ძალიან საინტერესო იქნება – მოკლედ, სანამ შეიძლება ამაზე ვიმუშაოთ (იგულისხმება თითებით თამაში), ვიმუშავებთ, შემდეგ კი, ვნახოთ...

**– იმედია, ეს „სანამ“ დიდხანს და წარმატებულად გაგრძელდება.**

**თამარ ოთიაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქართული ენის გუთნისდედა

დღევანდელი ახალგაზრდობისათვის, სამწუხაროდ, ნაკლებად ცნობილია, რომ დიდი ქართველი მეცნიერი ვახტანგ კოტეტიშვილი იყო რენესანსული ტიპის – უნივერსალური განათლებისა და ტალანტის მქონე პიროვნება, რაინდული სულის კაცი, ბრწყინვალე ქართველი, განუმეორებელი და უაღრესად თავისებური ხასიათის ადამიანი, – პრინციპული, უდრეკი და უშიშარი. საკმარისია აღინიშნოს ის ფაქტი, რომ ვახტანგ კოტეტიშვილი თბილისის უნივერსიტეტში კითხულობდა პოეტიკისა და ფოლკლორის კურსს, ხოლო სამხატვრო აკადემიაში – ქანდაკების თეორიასა და ისტორიას, რომ იყო გაზეთ „ქართული სიტყვის“ რედაქტორი, მხატვართა საზოგადოების თავმჯდომარე და მისი უნივერსალობის შესახებ ეჭვიც აღარავის დაებადება. მეტსაც ვიტყვი: ცნობილ ირანისტ პროფესორს დავით კობიძეს, რომლის კალამსაც, სხვა რომ არა ვთქვათ, ეკუთვნის „სპარსული ლიტერატურის ისტორიის“ ტომები, თავისი სტუდენტებისათვის – ჩვენთვის, რამდენჯერმე უთქვამს: ხომ საოცრებაა ჩვენი ვახუშტი და, სამართლიანადაც გვიყვარს ყველა ჩვენგანს, მაგრამ ნუ გეწყინებათ და, მაინც მამამისის ვახტანგ კოტეტიშვილის აჩრდილიაო ოდენ. როდესაც დავით კობიძის ეს სიტყვები ბატონ ვახუშტის ვუთხარი, ცხადია, მართალიაო, ისე თქვა, არც კი დაფიქრებულა. ვესაუბრები ვახუშტი კოტეტიშვილს. ამჯერად მამამისზე, ვახტანგ კოტეტიშვილზე ვსაუბრობთ.

**– ბატონო ვახუშტი, უნივერსიტეტში სწავლის დროს თუ შემდგომ პერიოდში, ძალიან ბევრი მსმენია მამათქვენზე ვახტანგ კოტეტიშვილზე. თქვენ, ცხადია, მამას არ მოსწრებიხართ, ორი წლისა თუ იქნებოდით, როცა იგი დახვრიტეს, მაგრამ შემდეგ, მრავალ ავტორიტეტთან გექნებოდათ საქმე, რომელნიც ახლოს და კარგად იცნობდნენ ვახტანგ კოტეტიშვილს. ამ ავტორიტეტთაგან ვის აზრებს გამოარჩევდით მამათქვენზე. რაო, როგორი იყო მათეული ვახტანგ კოტეტიშვილი?**

– როდესაც მამაჩემზე მეკითხებიან რაიმეს, ყოველთვის ორ წყალს შუა აღმოვჩნდები ხოლმე: ალალად ვთქვა, ვინც იყო ვახტანგ კოტეტიშვილი, როგორც უაღრესად საინტერესო მოღვაწე და მრავალმხრივი ხელოვანი თუ მამაშვილობის გამო ვიუხერხულო და მივაჩუმათო მისი ჭეშმარიტად დიდი ღვაწლი ქართველი ერის წინაშე.

მაგრამ მე ხომ ბედმა არ მარგუნა ის უმარტივესი რამ, რასაც მშობლიური სითბო ჰქვია, დედაშვილობა და მამაშვილობა, რაც ადამიანთა დიდ უმრავლესობას აპრიორულად ეძლევა ხოლმე, როგორც არა ჯილდო, არამედ ჩვეულებრივი რამ, ყოველგვარი დამსახურების გარეშე. თქვენც კარგად მოგეხსენებათ, რომ დედა ჩემზე მშობიარობას გადაჰყვა, ხოლო მამა ორი წლისას დამიხვრიტეს ავადსახსენებელ 1937 წელს. ამიტომ მე მათ შესახებ მხოლოდ ის ვიცი, რაც ჩემთვის უცნობებიათ ნათესავებსა თუ ოჯახის მეგობრებს, მამაჩემის ყოფილ სტუდენტებსა თუ კოლეგებს, რომელთა რიცხვი იმდენად დიდია, რომ მათ უბრალო ჩამოთვლას ამ ჟურნალის მთელი ნომერი არც ეყოფა. თან იმასაც თუ დავამატებთ, რაც მათ მონათხრობს ცრემლი და ოხვრა, მათი სულების ლოცვა და კომუნისტების ჩუმი წყევლა-კრულვა მოჰყოლია, ამას ხომ ვერც ენა აღწერს და ვერც კალამი.

მაყვალა მრევლიშვილის მოგონება წავიკითხე მამაჩემზე, სადაც წერს: მე და ლოლეტა ვირსალაძე ვცდილობდით, ვახტანგის ლექცია ჩაგვეწერა, მაგრამ არაფერი გამოგვდიოდა იმიტომ, რომ მისთვის მარტო კი არ უნდა გესმინა, უნდა გეყურებინა კიდეც, რადგან მისი ლექცია იყო სპექტაკლი, წარმოდგენა, რომელშიც სხეულის ყოველი ნაწილი მონაწილეობდაო... ვახტანგი მარტოოდენ



ამა თუ იმ საგანს კი არა, ათას სხვა რამესაც გვასწავლიდა, ყველა პრობლემისადმი დამოკიდებულებას, რა თქმა უნდა, სიღრმისეულადო.

**– ამბობენ, რენესანსული ტიპის პიროვნებათაებრ, უნივერსალური, ძალზე განსწავლული და განათლებული ყოფილა. რა და რა დარგში თქვა მან თავისი სიტყვა?**

– ვახტანგ კოტეტიშვილი იყო ხელოვანი და მეცნიერი ერთსა და იმავე დროს. დამთავრებული ჰქონდა სანკტ-პეტერბურგის ფსიქო-ნევროლოგიური ინსტიტუტი, ტარტუს უნივერსიტეტი და თბილისის სამხატვრო აკადემია ქანდაკების განხრით. ეს ის სპეციალობები გახლავთ, რასაც მისი ოფიციალური დიპლომები გვამცნობს. ფაქტობრივად კი იგი იყო ლიტერატურის თეორეტიკოსი და ისტორიკოსი, ფოლკლორისტი და სოციოლოგი, დიპლომატიურ ურთიერთობათა მკვლევარი, ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის საკითხებზე მოაზროვნე ესეისტი, ხელოვნების ისტორიკოსი, პროფესიონალი მოქანდაკე და მხატვარი, პოეტი და მწერალი, არტისტული ნიჭით დაჯილდოებული პიროვნება და დიდებული ორატორი, ბრწყინვალე ლექტორი და პედაგოგი, სპორტსმენი (მოჭიდავე ფალავანი) და უცნობილესი თამადა. გარდა ამისა, იყო აგრეთვე, ჩინებული ორგანიზატორი. სხვადასხვა წლებში იგი იყო მწერალთა კავშირის თავმჯდომარე, მხატვართა კავშირის თავმჯდომარე, საქართველოს მუზეუმის დირექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში, ფოლკლორის განყოფილების გამგე, საქართველოს მთიელთა საზოგადოების პრეზიდიუმის წევრი და სხვა...

ჩვენ, მისმა შვილებმა და შვილიშვილებმა გავინაწილეთ მისი მოღვაწეობის თითო-ოროლა სფერო, რაღაცას ვფხაკურობთ, მაგრამ იმ სულგანათლებულის აჩრდილები ვართ მხოლოდ. სხვები

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაცილებით მეტს ლაპარაკობდნენ მასზე. ვახტანგ კოტეტიშვილის საქებრად განსაკუთრებით გულუხვად ირჯებოდნენ მასზე უზომოდ შეყვარებული ქალები, რომლებიც არც კი მოერიდებოდნენ ხოლმე და პირდაპირ მომახლიდნენ, კარგი ვაჟკაცი ხარ, მაგრამ მამაშენი სულ სხვა იყოო. მამაჩემი ყოველთვის იდეალი იყო ჩემთვის და დღემდე იდეალად რჩება.

**– თქვენგან მსმენია: თურმე, ვახტანგ კოტეტიშვილის არქივში არსებულა ვრცელი სია იმის შესახებ, რაც დაწერილი ჰქონდა და რის გამოქვეყნებასაც აპირებდა, სად არის ის სია?**

– მართალია. ასეთი სია მართლაც არსებობდა, მაგრამ დაიჭირეს თუ არა, მისი არცერთი ნაშრომი აღარ დარჩენილა. ეს ნაწერები ან სუკმა წაიღო, ან მისმა კოლეგებმა დაიტაცეს, – იმათ, ვინც ფაქტობრივად, დააბეზღეს და დააჭერინეს ვახტანგი.

**– რას ფიქრობთ, რატომ დაიჭირეს მამათქვენი?**

– ჩემო ბელა, ისეთ გულუბრყვილო შეკითხვას მაძლევთ, თითქოს სხვა პლანეტიდან შემთხვევით მოხვდით ამ ცოდვა-ბრალიან დედამიწაზე. ვახტანგ კოტეტიშვილის მსგავსი პიროვნებები არ აწყობს არც ნებისმიერ მთავრობას, არც იმ მედროვეებს, რომლებიც თავიანთ სკამებს ებღაუჭებიან და მისი დაკარგვის შიშით ყველაფერს აკეთებენ ღირსეული ადამიანების გზიდან ჩამოსაცილებლად. ქურდი, ყაჩაღი, კაცისმკვლელი ნაკლებსაშიშია ბოროტი ხელისუფლებისათვის, ვიდრე გონიერი, სალად მოაზროვნე და ავტორიტეტული პიროვნება. ასე იყო ყოველთვის და ვაი, რომ ასე იქნება. ასეთ ადამიანებს დიქტატორული რეჟიმი კლავს, ხოლო „დემოკრატიული“ კი – ცხოვრების მათხოვრულ პირობებს უქმნის და ეს მიაჩნია ჰუმანიზმის უდიდეს გამოვლინებად. ჩამშვები და მსტოვარი კი ბრბოში ყოველთვის მოიძებნება. ნათქვამია: „თაფლი იყოს და ბუზი ბაღდადიდან მოვაო“.

**– გაქვთ თუ არა, თავის დროზე გამოქვეყნებული ვახტანგ კოტეტიშვილის წიგნები?**

– ვახტანგ კოტეტიშვილის რეაბილიტაციის (1956 წ.) შემდეგ გამოქვეყნდა: 1. ქართული ლიტერატურის ისტორია (XIX ს.), 2. ხალხური პოეზია, 3. ქანდაკების ისტორია, 4-5. რჩეული ნაწერების ორტომეული. ყველა ეს წიგნი ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად არის ქცეული, ახალი გამომცემელი კი ჯერჯერობით არ ჩანს.

**– სტუდენტობისას, როდესაც თქვენ ჩემი საკურსო ნაშრომის ხელმძღვანელი იყავით, საჭირო კონსულტაციისათვის შინ გეწვიეთ. სხვა ნამუშევრებთან ერთად თვალში მომხვდა, მამათქვენის ნამუშევარი – ბიუსტი „ალექსანდრე ყაზბეგი“, სად არის ამჟამად ეს ბიუსტი?**

– ამ ქანდაკების ორიგინალი თბილისის ყოფილ დენდროლოგიურ პარკში იდგა. შემდეგ იმ პარკში განლაგდა კომუნისტების სამთავრობო რეზიდენცია და იქ შესვლა ჩვეულებრივ მოკვდავთ გვეკრძალებოდა. ისე დავამთავრე სკოლა, რომ ეს ბიუსტი ნანახიც არ მქონდა. როდესაც ვნახე, ქანდაკებას ყველაფერი მომტვრეული ჰქონდა და მხოლოდ უფორმო ლოდიღა იყო დარჩენილი. თქვენ რომ ნახეთ, ის თაბაშირის ასლი იყო მხოლოდ და იგი დღესაც დგას ჩემს ოჯახში.

**– ჰქონდა თუ არა მამათქვენს ნახატებიც და რა შემოგრჩათ აქამდე?**

– უდიდესი ნაწილი, 1992 წლის 2 იანვრის იმ ავადსახსენებელ დღეს დაიწვა. მათ შორის იყო ქაქუცა ჩოლოყაშვილის ქალიშვილების პორტრეტები. ქაქუცას ემიგრაციაში წასვლის შემდეგ, ვახტანგ კოტეტიშვილი კონსპირაციულად, საკუთარი სიცოცხლის ფასად პატრონობდა მის უმწეოდ დარჩენილ ოჯახს. ის პორტრეტებიც იმდროინდელი გახლდათ. გადარჩა მხოლოდ რამდენიმე ნახატი, რომელთა ალმოდებული სახლიდან გამოტანა უზნელმა ბიჭებმა შეძლეს. მათი მადლობელი ვარ და მუდამ ვიქნები.

**– დღეის გადასახედიდან, სიღრმისეულად თუ გაგიცნობიერებიათ, როგორ წერდა ვახტანგ კოტეტიშვილი?**

– ალბათ, იწვოდა. სხვანაირად, ისე წერა შეუძლებელია. ბავშვობაში სიღრმისეულად ვერა, მაგრამ შემდეგ გავაცნობიერე, რომ მამაჩემი სულ სხვანაირად, გამორჩეულად წერდა. მისებურად, საქართველოში ვერავინ წერდა. აი, თუნდაც: „მე ერთი [illegible] მუშა ვარ, ჩვენი განათლების მომცდარ ყანაში“. ასე მადლიანად წერს იგი „ლიტერატურის ისტორიის“ შესავალში. დამეთანხმებით, ამ „მომცდარ ყანას“ ყველა ვერ იტყვის. ვახტანგ კოტეტიშვილი ქართული ენის გუთნისდედაა.

**– ვიცნობ მამათქვენის მიერ შეკრებილსა და გამოცემულ „ხალხურ პოეზიასა“ და „ქართული ლიტერატურის ისტორიას“. კმაყოფილი ხართ თუ არა მისი ნაშრომების გამოქვეყნებით. რაიმე ხომ არ შეიცვალა არსებული რეჟიმის სიმწვავიდან გამომდინარე?**

– რეაბილიტაციასთან ახლო პერიოდში რაც გამოქვეყნდა, მათმა გამომცემელმა დავით გამეზარდაშვილმა რედაქციული შესწორებებით გამოაქვეყნა, ვინაიდან ჯერ კიდევ კომუნისტური რეჟიმი მძვინვარებდა, და სხვაგვარად, ვახტანგ კოტეტიშვილის ნაწერები ისევ აიკრძალებოდა. მაგალითად, სტატიიდან, რომელიც 1922 წლის ქართული მწერლობის მიმოხილვას ეძღვნება, ამოღებულ იქნა გრიგოლ რობაქიძის პუბლიკაციების შეფასება, რომელიც, იმ დროისათვის, ჯერ კიდევ არ იყო რეაბილიტირებული. აი, ეს მონაკვეთიც, რომელიც პირველად ქვეყნდება:

„გრიგოლ რობაქიძე – იგი მრავალმხრივი მწერალია, ესთეტიკურ კულტურით გამახვილებული და ქართული მწერლობის წინაშე დიდად დამსახურებული, მაგრამ აქ მე მინდა აღვნიშნო როგორც პოეტი. ქართველმა საზოგადოებამ გაიოცა ოდესღაც მისი პოეტობა. მაგრამ რობაქიძემ ამ გაოცებას უპასუხა ისეთი მანძილით, პირველ ლექსებსა და დღევანდელს შორის რომ არსებობს. უცნაურია ეს ადამიანი. იგი აზროვნებს პოეტურ სახეებით და პოეტობს აზრით. მისი ლექსი თეორიულია. იგი შრომის ნაყოფია იმდენადვე, რამდენადაც შემოქმედებისა. იგი თავის პოეზიაში მკვლევარია. ბრიუსოვმა ერთ ლექსში ბალმონტს მიმართა: „Мы пророки – ты поэт“. ვიღაც უნდა არსებობდეს, ან უნდა იარსებოს, რომ გრიგოლ რობაქიძემ მიმართოს მას ბრიუსოვის მსგავსად. იგი, მართლაც, თავის პოეტურ წრეში წინასწარმეტყველია. იგი იძლევა პაროლებს. იგი აბრუნებს პოეზიის კომპასს. მასში ამ წელსაც მოხდა გარდატეხა და „მიწის სჯულს“ მიმართა უჩვეულოდ. თუმცა ეს „სჯული“ მასში ყოველთვის იყო, მაგრამ მალულად. საგულისხმოა მისი დაუბეჭდავი „ტფილისის ხერხემალი“, როგორც სახეებით, ისე შინაგანი ადუღებით და სპაზმებით. აღსანიშნავია, რომ გრიგოლ რობაქიძემ იცის ქართული სიტყვის საიდუმლოება. მაგრამ თავის ლექსებში ის ზოგჯერ ღალატობს თავის ესთეტურ შეგრძნებას: ზოგ სიტყვას ხშირი ხმარებით უკარგავს მიმზიდველობას. მაგალითად: „დაყურსული – გალურსული“ („წმ. ნინო“), „ტანდაყურსული – გალურსული“ („ამორძალი ლონდა“) და სხვა. ეს ყველაფერი ახსოვდება ყურს, როგორც უჩვეულო, მის მიერ შემოტანილი სიტყვები და მის მიერვე ხშირად ხმარებული. ცუდად ისმის, აგრეთვე, ახალ ლექსში „წმ. ნინო“: „როცა გადასხლავენ



● ვახტანგი შვილებთან

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახტიკი სასხლავით". გრიგოლ რობაქიძე ფხიზელი და გაფრთხილებული მწერალია და ასეთი ნაკლი არ უნდა ჰქონდეს".

**– გრიგოლ რობაქიძის პოეზიის რაობაზე საუბარი ძალზე სიმპტომატური და ყურადსაღებია. ვახტანგ კოტეტიშვილი ძალზე პოეტური კაცი ყოფილა. სხვადასხვა დროს ამის თაობაზე უსაუბრია, პირადად ჩემთან, ბატონ დავით კობიძეს. გამორჩეული ლექციებიც ჰქონია. რა იცით ამ ლექციებზე?**

– ვიცი ის, რაც თქვენც გცოდნიათ. იმდროინდელი სტუდენტებისაგან მსმენია: ორი გამორჩეული ორატორი გვყავდა: შალვა ნუცუბიძე და ვახტანგ კოტეტიშვილიო. ბატონი შალვა მეტად გაწაფული არტისტიზმით გამოირჩეოდა, ბატონი ვახტანგი კი უფრო ბუნებრივი და ცეცხლოვანი იყოო.

**– თვალში საცემია ვახტანგ კოტეტიშვილის მდიდარი ქართული. საიდან ჰქონდა ასეთი მადლიანი ცოდნა ენისა?**

– დედის ეკატერინე ბიძინაშვილისაგან. ბებიაჩემმა ზედმიწევნით კარგი ქართული იცოდა და მისგან ვისწავლეთ ასეთი ქართული მე და ჩემმა უფროსმა დამ ლეილამაც. მამაჩემის „ხალხური პოეზია" რომ გადაშალოთ, ბევრგან ნახავთ, რომ აღნიშნულია: „ჩამაწერინა ეკატერინე ბიძინაშვილმა", „ჩამაწერინა დედაჩემმა".

**– თქვენი წიგნი „ჩემი წუთისოფელი" ხატოვნად გადმოგვცემს ყველაფერს, რაც ბავშვობაში გადაგხდენიათ. განსაკუთრებული სიყვარულით სწორედ ბებია ეკატერინეზე საუბრობთ. შთამომავალთაგან ვინ ჰგავს თქვენს ბებიას და რითი?**

– ჩემს ბებია ეკატერინეს ყველაზე მეტად ჩემი ბიძაშვილი იათამზე კოტეტიშვილი ჰგავს. იგი ცნობილი ფსიქოლოგი, სერიოზული მეცნიერი და, ამავე დროს, ყოვლად „არასერიოზული" პიროვნებაა (რასაკვირველია, მის განსაკუთრებულ იუმორის ნიჭს ვგულისხმობ). განსხვავება მხოლოდ ემოციურობის დოზებშია. ბებია ეკატერინე უფრო დარბაისელი ბრძანდებოდა, იათო კი უფრო ექსცენტრიული და ხმაურიანია.

**– როგორც თქვენი ბიძაშვილის, ლადოს ქალიშვილის, იათოს დის ნანა კოტეტიშვილისგან ვიცი, იგი მამათქვენზე წერს წიგნს. რა წიგნია ეს წიგნი და თქვენგან კონსულტაციებს თუ საჭიროებს ნანა კოტეტიშვილი?**

– ნანამ დიდი საქმე გააკეთა. შეკრიბა ყველაფერი, რაც კი გადარჩა მამაჩემის ფოლკლორული მემკვიდრეობიდან. ეს დიდი კრებული გადაცემულია გამომცემლობა „მერანში" და წლის ბოლომდე დაიბეჭდება კიდეც. რაც შეეხება კონსულტაციებს, ნანამ, რასაკვირველია, სული ამომხადა თავისი მეტისმეტი სიფრთხილითა და პატიოსანი სკრუპულოზურობით. ჩვენ, მე და ნანა, ტოლები ვართ და ერთად დაზრდილნი. ამიტომ, უფლება აქვს, „ბოროტად" ისარგებლოს ჩემი მოთმინებით, ანდა ყურადღება არ მიაქციოს ჩემი ნერვული სისტემის ვულკანურ ამოფრქვევებს. ამას, ბუნებრივია, ხუმრობით მოგახსენებთ. მე მისი მადლობელი ვარ, რომ ეს უმძიმესი ტვირთი ჩამომხსნა მხრებიდან და ჩემი გასაკეთებელი საქმე ასე წარმატებით დაამგვირგვინა.

**– ბატონო ვახუშტი, თქვენი ავტორიტეტიდან გამომდინარე, მაინც იმ საწუხარს უნდა დავუბრუნდე, რომ მამათქვენის – ამ უნივერსალური მოაზროვნის შრომები სრული სახით არ გამოცემულა და ვინმე სწორუპოვარ მდიდარ კაცთან ანუ ბიზნესმენთან თუ გქონიათ საუბარი ამ საკითხზე და ამ საუბრის შედეგი რა ყოფილა?**

– გახსოვთ, როგორ იწყება „ტომ სოიერის თავგადასავალი"? – „ტომ, პასუხი არ არის – ტომ, პასუხი არ არის" ჯერჯერობით ასეა საქმე. ვინ და რატომ უნდა დააფინანსოს ვახტანგ კოტეტიშვილის თხზულებათა მრავალტომეულის გამოცემა? ეს ხომ არც მოდების ჩვენებაა, არც ესტრადული მანჭვა-გრეხა, არც „ჯეობარი" და არც სხვა რამ უხამსი სანახაობა. ეს ხომ კულტურული მოვლენაა. კულტურა კი ვიღას სჭირდება ჩვენს მეტისმეტად ცივილიზებულ ქვეყანაში?!

ესაუბრა **ბელა შალვაშვილი**

# მადლობა უფალს ყველაფრისათვის



● ნინო შვილთან და შვილიშვილთან

ნინო ალფაიძე მშვენიერი ქართველი ქალია. იგი 11 შვილის დედა და ორი შვილიშვილის ბებიაა. მიუხედავად უამრავი საზრუნავისა და საქმისა, ყოველთვის ფორმაშია და თავს ბედნიერად გრძნობს. სიყვარულით გათხოვდა და დარწმუნებულია, რომ ამ უდიდესი გრძნობის გარეშე ამხელა ტვირთის ზიდვას ვერ შეძლებდა.

**– მაინც რა გიმსუბუქებთ ტვირთს?** – ვეკითხები და დაუფიქრებლად მპასუხობს:

– მეუღლისა და შვილების თანადგომა და სიყვარული.

**– ბავშვების გაზრდაში გეხმარებათ ვინმე?**

– ადრე დედა და დები მეხმარებოდნენ, ახლა უკვე უფროსები ამომიდგნენ მხარში, ერთგულად და საიმედოდ.

**– როგორია თქვენი ერთი ჩვეულებრივი დღე?**

– საკმაოდ რთული.

**– დილა როგორ იწყება?**

– მეუბნებიან, რომ დილიდან ვიწყებ ჩხუბს. ვყვირი, რომ ჩქარა მოემზადონ სკოლაში წასასვლელად, სწრაფად ჩაიცვან, ისაუზმონ. შემდეგ ორ პატარას ვაწესრიგებ საბავშვო ბაღისათვის, ან მე მიმყავს, ან რომელიმე უფროს ბავშვს. სახლში მე და პატარა ეკატერინე ვრჩებით. ამასობაში ვამზადებ სადილს, ვალაგებ, ვრეცხავ, საქმეს მოვითავებ და... ჯერ ერთი ნაწილი მოდის სკოლიდან, ვასადილებ, შემდეგ – მეორე... მერე პატარები მოგვყავს ბაღიდან. საღამოს ვახშამი. მოკლედ, ყოველდღე ერთი და იგივე ორომტრიალია. პო, ბიჭები სპორტზეც დადიან...

**– საკუთარი თავისთვის თუ გრჩებათ დრო?**

– მე თვითონ არ მსიამოვნებს, როცა მოუწესრიგებელი ვარ. მიყვარს კარგ ფორმაში ყოფნა, რასაც ვახერხებ, ასე თუ ისე. თუ ვერ მოვწესრიგდები, იმ დღეს ცუდად ვგრძნობ თავს. მაგრამ თუ სულიერად ვერ მოვწესრიგდი, რაც გამოიხატება ლოცვაში, იმ დღეს ძალიან არეული ვარ და ყველაფერს ეტყობა, ბავშვებსაც, საქმესაც.

**– თქვენი მეუღლე, მამა ბესარიონი, მენაბდე, სასულიერო პირია. თუ ახერხებს თქვენს დახმარებას ოჯახურ საქმეებში?**

– ახლა უკვე ვერ მეხმარება, ისე როგორც ადრე, მაგრამ ბაზარში ყოველთვის დადის და ერთი კვირის მარაგი მოაქვს, რასაც მე ნამდვილად ვერ შევძლებდი. ბავშვებთან ურთიერთობა-



● იო, ნიკა, აბო და გაბო



● აჩი, ივიკო, ნიკა, აბო და გაბო



● ილია და ლუკა

კი სამსახური ჩემთვის უკვე ძალიან დიდი ტვირთი იქნება. მაშინ ოჯახს უნდა მოვაკლო ბევრი. ჩემი ცოდნა მაინც ძალიან გამომადგა, ბავშვებს ვეხმარები.

**– თქვენს ოჯახში ურთიერთობები ყოველთვის მოწესრიგებულია?**

– ვცდილობთ. იდილიაში არ ვართ, მაგრამ მე თუ ვარ სულიერად მოწესრიგებული, იმ დღეს ყველაფერი წესრიგშია.

**– თქვენი ცხოვრების ყველაზე ბედნიერი დღე.**

– ჩემი საზომებით, თავი ბედნიერად ბევრჯერ მიგრძვნია, დაკონკრეტება მიჭირს.

**– სევდიანი როდის ხართ?**

– თუნდაც როდესაც ვერ ვახერხებ, პასუხი გავცე ბავშვს. დეპრესიული მომენტებიც მაქვს ხოლმე, მაგრამ, საბედნიეროდ, იშვიათად. ღვთის მადლით, ვძლევ ამ პრობლემას.

**– ოპტიმისტი ხართ?**

– დიახ.

**– საოჯახო საქმეებს თქვენით უძლვებით, თუ გყავთ დამხმარე ქალი?**

– დამხმარე ქალი მყავს, მაგრამ ვცდილობ, მე დავამზადო სადილი, რადგან საკმაოდ პრეტენზიული ბავშვები მყავს.

**– მარხვას ყველა ბავშვი ინახავს?**

– ყველა, ასაკის მიხედვით.

**– რა ასაკიდან იწყებენ მარხვას?**

– 7-დან 12 წლამდე ბავშვები მარხვას ინახავენ ოთხშაბათს და პარასკევს, თუ დიდი მარხვაა, ხორცს არ ჭამენ, რძის ნაწარმს იღებენ მხოლოდ.

**– როცა გათხოვდით, იფიქრებდით, რომ 11 შვილის დედა გახდებოდით?**

– ნამდვილად არა. მაშინ არაეკლესიურად ვაზროვნებდი, როგორც იყო საზოგადოებაში მიღებული – 2 შვილი, სამსახური და ა.შ. ახლა ისეთი ცხოვრება ვერც წარმომიდგენია.

**– რამდენი წლის გათხოვდით?**

– ცხრამეტის.

**– ახლა რამდენი წლის ხართ?**

– ორმოცდასამის.

**– ის სიყვარული, რაც მაშინ გქონდათ თქვენი რჩეულის მიმართ, იგივეა თუ?..**

– ჩემი აზრით, უფრო ძლიერია.

**– ამ სიძლიერეს რამ შეუწყო ხელი?**

– ალბათ, წლებმა, რომელიც ერთად გავატარეთ, საერთო სიხარულმა და პრობლემებმა.

**– რა არის ყველაზე დიდი პრობლემა თქვენთვის?**

– პრობლემა უამრავია, მაგრამ გადაულახავი და დაუძლეველი, ღვთის ნებით, არაფერია.

**– ჯანმრთელობის თვალსაზრისით?**

– არავითარი. ორსულობა და მშობიარობა პირიქით, აახალგაზრდავებს ქალის ორგანიზმს. ამას გონიერი ექიმები ამბობენ. უბრალოდ, მრავალი შვილი ძალიან დიდი ტვირთია ქალისთვის დღევანდელი მოუწესრიგებელი ცხოვრების გამო, მაგრამ, როდესაც გყავს დამხმარე და გაქვს ელემენტარული პირობები, განწყობა და ღვთის წყალობა, მაშინ ნებისმიერი პრობლემა და სიძნელე უკან იხევს.

**– 11 შვილზე შეჩერდებით?**

– ეს ღვთის ნებაა.

**– გაგვაცანით თქვენი შვილები.**

– თამარი 22 წლის არის, პროფესიით ფილოლოგი, ჰყავს მეუღლე ლაშა ცხვედიანი და ორი შვილი – მარიამი და ნიკოლოზი; არჩილი 19 წლის არის, სწავლობს არქიტექტურის ინსტიტუტში; თინათინი – უნივერსიტეტის ახალი ბერძნულის ფაკულტეტის სტუდენტია; იოანე (15 წლის), ნიკოლოზი (13 წლის), აბო (10 წლის), გაბრიელი (9 წლის) და თეკლე (7 წლის) სკოლის მოსწავლეები არიან. შემდეგ მოდიან პატარები: ლუკა (4 წლის), ილია (3 წლის) და ეკატერინე, რომელიც 1 აპრილს გახდა 2 წლის.

**– ანუ თქვენი შვილი და შვილიშვილი თითქმის ტოლები არიან.**

– მათ შორის ოთხი თვეა განსხვავება. ასე რომ, მე და ჩემი უფროსი გოგონა ერთდროულად ვიყავით ორსულად, ერთად დავდიოდით ექიმთან კონსულტაციებზე.

**– ისიც, ალბათ მრავალშვილიანი დედა იქნება.**

– როგორც ღმერთი ინებებს.

**– რა არის რწმენა თქვენთვის?**

– უფლისკენ სავალი გზა. რწმენა და მისი ჭეშმარიტება რომ დაინახო და შეიგრძნო, ღმერთმა უნდა მიპმადლოს ადამიანს. მადლობა უფალს ყველაფრისათვის!

**მანანა ციცქიშვილი**

24394

საპარლამენტო ბიბლიოთეკა

სცენის მიღმა

# „გვერდით ჩემზე ძლიერი მამაკაცი მჭირდება“

**დამოუკიდებელი, ენერგიული, აქტიური, საკუთარ საქმეზე უზომოდ შეყვარებული – ასე ახასიათებენ მეგობრები მსახიობ ეკა ანდრონიკაშვილს, რომელიც იმ ქალბატონების რიცხვს ეკუთვნის, რომელთან შეხვედრა და საუბარიც არასოდეს მოგწყინდება. როცა გრძნობ, როგორი გულწრფელია ურთიერთობებში, კიდევ უფრო იხიბლები მისი პიროვნებით, მითუმეტეს, რომ ამ შინაგან ხიბლს ხელს მშვენიერი გარეგნობაც უწყობს.**



● დედა-შვილი

**– ეკა, ოჯახური გარემოდან გამომდინარე, თქვენი მსახიობობა გასაკვირი ნამდვილად არაა, მაგრამ, საინტერესოა, სხვა პროფესიაზე თუ გიფიქრიათ?**

– როგორ არა... მამა მყავს არქიტექტორი (დედა ყოველთვის თეატრალურ ინსტიტუტში ასწავლიდა – თ.ო), ბავშვობაში მეც ვხატავდი და სერიოზულად ვფიქრობდი დიზაინერობაზე, რაღაც მომენტში ჟურნალისტიც მინდოდა ვყოფილიყავი... ფსიქოლოგიაც ძალიან მაინტერესებდა და დღემდე მაინტერესებს... ერთი სიტყვით, აქტიური პროფესიები მიზიდავდა, ისეთი, სადაც ხალხთან ურთიერთობის მეტი შესაძლებლობა მექნებოდა. ვფიქრობ, რომ მსახიობობა მოიცავს ამ ყველაფერს...

**– და ამიტომაც შეაჩერეთ არჩევანი თეატრალურ ინსტიტუტზე?**

– ალბათ... უბრალოდ, მივხვდი, რომ ძალიან მაინტერესებდა სხვა ადამიანების როლში ყოფნა. მსახიობს კი შეუძლია იყოს: ექიმიც, ფსიქოლოგიც, მხატვარიც, ჟურნალისტიც და ა.შ. მოკლედ, ნებისმიერი პროფესიის ადამიანის ცხოვრებით იცხოვროს რაღაც პერიოდი და ჩემთვის ეს ყველაზე საინტერესო იყო...

**– ისე, რამდენად მისაღებ პროფესიად თვლით მსახიობობას ქალისთვის?**

– ჩემი აზრით, მსახიობობა ქალის პროფესია უფროა, ვიდრე მამაკაცის, რადგან თვითონ პროფესია ითხოვს ყურადღების მიპყრობას – „მიყურეთ!“ „მიყურეთ“ კი, დამეთანხმებით, ზოგადად, ქალის ბუნებაში უფრო ზის, ვიდრე – კაცის. თუმცა, იყო პერიოდი, როდესაც ქალის როლებსაც მამაკაცები თამაშობდნენ, მაგრამ მას შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა...

**– შეიცვალა და ქალების ცხოვრებაც უფრო აქტიური გახდა. ამაზე ზოგადად საუბარი ძალიან შორს წაგვიყვანს. როგორც ვიცი, მოღვაწეობთ როგორც კინომსახიობთა თეატრში, ისე „თეატრალურ სარდაფში“... სად უფრო აზერხებთ საკუთარი თავის რეალიზებას?**

– პროდუქტიულობის თვალსაზრისით, ალბათ, უფრო „თეატრალური სარდაფის“ მსახიობი ვარ, თუმცა, კინომსახიობთა თეატრში საკმაოდ კარგი როლები მაქვს ნათამაშევი და ყოველთვის სიამოვნებით ვითამაშებ, თუ რაიმე საინტერესოს შემომთავაზებენ...

**– ფილმებშიც ხართ გადაღებული და სერიალებშიც თამაშობთ... მოკლედ, აქტიური შემოქმედებითი ცხოვრებით ცხოვრობთ, თანაც ახლახან, რამდენიმე თვის წინ, თანამოაზრეებთან ერთად „არტ-სააგენტოც“ დააარსეთ, რომელიც გაუადვილებს მუშაობას მსახიობებსაც, რეჟისორებსაც და დამკვეთებსაც... შეიძლება ითქვას, რომ საჭირო დროს, საჭირო იდეის განხორციელებას ენერგიულად შეუდექით, რადგან, როგორც ვიცი, იდეამ დიდი გამოხმაურება ჰპოვა და უკვე დაასაქმეთ კიდეც მსახიობები. თუ არ ვცდები, „არტ-სააგენტოში“ 250-მდე მსახიობია გაწევრიანებული. საინტერესოა, ქალები სჭარბობენ მათ შორის, თუ მამაკაცები?**

– მამაკაცები ცოტა მეტნი არიან, მაგრამ თვითონ სააგენტოს დამფუძნებლები ქალები ვართ (იცინის)... შეურაცხყოფას არავის ვაყენებ, მაგრამ მიმაჩნია, რომ დღევანდელ ეტაპზე ქალები უფრო აკეთებენ საქმეს, ვიდრე მამაკაცები...

**– პირველად როდის იგრძენით, რომ ქალი ხართ და ვიღაცას უყვარხართ?**

– ალბათ, სკოლაში... კი, სკოლაში ვსწავლობდი, პირველად სიყვარული რომ ამიხსნეს და „მეც-მეთქი“ – ვუთხარი... რა თქმა უნდა, ეს იყო ბავშვური გატაცება და ალბათ, მსგავსი მომენტი ბევრს ჰქონია ცხოვრებაში. მერე, საოცრად ვიყავი შეყვარებული ერთ ცნობილ მომღერალზე, რომელსაც წერილებსაც კი ვწერდი ჩემთვის – დღიურებს ვაკეთებდი... მაიკლ ჯექსონზე გელაპარაკებით (იცინის), რომელსაც, ცხადია, დღემდე არ შევხვედრივარ, მაგრამ მართლა გულწრფელად მიყვარდა – მე ვგრძნობდი ამ სიყვარულს ჩემში. შემდეგ, ამ „სიყვარულმა“, რა თქმა უნდა, გადამიარა. ჩემი მომავალი მეუღლე კი, რომელიც სერიოზულად შემიყვარდა და ცოლადაც გავყევი, მსახიობი გიორგი ნაკაშიძე იყო.

**– ერთმანეთი როგორ გაიცანით?**

– თეატრალურ ინსტიტუტში გამოცდებს რომ ვაბარებდი, პირველად მაშინ ვნახე. იგი უკვე სტუდენტი იყო. მერე, ერთ დღესაც „ბუფეტში“ დავინახე, რომ სკამზე ქანაობდა. გავიარე და სპეციალურად წავაქციე სკამი. უცებ წამოხტა ფეხზე და, ჩემდა გასაკვირად, მკითხა – როგორ ხარო? მეც ვუპასუხე, როგორც ვიყავი და... ასე გავიცანით ერთმანეთი. მახსოვს, გაზაფხული იყო – მარტი, ოქტომბრის დასაწყისში კი დავქორწინდით. ამჟამად, უკვე რამდენიმე წელია ერთად აღარ ვართ, ამიტომ, არ მინდა ძალიან ჩავეძიოთ ამ თემას. თუმცა, გეტყვით, რომ დღესაც კარგი ურთიერთობა გვაქვს და ჩვენს სააგენტოში გიორგიც არის გაწევრიანებული.

**– სააგენტოს საიტში, რომელიც ახლახანს გამოჩნდა ინტერნეტში, თქვენი მონაცემებიცაა შეტანილი?**

– რა თქმა უნდა. მე ვაგრძელებ მსახიობობას და რატომ არ უნდა იყოს?

**– თქვენი სააგენტოს საშუალებით ქალებს უფრო მეტი შანსი აქვთ უცხოეთში მოხვედრის, თუ მამაკაცებს?**

– გააჩნია რას მოითხოვენ... ჯერჯერობით კი, სტატისტიკურად, მამაკაცებზე უფრო მეტი მოთხოვნილებაა, ვიდრე ქალებზე – ქალები ძირითადად რეკლამებში სჭირდებათ. მხატვრულ კინოზე მუშაობას რომ დავიწყებთ, ალბათ, შანსები თავისთავად გაიზრდება...



**– ეკა, როგორც თავად აღნიშნეთ, თქვენ და თქვენი მეუღლე ერთმანეთს დაცილდით. როგორ ფიქრობ, როდის იბადება და რატომ ქრება სიყვარული, ანუ რატომ ინგრევა ოჯახი?**

– რატომ იბადება სიყვარული? რატომ ქრება? ეს ისეთი კითხვებია, რომელზეც დღემდე ვერავინ გასცა პასუხი. მე გიორგი, ახლაც ძალიან მიყვარს როგორც ადამიანი, როგორც ჩემი შვილის მამა, როგორც ჩემი მეგობარი. ცხრამეტი წლიდან ვიყავით ერთად და შეიძლება ითქვას, რომ ერთად ვიზრდებოდით. ამდენად, ყველაფერი დადებითი, რაც ჩემს შეგრძნებებში არსებობდა მისდამი დამოკიდებულებაში, იგივე დარჩა, მაგრამ ქალისა და მამაკაცის სიყვარული სულ სხვა რაღაცაა. ზოგი უფრთხის ამ გრძნობას ჩემი ჩათვლით – სიფრთხილე თითქოს თავდაცვის მექანიზმია, რომ რაღაცნაირად არ დაზიანდე. მეორე მხრივ კი, ალბათ, იმისთვის ცხოვრობ ამქვეყნად, რომ გიყვარდეს. მართალი გითხრათ, არ ვიცი, რა არის სწორი – უფრთხოდე ამ გრძნობას თუ ემვებოდე მორევში (იცინის)... ალბათ, ყველა ინდივიდუალურად გრძნობს, რა არის მისთვის უკეთესი. წინასწარ ამაზე ვერ იმსჯელებ. ბევრი რამ ალქმის უნარზეა დამოკიდებული. ვიღაც შეიძლება, მარტო იმიტომაა ბედნიერი, რომ თვითონ უყვარს, სიყვარულის უნარი გააჩნია და ეს უკვე კარგია. ვიღაცისთვის საპასუხო გრძნობა აუცილებელია და ამის გარეშე თავს უბედურად გრძნობს. ადამიანი, ალბათ, კარგად უნდა დაფიქრდეს, სანამ თავს უფლებას მისცემს, რომ ვიღაცისადმი გრძნობა გაუჩნდეს...

**– თქვენ რითი ხართ ბედნიერი?**

– ძალიან ბევრი რამით, საერთოდაც, ვთვლი, რომ უამრავი რამ შეიძლება განიჭებდეს ბედნიერებას – ამინდით დაწყებული, კარგი მუსიკით დამთავრებული. აღარაფერს ვამბობ სამსახურზე, შვილზე, მეგობრებზე და ა.შ. მე ძალიან ხშირად მაქვს ბედნიერების შეგრძნება, თუნდაც იმიტომ, რომ ამ სამყაროს ნაწილი ვარ და ამქვეყნად ვცხოვრობ...



**– ეკა, როგორც ვიცი, თქვენს ყოფილ მეუღლეს ახალი ოჯახი აქვს, თქვენ არ გიფიქრიათ ამ საკითხზე?**

– მე და გიორგი უკვე მეოთხე წელიწადია, რაც ერთმანეთს დავცილდით. ჯერჯერობით ოჯახის შექმნაზე რეალურად არ მიფიქრია, რადგან ოჯახი რომ შექმნა, გვერდით ისეთი ადამიანი უნდა გყავდეს, რომელიც გიყვარს და რომელთან ერთადაც გინდა მთელი ცხოვრება გაატარო. ამჟამად ისეთი მამაკაცი, ვისთანაც ოჯახის შექმნას გადავწყვეტ, ჩემს გვერდით არ არის...

**– და როგორი უნდა იყოს ეს მამაკაცი, რომ თქვენი ყურადღება დაიმსახუროს?**

– მე თვითონ ძლიერი პიროვნება ვარ და უკვე იმის შეგრძნება მიჩნდება, რომ შეიძლება, ამით ვაშინებ კიდეც მამაკაცებს. ანუ, გვერდით აუცილებლად ჩემზე ძლიერი მამაკაცი მჭირდება. სუსტი ან ვერ გაძლებს ჩემს გვერდით, ან მე ვერ გავძლებ, რადგან, რაც არ უნდა მიყვარდეს, აუცილებლად დავკარგავ მის პატივისცემას... თუმცა, არავინ იცის, ხვალ რა მოხდება. უბრალოდ, ჩემი სურვილია, რომ ჩემს გვერდით იყოს ძლიერი მამაკაცი, ის, ვისაც დავეყრდნობი ნებისმიერ სიტუაციაში.

**– გარეგნობას მნიშვნელობას არ მიანიჭებ?**

– მიუხედავად იმისა, რომ ესთეტი ვარ და ძალიან მიყვარს ლამაზი ნივთები, ლამაზი ქალიც და მამაკაციც, ადამიანის გარეგნობას გადამწყვეტ მნიშვნელობას არ ვანიჭებ, მთავარია, მამაკაცი ანტიპათიას არ აღძრავდეს ჩემში. სიმპათიური უნდა იყოს.

**– საერთოდ, როგორ ფიქრობთ, რა არის მთავარი ქალისთვის მამაკაცთან ურთიერთობისას? როგორ უნდა გაამჟღავნოს თავი, რომ საყვარელი ადამიანის ყურადღება მიიპყროს?**

– ამის რეცეპტი არ არსებობს, რადგან ყველა ადამიანი ინდივიდუალურია, ზოგ მამაკაცს ქალური ქალი მოსწონს, ზოგს – ვაჟკაცური. ზოგისთვის ჩუმი ქალია მომხიბლავი, ზოგისთვის – აქტიური. ჭკვიანმა ქალმა სწორედ ისე უნდა წარმოაჩინოს თავი, როგორც ეს მის რჩეულ მამაკაცს მოსწონს. პირადად ჩემთვის, როცა ქალი ქალურია, არ ეწინააღმდეგება იმას, იგი აქტიური და ძლიერი პიროვნება იყოს ცხოვრებაში. ქალმა არასოდეს უნდა დაკარგოს ქალურობა, ყოველთვის რაღაც სხივი უნდა ჰქონდეს თვალებში – სინათლის სხივი...

**– თქვენი ვაჟი – ლევან-ლუკა, უკვე თორმეტი წლისაა, მშობლების მსგავსად მსახიობობას ხომ არ აპირებს...**

– მსახიობობაზე არა, მაგრამ ადრე რეჟისორობაზე ოცნებობდა – მამამ კამერაც კი აჩუქა, რომ რაღაცეები გადაიღოს და ერთგვარი პრაქტიკა გაიაროს. ამ ზამთარში გადაწყვიტა, რომ მოთხილამურე გამოვიდეს და ახლა ამაზე ფიქრობს. თუმცა ჯერ პროფესიის არჩევამდე დიდი დრო აქვს.

**– ოჯახი, თეატრი, სააგენტო... საკუთარი თავისთვის თუ იცლით და როგორც ქალი, რაიმე ფუფუნების უფლებას თუ აძლევთ თავს?**

– მეტ-ნაკლებად, ჩემი ხასიათიც და განწყობაც ზოგჯერ მთლიანდაა დამოკიდებული ჩემი თმის მდგომარეობაზე, სახის კანზე, იმაზე, თუ რა მაცვია... ყოველდღე ერთსა და იმავე ტანსაცმელს ვერაფრით ვატარებ. საერთოდაც, მიმაჩნია, რომ ტანსაცმელი იმისთვისაა გარდერობში, ხშირად იცვალო, თუმცა, აქვე მინდა გითხრათ, რომ კოსმეტიკაზე ყოველთვის ბევრად მეტ თანხას ვხარჯავ, ვიდრე ტანსაცმელზე. ზოგჯერ მასაჟების ჩატარების უფლებასაც ვაძლევ თავს...

**– რა გიყვართ, რა არ გიყვართ?**

– თუ რა-ზეა ლაპარაკი და არა ვინ-ზე, მიყვარს: ბუნება, სილამაზე, ჩემი აგარაკი კიკეთში, რომელსაც უკვე წლებია ვაშენებ და ვერაფრით დავასრულე... არ მიყვარს: მოწყენილობა, მარტოობა, უარყოფითი ემოციები – ყველაფერი ის, რაც ნებისმიერ ნორმალურ ადამიანს არ უყვარს.

**– და ბოლოს, რაზე ოცნებობთ?**

– რეალურ ცხოვრებაში ძალიან ბევრ რამეზე ვოცნებობ და ახლა არ ჩამოვთვლი, მაგრამ მაქვს ერთი ოცნება, რომელიც თითქმის არარეალურია, მაგრამ, ჩემი აზრით, რეალურიც არის, მინდა ერთხელ ავფრინდე და ის სიამოვნება ვიგრძნო ფრენისგან, რასაც ძალიან ხშირად ვგრძნობ ხოლმე სიზმარში... არ გამოვრიცხავ, რომ ოდესმე ასეც მოხდეს (იცინის)...

**თამარ ოთიაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# წერეთლები



● მარინე წერეთელი

არიან ადამიანები, რომელთაც გულის ფიცარზე აწერიათ ილიასეული მცნება „მამული, ენა, სარწმუნოება" და ამ მცნების რეალიზაციისთვის ცხოვრობენ და იღვწიან...

მათ ერის რჩეულებს, დიდ მამულიშვილებს უწოდებენ. ასეთი ეპითეტებით დიდგვაროვნებსაც ამკობენ, რომელთა შორის ქალბატონი მარინე წერეთელიც შედის, როგორც უძველესი ქართული გვარის შთამომავალი.

„ხოლო წესი მთავართა იყო გვარი და შთამომავლობა, ქართლოსნობა და პატივი მისი" – წერს ვახუშტი ბაგრატიონი.

მისივე ჩანაწერებით, წერეთლები მთავართა შორის უწარჩინებულესი და შემძლე გვარია საქართველოში.

ჯერ კიდევ VIIIს-ში არსებობდა ციხე-სიმაგრე წერეთი, რომლის ნანგრევები დღესაც არის თურქეთის ტერიტორიაზე, ოშკისა და ხახულის ახლოს და აღნიშნულია საქართველოს ხუროთმოძღვრების ძეგლთა რუკაზე.

ამრიგად, ეჭვს არ უნდა იწვევდეს, რომ წერეთელი, როგორც გვარი მე-9 საუკუნის ნახევრამდე არსებობდა.

პოლიტიკური ვითარების გამო, აფხაზეთის მეფე გიორგი I ლეონ II-ის ძე, რომელსაც მთელი დასავლეთ საქართველო ემორჩილებოდა, გვარად წერეთელს (წერეფელს) ატარებდა, რადგან საუფლისწულოდ წერეთს და მის მიდამოებს ფლობდა (ლ. სანიკიძე).

წერეთლებმა ბიზანტიელებისაგან გადმოიღეს და შექმნეს პირველი მხედრიონი კოლხეთში, რომელიც შენარჩუნებული იქნა იმერეთის სამეფოს გაუქმებამდე. მხედრიონთან ანუ სამხედრო საიდუმლოებასთან იყო დაკავშირებული მხედრული ანბანის შექმნა, რომელიც ციხე-სიმაგრე წერეთში ხორციელდებოდა.

წერეთლების მხედრიონს დამატებით წვივშავიძეებსაც უწოდებდნენ შავი წვივსაკრავების გამო, რაც მხედარს შემოკრული ჰქონდა კოჭებიდან მუხლებამდე და იცავდა წვივებს მტრის ხმლისაგან. წერეთლების მხედრიონი, რომელიც სხვადასხვა გვარის აზნაურებისგან შედგებოდა, გამოირჩეოდა ბრძოლისუნარიანობით, ორგანიზებულობით და ჰუმანურობით.

საერთოდ, დიდი წერეთლები ცნობილნი იყვნენ როგორც უგვირგვინო მეფეები და ტახტის მაძიებელნი. მათ, დოკუმენტური მინიშნებებით და გადმოცემით, ოქროსა და განათლების მონოპოლიები ჰქონდათ.

სწორედ ამ დიდი წერეთლების მემკვიდრე არის უაღრესად განათლებული და ერუდირებული ქალბატონი მარინე წერეთელი, რომელიც, მართალია, პროფესიით ისტორიკოსი არ არის, მაგრამ საქართველოს ისტორიის ბრწყინვალე მცოდნე, მოყვარული და ქართული გვარების მკვლევარ-მაძიებელია.

იგი აგერ თითქმის ოცი წელია გვარების შეკრების, საგვარეულო კავშირების შექმნის, საქველმოქმედო კავშირს ხელმძღვანელობს... მისი ჩამოყალიბების იდეა დაიბადა თითქმის ოცი წლის წინათ აკაკი წერეთლის საიუბილეო საღამოზე, რომელზეც ქალბატონი მარინეც იყო მიწვეული. ის და მის გვერდით მჯდომი საბავშვო პოეტი გიორგი წერეთელი გაკვირვებული იყვნენ იმ ფაქტით, რომ დიდი მგოსნის იუბილეზე სიტყვითა და მოგონებებით არც ერთი წერეთელი არ გამოსულა.

აი, სწორედ ამან დაბადა იდეა წერეთლების შეკრებისა.

ახლა კი მოდით, ისევ ისტორიას დავუბრუნდეთ... კერძოდ, ქალბატონი მარინეს ოჯახზე და მის წინაპრებზე ვისაუბროთ, რადგან ისინი ისტორიული პიროვნებები არიან და საქართველოს ისტორიის სისხლ-ხორცეულ ნაწილს წარმოადგენენ...

რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, ქალბატონი მარინე დედით, მამით და ბებიით წერეთელია...

დედა – ელენე (ბუდუა) სიმონის ასული წერეთელი პოეტური ნიჭით დაჯილდოებული, გარეგნობითაც და სულითაც ულამაზესი ქალბატონი გახლდათ. ის ნამდვილად ამართლებდა ძველ ელინელთა ბრძნულ გამონათქვამს: „ლამაზ სხეულში ლამაზი სულია". მიუხედავად დიდი გაჭირვებისა, რაც გასაბჭოების პერიოდში მისმა ოჯახმა გადაიტანა დახვრეტა – დაპატიმრებების, უძრავ-მოძრავი ქონების ჩამორთმევის სახით, მას ღირსება და იმედი მომავლისა არ დაუკარგავს. ამ განწყობით ზრდიდა თავის შვილებს. ქალბატონ ელენეს ქალაქის კოლორიტსაც ეძახდნენ. მამა – სიმონ შალვას ძე წერეთელი ვაჟკაცობის, რაინდობის ბელადად აღიარებული საუკეთესო მომღერალი, ცნობილი თამადა და გაჭირვებულთა ტალკვესი იყო. ის სხვადასხვა მაღალ თანამდებობაზე მუშაობდა. ომის დროს მიღებული ჭრილობის გამო (მუხლში იყო დაჭრილი), იძულებული გახდა სამხედრო კარიერა სამოქალაქოთი შეეცვალა...

რაც შეეხება უახლოეს ნათესავებს: მამის ძმა ბორის წერეთელი მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, დამსახურებული ექიმი გახლდათ, ხოლო მამიდა დარეჯან წერეთელი, სილამაზითა და ქველმოქმედებით იყო ცნობილი საზოგადოებაში, დიდი სახელითა და ღირსებით მოიხსენიებდნენ ასევე მის მეუღლესაც სიმონ იოსების ძე ფიცხელაურს, რომელსაც გერმანიაში ჰქონდა დამთავრებული უმაღლესი და სამშენებლო-არქიტექტურის დარგში იყო საქართველოში პირველი ქართველი დოქტორი. დედის მხრიდან 6 დედმამიშვილიდან მხოლოდ ორნი შემორჩნენ: გოგია (გალაქტიონი), რომელიც მოგვიანებით სამამულო ომში დაიკარგა და მეორე ძმა: ტარიელ სიმონის ძე წერეთელი – დამსახურებული ინჟინერი და ნიჭიერი პოეტი.



● მარინეს მშობლები

ქალბატონი მარინეს ბებიებს, ბაბუებს და მათ მშობლებს გვერდს ვერ ავუვლით, რადგან ისინი მართლაც ღირსეული წარმომადგენლები იყვნენ თავიანთი გვარისა. თავადაზნაურების წინამძღოლის სიკო როსტომის ძის ვაჟები მარინეს ბაბუა და მისი ძმა (მამის მხრიდან) – შალვა სიკოს ძე წერეთელი და ალექსანდრე (ბიჭიკო) წერეთელი ასევე თავადაზნაურთა წინამძღოლები (მარშლები) იყვნენ. ისინი ცნობილნი იყვნენ თავიანთი სიმდიდრითა და ქველმოქმედებით. მათ ჰქონდათ საჩხერის შესასვლელში აგებული საქველმოქმედო სახლები, სადაც უამრავ გაჭირვებულს ეხმარებოდნენ.

იქვე ააშენეს პირველი ბიბლიოთეკა, რომელიც სოციალი-



● წერეთლები

სტური წყობის დროსაც ალექსანდრე (ბიჭიკო) წერეთლის სახელს ატარებდა. მათ მიერვე იქნა აგებული წმინდა ნინოს სახელობის (სობორის) ეკლესია სიმონ წერეთლისთვის (ე.ი. მარინეს მამისთვის). ეკლესია წერეთელთა საძვალედ ითვლებოდა.

ძმებმა ააშენეს სკოლები ძიძიშვილთა და ადგილობრივი მცხოვრებლებისათვის. ჭიათურიდან საჩხერემდე წერეთლების მიერ გაყვანილი რკინიგზა ძმებმა კვერეთამდე გააგრძელეს, სადაც სამკურნალო წყლები, მათი კუთვნილი მამულები და საკალმახეები იყო. ძმების – შალვა და ალექსანდრე (ბიჭიკო) წერეთლების გვერდით უნდა მოვიხსენიოთ მათი და ანასტასია წერეთელი, მეუღლე დუშეთის მაზრის მარშლის ლევან მუხრანსკი-ბაგრატიონისა და დედა ულამაზესი სიმონიკა მუხრანსკი-ბაგრატიონისა, რომელიც 1924 წელს დახვრიტეს.

მარინეს ბებია (მამის მხრიდან) მარიამ კაციას ასული გამყრელიძე – წერეთელი საუკეთესო მომღერალი, პოეტური ნიჭით დაჯილდოებული ულამაზესი ქალბატონი, რომელსაც სილამაზის პრიზი ჰქონდა მინიჭებული, თავისი დროის საუკეთესო მოჯირითე და კარგი მსროლელი ყოფილა.

მეორე ბაბუა (დედის მხრიდან) – სიმონ დიმიტრის ძე წერეთელი იყო ზედმიწევნით განათლებული და ინტელექტუალური პიროვნება. გურიელების, დადიანების, ბაგრატოვანთა და ამავე დროს, პოლონეთის მეფის შთამომავალს ტრაგიკული და მკაცრი ბედი არგუნა უფალმა. მართალია 1924 წელს გადაურჩა დახვრეტას, მაგრამ 1937 წელს მაინც დახვრიტეს, რადგან მისი მფარველი ფელიქს ძერჟინსკი (რომელმაც იგი, როგორც პოლონეთის სამეფო ოჯახის შთამომავალი, 1924 წელს იხსნა სიკვდილისაგან) ცოცხალი აღარ იყო. ბებია (დედის მხრიდან) – დონიკა გალაქტიონის ასული წერეთელი, რომელიც 14 წლისა გაათხოვეს, სამწუხაროდ, 26 წლის ასაკში გარდაიცვალა.

დონიკას მამა – გალაქტიონ დავითის ძე წერეთელი ქუთაისის სათათბიროს წევრი და მარგანეცის საბადოს ერთ-ერთი მეწარმე – გახლდათ მეუღლე თავად ესმა ჯაფარიძისა, ულამაზესი, უსათნოესი ქველმოქმედი ქალბატონისა, რომელმაც შობა და აღზარდა რვა შვილი.

აქ არ შეიძლება არ აღვნიშნოთ ის ფაქტი, რომ ქალბატონი მარინეს ბაბუის დედ-მამა (მამის მხრიდან) არიან შვილიშვილები იმ როსტომ პაპუნას ძე წერეთლისა, რომელმაც თავის ძმასთან, იმერეთის სამეფოს ბოლო სარდალ ქაიხოსრო წერეთელთან ერთად რუსეთის მიერ დაპატიმრებული სოლომონ II ტყვეობიდან გააპარა და ტრაპიზონში გადაიყვანა.

სიკვდილამდე ძმები მეფეს გვერდიდან არ მოშორებიან და მისი გარდაცვალების შემდეგ ერთი წელი კიდევ დარჩნენ ტრაპიზონში, რათა ბოლომდე მოეხადათ ვალი მიცვალებულისთვის და მხოლოდ 1816 წელს დაბრუნდნენ საქართველოში.

ძმები: როსტომ და ქაიხოსრო წერეთლები იყვნენ სარდალ პაპუნა II წერეთლის ვაჟები, რომლის შესახებაც მემატიანე წერს: „მაღალი, მხრებგაშლილი, თვალწარმტაცი, განათლებული (6 ენის მცოდნე) მდიდარი, ქველმოქმედი ნიჭიერი სარდალი, რომელმაც მეფე სოლომონთან ერთად და სამეგრელოს მთავრის კაცია დადიანის, გურიის მთავრის მამია გურიელის და შერვაშიძეთა მონაწილეობით იმერეთის სამეფო თურქ დამპყრობლებისაგან იხსნა. მისი გმირობით აღტაცებული ამ ომის მონაწილე ბესიკი ამბობს:

„აწ შენი მსურს ქების კონვა ვინ სარდლობდი წერეთელო
მაშინ ჰგავდი მეხთა ტეხას, ჯგუფთა რაზმთა განმნეველო,
ელვის სახედ, მტერთა თვალის დამხუჭებო შემზარველო
და გმირის ხმით დამქუხებო თხემთა ტვინთა დამთხეველო"...

პაპუნა წერეთლის ინიციატივით, მეფე სოლომონ I-მა გამოსცა ბრძანება ადამიანთა – ყიდვა-გაყიდვის აკრძალვისა. პაპუნა წერეთელი იყო სიძე იმერეთის მეფე გიორგი VII-ის და დის ქმარი მეფე დავით II-ისა, აგრეთვე ის იყო შთამომავალი ქველი წერეთლისა, იმერეთის მეფის გიორგი III-ის სიძის და ლაშქართუფროსისა, რომელსაც ცოლად ჰყავდა მეფის ის ასული, რომელიც იყო დაწინდული დიდი მოურავის გიორგი სააკაძის ვაჟზე ავთანდილზე. მეფემ ეტყობა, არჩევანი მაინც ქველ წერეთელზე შეაჩერა, რადგან დაწინდული ქალი მას მიათხოვა. ალბათ, ეს იყო მიზეზი გიორგი სააკაძის საწერეთლოში შეჭრისა და აოხრებისა.

გიორგი სააკაძემ ცხენდაცხენ დადევნებულ ახალგაზრდა ლაშქართუფროსს ორჯერ ესროლა ისარი, დაჭრა იგი. მიუხედავად იმისა, რომ ქველი წერეთელს საწერეთლოს მხედრიონი უკიჟინებდა, ისრები დაეყარა სააკაძის მებრძოლებისთვის, მან უარი განაცხადა, რადგან არ სურდა, უდანაშაულო მოძმეთა სისხლი დაეღვარა. ისარგაყრილმა ხელი ასწია, რათა თავისი მხედრიონისთვის უკან დახევა ებრძანებინა, ხოლო თავად მოითხოვა სააკაძესთან ცხენდაცხენ შებმა.

მისი გმირობით აღტაცებულმა გიორგი სააკაძემ წამოიძახა: „უფ, რა ვაჟკაცი და რაინდი ყოფილა, რომ მე ბრძოლა შემომბედა"-ო. ამბობენ რომ, ქველი წერეთელთან დაკავშირებული ყოფილა სიტყვა „ქველმოქმედება", რაც ნიშნავს: „ქველივით მოქმედს". თუ საიდან მომდინარეობს ეს აზრი – ამაზე ქვემოთ მოგახსენებთ: საქართველოს ისტორიაში ცნობილია ერთი მეტად საინტერესო ფაქტი. თურმე ქველი წერეთელს საჩხერეში, თავის სასახლეში შეუფარებია შაჰ-აბასისაგან დევნილი კახეთის მეფე თეიმურაზ I, ქართლის მეფე ლუარსაბი და მისივე სიმამრი მეფე გიორგი III თავიანთი ამალით (500-500-მდე კაცი ახლდა თითოეულ მეფეს) და გამასპინძლებია. როდესაც ვსაუბრობთ ქალბატონი მარინეს დიდ წინაპრებზე, არ შეიძლება არ აღვნიშნოთ ის ფაქტი, რომ სარდლობის წოდების შემოღებისას, პირველი სარდალი წერეთელი გახლდათ. ეს სახელო ე.ი. სარდლობის სახელო მამიდან შვილზე გადადიოდა დიდ წერეთლებში სამეფოს გაუქმებამდე...

რუსეთის მიერ სამეფოს გაუქმების შემდეგ საქართველო მაზრებად იქნა დაყოფილი, სადაც მაზრის უფროსებად ძირითადად თავად-აზნაურებს ნიშნავდნენ. ამ თავად-აზნაურებს წინამძღოლობის სტატუსი, ანუ მარშლობა ჰქონდა მინიჭებული. ქალბატონი მარინეს ყველა დიდი წინაპარი სამეფო სარდლების შემდეგ თავად-აზნაურთა წინამძღოლი (ე.ი. მარშალი) გახლდათ.

სამწუხაროა, რომ რევოლუციის დროს და შემდგომ წლებში (რეპრესიების პერიოდში) თითქმის ყველა ეს წინამძღოლი, ე.ი. დიდი წერეთლების შთამომავალნი, დახვრიტეს. მარტო დახვრეტა არ აკმარეს და ჩამოართვეს მამულები და უძრავ-მოძრავი ქონებაც...

მოდით, ისევ ქალბატონ მარინე წერთელს დავუბრუნდეთ.

„ალბათ ყველამ კარგად ვიცით ეს ბრძნული გამოთქმა: „ჩემი ოჯახი ჩემი ციხე-სიმაგრეაო" – მე კი ამ სიტყვებს ასე შევცვლიდი: „ჩემი საქართველო და ქართველი ერი ჩემი დიდი ოჯახია და ძალიან მინდა, ამ ჩემს დიდ ოჯახში მშვიდობა, ბედნიერება, სიყვარული და სიხარული მეფობდეს. ჩემს ერს ძველი ღირსება და დიდება დაბრუნდებოდეს".

**ᲜᲐᲖᲘᲑᲠᲝᲚᲐ ᲛᲘᲥᲔᲚᲐᲫᲔ**

ეროვნული ბიბლიოთეკა



# მამიკოს ამხანაგები

მთელი წლის საყვედურის შემდეგ: ბავშვი საცაა ხუთი წლის გახდება და ვერ იქნა, ზოოპარკში ვერ წავიყვანეო, გიგლამ შაბათ საღამოს თქვა:

– ხვალ პაპუნა ზოოპარკში მიმყავს.

ბავშვი დაბანეს, შარვალი დაუუთოვეს, ქურთუკი გაუწმინდეს. აბაზანაში, ლოგინში დაძინებამდე სულ ჟირაფის, სპილოს და ყაპუზუნას ამბავი ისმოდა.

– ფუნთუშა რომ მივცე, შეიძლება? ლომი ხომ არ მიკბენს? არწივი იქნება? შელის ნუკრი?

– ახლა დაიძინე, ყველაფერი იქნება, ხვალ ყველაფერს ნახავ, – ამშვიდებდნენ აღელვებულს. ბავშვმა ძლივსძლივობით ჩაიძინა.

ზოოპარკის შესასვლელთან ტაქსი გაჩერდა თუ არა, გიგლას ამხანაგები შემოეხვივნენ.

– სადა ხარ, ბიჭო, მთელი დღეა გეძებთ. სახლში დაერეკეთ და ზოოპარკში წავიდაო. კიდევ კარგი, მოგისწარით. თაზომ ქალი მოიტაცა.

აბა, ავარბენინოთ პაპუნა სახლში, ბიჭები „სამადლოსთან“ გველოდებიან. გუჯა, ნუღარ გაუშვებ მაგ ტაქსს. მოუჩქარეთ ცოტა.

გიგლა შეყოყმანდა. ბავშვი დაჟინებით მისჩერებოდა და პატარა ხელს მაგრად უჭერდა.

„მოიცადეთ! – დაიძახა გუჯამ, ზოოპარკის შესასვლელში მდგომ ბოშა ქალს ბრჭყვიალა ქაღალდში გახვეული, ნახერხით გატენილი სამი ბურთი და სამი წითელი მამალო გამოართვა და ამ ნობათიანად მამა-შვილი თითქმის ძალით შეტენა ტაქსში. თვითონ მძღოლის გვერდით დაჯდა – აქ დაგვიცადეთო! – გამოსძახა ბიჭებს და მძღოლს ხელით ანიშნა: გმირთა მოედანს შემოუარე და საბურთალოსკენ წადიო.

მანქანა დაიძრა.

დედამ კარი გააღო. ასე მალე არ მოელოდა ქმარ-შვილის დაბრუნებას და დიდ სარეცხს შედგომოდა.

– გამომართვი ბავშვი. რომ მოვალ, ყველაფერს გიამბობ, – სულმოუთქმელად მიაძახა გიგლამ და კიბეზე კისრისტეხით დაეშვა.

– იყავით ზოოპარკში? – ჰკითხა დედამ ბავშვს და ქურქი გახადა.

– კი, ვიყავით.

– სპილო ნახე?

– არა.

– დათუნია?

– არა.

– ყაპუზუნა?

– არა.

– არც კენგურუ?

– არა.

– აბა, რა ნახე იქ? – გადაუსვა ხელი დაცვარულ შუბლზე. გამომცდელად დააცქერდა.

– მამიკოს ამხანაგები, – მიუგო ბავშმა.

# საქართველოს თაიგული

წყალტუბოში მომთენთავი სიცხე დგას.

დამსვენებლები ხეთა ჩრდილებს აფარებენ თავს ან სანატორიუმის მარმარილოს იატკიან გრილ ფოიეში ელოდებიან მზის ჩასვლას.

არხის პირას, ჩინური აკაციით დაჩრდილულ გრძელ სკამზე ვზივარ და წიგნს ვკითხულობ.

თავს აყლაყუდა შავი ბიჭი წამომადგა. ხელში შავბუსუსებიანი მყრალი ბალახი უჭირავს, დამყაყებული წყლის პირას რომ ხარობს ხოლმე. იმერეთში ოყრალო ბალახს ვეძახით.

– ზდრასტვუიტე, დევუშკა, ვოტ ვამ ბუკეტ გრუზიი, – და ღიმილით მაწვდის ბალახს, რომელსაც სუნი აქვს, სუნი რომ .... ყვავს ჩამოაგდებს ხიდან. იქვე სკვერში კი ნაირ-ნაირი ჩაის ვარდები ჰყვავის.

– თუ ძმა ხარ, მოაშორე აქედან ეს ოყრალო ბალახი, ბიჭო, ვარდებს მიაქვს ქვეყანა და მაგ გვიმრა რომ დაგაკრეფია?

შემცბარი ბიჭი ოყრალო ბალახს ზურგს უკან მალავს და სწრაფად მშორდება.

ცოტა ხნის შემდეგ შეწუხებული ბრუნდება.

– ბოდიში, დაიკო, მაპატიეთ.

– ხდება ხოლმე, – ვამშვიდებ მე.

# მოფერება

ფრთხილად, ფეხაკრეფით შედის ოთახში, სადაც ბავშვს სძინავს. მძინარეს საბანს უსწორებს და რომ არ გაალვიძოს, შუბლზე ოდნავ ეხება ტუჩებით.

_ დედა! _ ძილში ამბობს ბავშვი, _ მე დღეს დამაკლდა... ხომ იცი, არ მეყო!

დედას გული გადაუქანდა, თვალწინ გუშინდლიდან მორჩენილი სამი კატლეტი დაუდგა. კვლავ შეაგვიანდა სამსახურში, სადილის გაკეთება ვერ მოასწრო.

_ რა, გენაცვალოს დედა. რა დაგაკლდა?

_ მო-ფე-რე-ბა! _ ამბობს ბავშვი და საბანში ჩამთბარ ხელებს დედას კისერზე ხვევს.

წამით შეჩერებული გული, თითქოს უბიძგესო, ფართხალით ეხლება მკერდს.

**ნარგიზა მგელაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ქეთევან კვიჟინაძე

დაიბადა ქ. თბილისში. დაამთავრა ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი. წლების მანძილზე მუშაობდა გაზეთ „კომუნისტის" რედაქციაში და „სოიუზპეჩატის" სამმართველოში.

## ისევ რატომ მომენატრა

ისევ ისე, როგორც მაშინ,
რად დაიწყო გულმა ძგერა?
ნეტავ რატომ მომეძალა
წარსულ დღეთა მოგონება.
ხე ხომ არ ვარ ტყეში მდგარი,
გაზაფხულზე გავიღვიძო
და ისევე, როგორც მაშინ
გავიხარდნო, გავიფურჩქნო.
შემოდგომის მწარე ნაღველს
აბა როგორ დავიმალო?
იქნებ მოხდეს სასწაული,
გაზაფხულზე გავიღვიძო.

## მივყვებით ქარს

შემოდგომაზე ყვითელი ფოთოლი
მოსწყდება ხეს, გაჰყვება ქარს,
მიფრინავს, მიფრინავს, მიფრინავს შორს,
თავადაც არ იცის, სად დალევს სულს.
ასევე დღეები ჩვენი ცხოვრების,
ქრება და წუთებში გვაკლდება კვლავ,
ჩვენ კი არ ვიცით, შევჩერდეთ სად,
და ფოთლების მსგავსად, მივყვებით ქარს.

## იმერეთო

მოციმციმე ბროლის ნამით
დაცვარულო ველო
და ქუხილით მოვარდნილო
ჩანჩქერების ექო.
ყვავილების სურნელებით
გაჟღენთილო მიწავ,
მამა-პაპის ნაშენებო
ობლად მდგარო ოდავ.
ლამაზო და ენატკბილო
იმერელო ქალო,
ამ წარსულის მოგონებებს
თუ გაუძლებ ნეტავ?

## არ მეშინია

არ მეშინია, მიდი,
მე ჩაგიხუტე გულში,
ფრთებზე გამოვისახავ უმალ
და ავფრინდები ცაში.
იქ ვინახულებ ყველას
მონატრებულთა კრებულს
და დავიმკვიდრებ ადგილს
მიწაზე დატოვებულს.

* * *

ავდივარ და ჩამოვდივარ
ვითვლი საფეხურებს,
ვერაფერი ვერ გავუგე
ამ ცხოვრების კიბეს.

## მიტოვებული სახლი

ვუძღვნი ჩემი მეუღლის,
გალაქტიონ ჩხიკვაძის ხსოვნას

თოვლი დაფარავს არეს,
ირგვლივ ნავარდობს ქარი,
მიტოვებული ეზო,
გამოკეტილი კარი.
მთვარე ანათებს ცივად
სიჩუმეს გამეფებულს,
ბროლის ყინულთა ცვენა
გავს ცრემლებისა დენას.
იყო კაცი და სახლი,
იყო ლამაზი ბაღი,
წისქვილიც ფქვავდა საფქვავს,
ზაფხულიც იდგა ლაღი.
და აღარ არის კაცი
და აღარც სახლი არის,
მიტოვებული ეზო, გამოკეტილი კარი...
რა გულსაკლავად ყმუის
ხეზე მიბმული ძაღლი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ტიციანის ჩუქურთმაავ!

მე დავიბადე აპრილის თვეში
ვაშლის გაშლილი ყვავილებიდან
**ტიციან ტაბიძე**

მაგონდება, 1966 წლის გაზაფხულზე რა სიყვარულით, რაოდენი გულის სითბოთი მიამბობდა ცნობილი ქართველი ისტორიკოსი, იმხანად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ტიციან ტაბიძის დის მეუღლე აბელ კიკვიძე ჟურნალ „ცისფერი ყანწების“ ერთ-ერთ დამაარსებელზე, ქართული პოეზიის ბრწყინვალე წარმომადგენელზე ტიციან ტაბიძეზე, რომელიც, ჯერ კიდევ ადრე, სტუდენტობის წლებიდან ახსოვდა:

– სოფელ ჭყვიშში ტიციანის სახლის წინ ორი ვაშლის ხე იდგა. ტიციანს განსაკუთრებით უყვარდა ეს ხეები. მინახავს, ამ ხეების ძირას წამოწოლილი, რა სიამის გრძნობით გასცქეროდა ნაქერალას ქედს, რომელიც კარგად მოჩანს ტაბიძეების ეზოდან. მოწმე ვარ, ამ ხეების ჩრდილში როგორ უცბად დაიბადა ტიციანის ლექსები: „ორპირი“ და „ლექსი მეწყერი“: „არ გაუვლია თითქო ამ ოც წელს, ეზოში ვწევარ ბავშვი უძრავად; ვიგონებ ყრმობას ჯერ წარუხოცელს ცხოვრებისაგან გაუკაწრავად. მზეს მოიტაცებს ჭალადიდის ტბა, საბაოფივით დგას ნაქერალა, დაგესიზმრება თამარის კაბა, ათ წელზე მეტი რომ ნაკერალა… („ორპირი“).

– ამ აყვავილებულ ვაშლის ხეებქვეშ ბევრჯერ მინახავს ის /ტიციანი – ც. ხ./ მეოცნებე და ბავშვივით აღტაცებული. ჩემთვის ასევე ახლობელია ეს სტრიქონებიც:

„მე დავიბადე აპრილის თვეში, ვაშლის გაშლილი ყვავილებიდან, მაწვიმს სითეთრე და წვიმის თქეში მოდის ცრემლებად ჩემს თვალებიდან…“

და არა მხოლოდ განსაკუთრებით მიყვარს ეს ლექსები, კიდევ უფრო მაოცებენ თავისი ემოციური დატვირთვით, მეტყველი ფერებით, მაოცებს ავტორის პოეტური შესაძლებლობა, რა ბუნებრივად, უშუალოდ, რა სხარტად და მკაფიოდ არის მათში გადმოცემული ტიციანის განცდები. ეს სტრიქონები თითქოს გულიდანაა ამოხეთქილი“.

დაისი და შემოდგომა, ცის სილაჟვარდე, ჩახჩახა მზით განათებული „ლურჯი ჰაერი“, თეთრი სასწაული აპრილის თვისა რაღაც სხვაგვარი ხიბლითა და მშვენებით გამოსჩანს „ცისფერ ყანწელი“ პოეტების მარად უჭკნობი სტრიქონებიდან.

„აპრილი ორპირში, „ოცდასამი აპრილი“, „ორი აპრილი“… კითხულობ ამ ლექსებს და უმალვე ხვდები, წელიწადის ეს მშვენიერი დრო ტიციან ტაბიძისათვის პოეტური მუზის აღმგზნებიც არის, სიყვარულის სიმბოლოც, შრომის სიმღერაც და უახლოესი ისტორიის მწარე ფურცელიც.



● ტიციანი მეუღლესთან

სიამითა და სინანულით იხსენებდა პოეტის და სონია ტაბიძე ტიციანის ბავშვობას, მისი მოწაფეობის ხანას, მამას, სოფლის ამაგდარ ადამიანს – იუსტინე ტაბიძეს:

– თბილისის სემინარიაში სწავლისას მამა იოსებ ლაღიაშვილის წრეში შედიოდა, და ერთ-ერთი აქტიური მონაწილე ყოფილა მოწაფეთა არეულობისა, რის გამოც სემინარიიდან გაურიცხავთ. იუსტინეს სემინარიელებისათვის აღთქმა მიუცია, რომ არამცდაარამც მღვდლად არ ეკურთხებოდა, მაგრამ ყველაფერი მისი ნების წინააღმდეგ მომხდარა. იმ პერიოდში გალაკტიონის მამა ვასილ ტაბიძე უნდა ეკურთხებინათ მღვდლად, მიუყვანიათ გაბრიელ ეპისკოპოსთან, ტანისამოსიც გაუბარებიათ სამღვდლოდ, მაგრამ გზაში გაციებულა და ფილტვების ანთებით გარდაცვლილა. ამიტომ ჯერი იუსტინეზე შეაჩერეს. მან კატეგორიულად უარი განუცხადა მამას, მაგრამ ის არ იშლიდა თავისას. ჭყვიშიდან ქუთაისამდე სახედრით 30 კილომეტრს გადიოდა და შვილს მოსვენებას არ აძლევდა, და რაკი დარწმუნებულა იგი მტკიცე უარზეა, შემდეგ ხერხს მიმართა: ჩავიდა ქუთაისში, სახედარი ჯაჭვის ხიდთან დატოვა. მერე, ვითომ სახედართან იყო მისასვლელი, შვილს სთხოვა, ხიდამდე მიმაცილეო. იქ კი გადაჭრით გამოუცხადა: „ან რიონში გადავვარდები, ან ეპისკოპოსთან გამომყევიო“. გაჯიუტებულმა მამამ ასე მოახერხა შვილის დაყოლიება. მოწინავე იდეებით შთაგონებულ ახალგაზრდას ღრმად ჩარჩენია გულში გაბრიელ ეპისკოპოსის სიტყვები: „არავის იმდენი სარგებლობის მოტანა არ შეუძლია ხალხისათვის, როგორც განათლებულ, ხალხისმოყვარე ადამიანსო“.

და მართლაც, რამდენ სასიკეთო საქმეს გასძღოლია: სოფლად სამრევლო სკოლის დაარსება, ვაზის გაშენება, გზების შეკეთება, ნივთიერად შევიწროებული ახალგაზრდობისადმი ზრუნვა იუსტინეს სახელთან ყოფილა დაკავშირებული.

„ნიჭიერი ახალგაზრდა აკაკი შანიძე, რომელმაც წარჩინებით დაასრულა თბილისის სემინარია – იგონებს ტიციან ტაბიძის ძმა, სიმონ ტაბიძე, – საშუალებას მოკლებული იყო სწავლა განეგრძო. იუსტინემ პირადი წერილით მიმართა მის ოლქში ყველა მღვდელს და სთხოვა, გაეღოთ მატერიალური სახსრები ამ ნიჭით აღსავსე ახალგაზრდისათვის. შეგროვილი თანხით, მამის დახმარებით შეძლო მომავალმა დიდმა მეცნიერმა პირველი ნაბიჯი გადაედგა უმაღლესი ცოდნის მოსაპოვებლად“.

როგორც ფართოდ განათლებულმა ოჯახის უფროსმა და მდიდარი ბიბლიოთეკის მქონემ, იუსტინე ტაბიძემ დიდი გავლენა იქონია თავის ვაჟზე, მომავალ პოეტზე, ხოლო ლექსში „მაგი წინაპარი“ მგოსანი მკაფიოდ მიგვანიშნებს ტაბიძეთა გვარის მღვდელმსახურების შორეულ ფესვებზე: „გრძელია ჟამი, ღვდელსახურობს რაც ჩემი გვარი. ვინ დათვლის წირვას, რაოდენი გამოიყვანეს. ახლაც ეზოს წინ დაღვრემილი მოსჩანს საყდარი, ეს გერბი არი, ამაყ მგოსანს რომ დამიხატეს“.

ოჯახური გარემოს ანარეკლი მკაფიოდ იგრძნობა, ჯერ კიდევ ადრე, ქუთაისიდან დედ-მამისათვის გაგზავნილ 9 წლის ტიციანის წერილში, რომელიც 1904 წელს, 11 ივნისს დაუწერია:

„პირველად მოკითხვას მოგახსენებთ, ჩემო საყვარელო დედ-მამაო და თქვენს მშვიდობას ყოვლის შემძლებელს ღმერთსა ვთხოვ. გარდა ამისა, ჩემს ამბავს თუ იკითხავთ, მე კარგად ვარ და კარგადაც ვსწავლობ, ღვთის წყალობით. გარდა ამისა, მოკითხვას მოგახსენებთ ცაგოს, სონიჩკას, სიმონას, იოსებს და ევგენიას. ეგზამენები მყავდა რუსული და სამხთო რჯული და ორივეში „ჩეთირე“ მივიღე და წარდგენაც 4-ები მქონდა.

ეს წერილი ეკუთვნის ტაბიძეს იუსტინეს ძეს.

ეს წერილი მიერთვას მის კურთხევას იუსტინე სტეფანეს ძე ტაბიძეს“.

სულ მცირე ხანი გამოივლის და ყმაწვილი ტიციან ტაბიძის მშვენიერი მინიატურები დაისტამბება. მათი რიცხვი ოცდაათს აღემატება. მინიატურები ძირითადად 1910 წლითაა დათარიღებული. თითოეული მათგანიდან მკვეთრად შეიცნობა, თუ რაოდენი სიმძაფრით შეუგრძვნია სამშობლოს მწარე სვე-ბედი, რა დიდი სევდა დასადგურებულა მომავალი მგოსნის სულში: „… მწუხრის ბინდი შევიდა სულში. მწუხრის ბინდი, როგორც სასაფლაო, ჩაეკონა ჩემს სულს… დავემხე პირქვე და ავქვითინდი.

თეთრი ღამე სამშობლო ცისა ფრთებზე მოისხამს მარტოობის ცრემლს, მარტოობის ველურ სიმღერას…

სამშობლო მიწა შეხედავს, როგორ მორთავს თეთრი ღამის კაბას მგოსანი შავი კაეშნის არშიით /„თეთრი ღამე“/.

ხოლო მინიატურებში – „პანაშვიდი“, „პირველი სევდა“, „მწუხრულ ჰანგზე“, „სასაფლაოზე“, „ჟამის წყვდიადიდან, „ეპიტაფია“, „სიკვდილი“ – გამეფებული ყმაწვილის ურვის მიზეზიც მკაფიოდ გამოსჩანს, – ეს სამშობლოსადმი, მშობელი მიწისადმი მომავალი პოეტის უკიდეგანო სიყვარულია.

რატომღაც ტიციან ტაბიძის ლიტერატურული მემკვიდრეობა ძირითადად მისი დიდებული პოეზიით და ასევე ბრწყინვალე თარგმანებითაა წარმოდგენილი ლიტერატურულ კრიტიკაში, მაგრამ სამართლიანობა მო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ითხოვს აღინიშნოს, რომ მისი შეგნებული ლიტერატურული ცხოვრება, როგორც შემოქმედისა და მოქალაქისა, უთუოდ მისივე მშვენიერი მინიატურებიდან იწყება, სწორედ ეს მინიატურებია მყარი საძირკველი იმ მაღალი „რეგისტრებისა, რომელიც მისი ესოდენ მაღალი პოეზიიდან „მოისმის“ და სავსებით ბუნებრივად აღიქმება თუნდაც ემოციურად უკიდურესად დაძაბული ეს სტრიქონები:

„მე ვარ მიმინო, ხახამშრალი ვარ კაპოეტი, მე ვარ თბილისის აგონიით მკვდარი პოეტი /„თბილისი“ ოდა/, ან კიდევ:

„ჩააქრეთ სულში სიონის ზარი და ალავერდის წმიდა სანთელი...
რომ არ მესმოდეს არაგვზე ოხერა ბატონიშვილის ალექსანდრესი;
რომ წიწამურზე ძვლების მაგიერ არ იყოს ქვები სისხლით ნალესი.
ვინ გააჩერებს ამ ხმების გრიგალს? — ამდენი
ძვლები რად დამიგროვეთ, მე თუ მომთხოვდით სიმღერას ახალს,
მე თუ გინდოდით თანამედროვედ?.. ნუ შემიბრალებთ — მე ვარ
ნაცარი, ნუ შემიბრალებთ — მე გავხდი მტერი, ნუ შემიბრალებთ —
ეს არს რაც არი, რომ აგონიით ასე ვიმღერი...

სამწუხაროდ, პოეტის ხმა არ შემონახულა, მაგრამ რუს და ქართველ მეგობართა მოგონებებში ნათლად შეიძლება წარმოვიდგინოთ სურათი, — როგორ კითხულობდა ტიციან ტაბიძე ლექსებს:

„... არტისტიზმი გამოსჭვიოდა თითოეულ მის ჟესტსა და ფრაზაში: 1926 წელს... ტიციანთან მიმიყვანა ჩემმა უახლოესმა მეგობარმა შალვა დემეტრაძემ... კარგად მახსოვს, გვიანი შემოდგომის დღე იყო. ტიციანი ლოგინში ისვენებდა. ჩვენმა მისვლამ დიდად გაახარა. გვერდით სასთუმალთან მდგარ მაგიდისკენ გადაიხარა და წვრილად ნაწერი ქაღალდი აიღო. მან თავისი ახალი ლექსი წაგვიკითხა: „ჩააქრეთ სულში სიონის ზარი...“ მაშინვე გამაკვირვა ტიციანის დეკლამაციამ, იგი ზოგიერთ მარცვალს აგრძელებდა... /აკაკი გაწერელია/.

„ვისაც ტიციანისათვის მოუსმენია, ახსოვს, რომ ის წამღერებით წარმოთქვამდა ლექსს და პროზასაც. ტიციანის მამა მღვდელი იყო. ბავშვობაში, ცხადია, ხშირად გაუგონია, როგორ წირავდა მამამისი ეკლესიაში და საღამოობით როგორ კითხულობდა ფსალმუნებს. ტიციანი თუ წამღერებით კითხულობდა, იქნებ იმიტომ, რომ პატარაობიდანვე შეეთვისა მისი ყური გალობის მსგავსად წარმოთქმას, სიტყვა მას შეგრძნობილი ჰქონდა როგორც საგალობელი“... /სერგო კლდიაშვილი/.

ტიციანის ლექსის კითხვის მადლსა და ლაზათს, მაღალ პოეტურ ნიჭთან ერთად, ცხადია, უწინარესად, მისი პიროვნული ხიბლი და ლირიკოსის გარეგანი ხატიც ემატებოდა აშკარა გამორჩეულობით. სურათის უფრო ნათელსაყოფად მინდა პოეტის ქალიშვილის ქალბატონ ტანიტ ტაბიძის მოგონებას დავესესხო:

— დედას და მამას უთანხმოება არ მახსოვს. მათ არაჩვეულებრივი ფაქიზი დამოკიდებულება ჰქონდათ ერთმანეთისადმი. უყვარდათ ლამაზად, ზედმიწევნით გემოვნებით ჩაცმა... მაგონდება, ზოგჯერ, როდესაც მიდიოდნენ, გამოწყობილნი კარებთან დადგებოდნენ და მეკითხებოდნენ, რომელი უფრო მოგწონსო. მე ხან დედას ვუყურებდი, მას საოცრად შვენოდა მხრებზე მოხვეული თეთრი შარფი, ხან მამას შევხედავდი ხოლმე, იგი პაპიროსით ხელში იდგა დედას გვერდით და იღიმებოდა. ვერ გავრკვეულიყავი, რომელი უფრო მომწონდა და იცინოდნენ. მხოლოდ ერთი რამ იყო მამას გარეგნობაში განსაკუთრებული, არაჩვეულებრივად ლამაზი ხელები ჰქონდა, იყო კიდევ ერთი უცნაური სამკაული მამას მორთულობაში — წითელი მიხაკი. მამა იყო ამ მიხაკის დიდად მოყვარული, როგორი დაღლილიც არ უნდა მოსულიყო სახლში, ღვინის ლამაზ ჭიქაში წყალს ჩაასხამდა და შიგ მიხაკს ჩადებდა. ეს არ ავიწყდებოდა არასდროს“.

და კიდევ იყო ტიციან ტაბიძის მორთულობაში ერთი ძვირფასი სამკაული, — ოქროსღერბიანი ყელსაბნევი, რომლის შესახებაც პოეტის მეუღლე ნინო მაყაშვილი საგანგებოდ აღნიშნავს თავის მოგონებებში „ტიციანი და მისი მეგობრები“ — მამაჩემის პაპა და ილია ჭავჭავაძე ძმები იყვნენ.

„პარიზიდან დაბრუნებულმა ილიამ მარგალიტის მძივები და ფირუზით დამშვენებული სავარცხელი ჩამოიტანა, რომელსაც მთელი ცხოვრება თვალისჩინივით ვუფრთხილდებოდი. მამას ჭავჭავაძისეული ოქროსღერბიანი ყელსაბნევი უსახსოვრა, დედამ ეს ყელსაბნევი ტიციანს აჩუქა, მე კი მერე ილია ჭავჭავაძის ყვარლის სახლ-მუზეუმს გადავეცი“.

„ორმოცი წლის ვარ, კიდევ ორმოც წელს აღარ მომაკლებს ლექსი ჟრუანტელს“, — წერდა ტიციან ტაბიძე 1935 წლის 6 ივლისით დათარიღებულ ლექსში „სამშობლო“.

ვაგლახ, რომ ეს ასე არ მოხდა.

მაგრამ ამ დიდი მელექსისა და მთარგმნელის, პირუთნელი კრიტიკოსისა და დაუმცხრალი თეატრალის, უაღრესად საინტერესო ნარკვევების ავტორის, საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურის მუზეუმის ერთ-ერთი ფუძემდებლის და არაერთი სამამულო საქმის გზამკვლევის პოეტური სიცოცხლე ხომ დიდი ტრიუმფით დასრულდა მოსკოვში მისი სიცოცხლის ტრაგიკულ-1937 წელს, რომლის შესახებაც სიხარულით აუწყებდა დედას ტიციან ტაბიძე ამავე წლის 8 მარტით დათარიღებულ წერილით: „მალე ერთი თვე გახდება, რაც მე მოსკოვში ვარ. საქართველოდან ვიყავი გამოგზავნილი ა. პუშკინის ასი წლის იუბილეს დღესასწაულზე. 10 თებერვალს მომიხდა გამოსვლა დიდ თეატრში. ამ სხდომას დაესწრო მთელი მთავრობა ამხ. სტალინის მეთაურობით და გული ლამის შემიღონდა — მაგრამ მაინც წარმოვთქვი სიტყვა პუშკინზე. ეს სიტყვა აქ დაიბეჭდა და რადიომაც მთელ ქვეყანაზე მოფინა.



● მამა-შვილი

4 მარტს მოსკოვის მწერალთა კავშირმა გამართა ჩემი შემოქმედებითი საღამო.

ვერ აგიწერ, როგორ კარგად ჩაიარა ამ საღამომ. დაესწრნენ თითქმის ყველა გამოჩენილი რუსის მწერლები და პოეტები. მე ვკითხულობდი ქართულად, რუსის პოეტები კიდევ კითხულობდნენ ჩემი ლექსების თარგმანებს. საღამოს დაესწრნენ ისპანიიდან ჩამოსული გამოჩენილი მწერლები და მომილოცეს ეს საღამო. აგრეთვე რუსებმა, სომხებმა, თათრებმა და ყველამ. აქაურმა გაზეთებმა დიდი წარჩინებით აღნიშნეს საღამო. ყველანი მილოცავდნენ და მკოცნიდნენ.

ახლა მივდივარ ლენინგრადში. იქაც იმართება ჩემი პოეზიის საღამო. მოსკოვის საღამოს ნახევარი გამარჯვებაც რომ განმეორდეს, მე მაინც კმაყოფილი ვიქნები.

ამ შემოდგომაზე გამოვიდა რუსულად ჩემი ლექსების წიგნი, ორმაგი ტირაჟით, მაგრამ ორ კვირაში სულ გაიყიდა. ეხლა კიდევ სცემენ მეორედ ამ ლექსებს, მე კიდევ დავუმატე ახალი ლექსები.

ერთი სიტყვით, მე ძალიან კმაყოფილი ვარ მოსკოვის მიღებით, ხანდისხან თავი სიზმარში მგონია, ისე, სიყვარულით და პატივისცემით მეპყრობიან ყველანი.

...ჩემო ძვირფასო დედიკო, გწერ ამას იმიტომ, რომ ვიცი, გაგიხარდება ჩემი გამარჯვება.

მე თუ რამეს წარმოვადგენ ქვეყანაზე, ეს სულ ერთიან შენი შემწეობით, შენი მხნეობით და ჭკუის დარიგებით.

მომაგონდა ჩემი სტუდენტობა და მოსკოვში სწავლა, მომაგონდა შენი წერილები და დაიმედება, რომ სწავლა არ დამეგდო — თუმცა მამა ავად იყო.

მე ვერასოდეს ვერ გადავიხდი შენს ამაგს და სიყვარულს. მაგრამ როდის ყოფილა, რომ შვილს დედის ამაგი ერთბაშად გადაეხადოს...

თუ მე მერგო წილად ხალხის დაფასება და სიყვარული, ეს სულ შენ გეკუთვნის, მე რომ შენნაივით შრომა და მუყაითობა შემეძლოს, ბევრჯერ მეტს გავაკეთებდი, მაგრამ მამისგან გამოყოლილი გულის სისუსტე მიშლის მეტ მუშაობას.

ჩემო საყვარელო დედიკო, მე არაფერი ისრე არ გამახარებდა, ერთი რომ შენ დამჭკნარ ძუძუებს ვაკოცებდე და შენ გამრჯე და პატიოსან ხელებს ცრემლებით დავკოცნიდე. მაპატიე, რომ ზოგჯერ ვერ გიგონებ და ვერ ჩამოვდივარ შინ. მაგრამ იცოდე, შენზე უფრო არავინ მიყვარს ქვეყანაზე. ვაკოცებ ჩემს სიმონიკას, მაროს და მათ ბავშვებს. ვიცი მათაც გაუხარდებათ ჩვენი ერთმანეთში სიყვარული.

ნინა აქ არის და ძალიანაც მეხმარება. ნიტას თითქმის ყოველდღე ველაპარაკები ტფილისში ტელეფონით.

გკოცნი ბევრს, ბევრს და მალე გინახულებ.

შენი ერთგული შვილი ტიციანი.

გიგზავნი ხუთას მანეთს იმის მოსაგონებლად, რომ შენი დიდი ვალი აქამდე არ დამვიწყებია“.

ციური ხეთერელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გული

ნახევარ საუკუნეზე მეტია ხალხს ემსახურება, დაუღალავად და მუხლჩაუხრელად. ვინ მოსთვლის, ამ ხნის განმავლობაში რამდენი ადამიანისათვის შეუმსუბუქებია აუტანელი ტკივილი. ამიტომაც ლოცავენ მის მადლიან, „ოქროს“ ხელებს. სახელად გული ჰქვია. თავადაც გულით აკეთებს ყველაფერს. გულით უყვარს, გულით უხარია, გულით განიცდის, ყველა საქმეში გულს აქსოვს. მოკლედ, ქალბატონი გული გვაძაბია მართლაც ამართლებს, სახელს თავისი ცხოვრებით.

– რა სწრაფად გარბის წლები, – ოდნავი სინანულით მეუბნება, – თითქოს გუშინ იყო ყველაფერი... კარგად ვსწავლობდი, საერთოდაც, შეიძლება ითქვას, რომ აქტიური ვიყავი. ყველა სასკოლო ღონისძიებაში ვმონაწილეობდი. განსაკუთრებით კი სიმღერა მიყვარდა. მიჭირდა – ვმღეროდი, მილხინდა და... მაშინ ხომ ვმღეროდი და ვმღეროდი. ერთხელ რუსულის პედაგოგმა ლიდა ბოჯგუამ სიმონ ქვარიანის პიესა დადგა და მთავარი როლი მე მომანდო. უნდა გენახათ, რა ხალისით ვმღეროდი და ვცეკვავდი. ახლაც კი მახსოვს ის სიტყვები, სპექტაკლის დროს რომ წარმოვთქვამდი.

ერთგვარი სევდანარევი ღიმილით იხსენებს ქალბატონი გული თავის ცხოვრებას, რომელმაც სად არ წაიყვანა და რა გამოცდა არ მოუწყო ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდას.

– თბილისის სტომატოლოგიური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, ხულოს რაიონში გამაგზავნეს სამუშაოდ. წასვლით კი წავედი, მაგრამ ადგილზე რომ ჩავედი, კინაღამ გამოვიქეცი იქიდან. იმდენად განსხვავებულ სამყაროში აღმოვჩნდი, რომ ყველაფერს გაკვირვებული, გაფართოებული თვალებით შევყურებდი. ქალები ჩადრებით დადიოდნენ, მამაკაცები კი რელიგიური ფანატიზმითა და ყალიონით იყვნენ გაბრუებულნი.

– ერთი სიტყვით, ათას ერთი ღამის ზღაპარში ამოყავით თავი...

– ასეც შეიძლება ითქვას, – ეღიმება ქალბატონ გულის, – მაგრამ ყველაზე მეტად ის მირთულებდა საქმეს, რომ იქაურები ექიმთან მისვლას თავს არიდებდნენ. საბოლოოდ, მაინც შევძელი მათი ნდობის დამსახურება და საქმეს ძლივს ავუდიოდი. სტომატოლოგობასთან ერთად თერაპევტის, ქირურგისა და გინეკოლოგის სპეციალობებიც მქონდა „შეთავსებული“.

– როგორ შეეგუეთ იქაურ წეს-ჩვეულებებს?

– ძალიან გამიჭირდებოდა და ალბათ, მართლაც გამოვიქცეოდი, სოფელში ექიმი, შოთა ჭკუასელი რომ არ დამხვედროდა ოჯახთან ერთად. შვილივით მიმიღეს, მარტო ერთ ნაბიჯსაც არ მადგმევინებდნენ. ეს სურათი სწორედ მაშინ არის გადაღებული...

ფოტოდან მშვენიერი ქალიშვილი იღიმება.

– როგორ მოხდა, რომ არ მოგიტაცეს? – ვეკითხები არცთუ ხუმრობით.

– სხვათა შორის, მართლაც გამოჩნდნენ მთხოვნელები...

– მერე, თქვენ არავინ მოგეწონათ? – არ ვეშვები.

– თქვენ წარმოიდგინეთ, ერთ ვაჟს ისე მოვეწონდი, ჩემს დანახვაზე წითლდებოდა და „მუნჯდებოდა“. ვინ იცის, რითი დამთავრდებოდა ყველაფერი, ჩემებს რომ არ ეაქტიურათ. ქვეყანაააწრიალეს და სამეგრელოში დამაბრუნეს. ბედმა ჩემი ფეხით მიმიყვანა წალენჯიხაში, სადაც ჩემი მომავალი მეუღლე, იროდიონ ხარჩილავა გავიცანი, რომელიც პროფესიით იურისტი იყო. სხვადასხვა დროს გამომძიებლად, მოსამართლედ და ადვოკატად მუშაობდა. შემდეგ სამი შვილი შეგვეძინა, საცხოვრებლად ზუგდიდში გადავედით და, რომ იტყვიან, მთლიანად შევები უღელში.

ქალბატონი გულისთვის ოჯახი უპირველესია, მაგრამ ორმოცდაათი წელი ისე იმუშავა ზუგდიდის სტომატოლოგიური პოლიკლინიკის თერაპიული განყოფილების გამგედ, რომ მადლობისა და ჯილდოების მეტი არაფერი დაუმსახურებია. საგულდაგულოდ შენახულ სიგელებსა და მადლობის წერილებს მიჩვენებს. ვამჩნევ, რამდენს ნიშნავს მისთვის სიყვითლეშეპარული ფურცლები.



● „ამერიკელ“ გიორგისთან ერთად



● გული მეუღლესთან ერთად

– მაგრამ ახლა ვისღა სჭირდება ეს ყველაფერი, – მეუბნება ერთგვარი სინანულით,

– თუნდაც იმათ, ვინც თქვენს მიერ გაკვალულ გზაზე უნდა იარონ, – ვეუბნები სრულიად გულწრფელად და ჩვენი საუბარი კვლავ იბრუნებს ადრინდელ სიმსუბუქეს. უფრო მეტიც, იმ შემთხვევას იხსენებს, მას რომ გადახდა თავს წლების წინათ და ზუგდიდელები დღესაც ღიმილით ჰყვებიან.

– პოლიკლინიკას, სადაც ვმუშაობდი, ცნობილი ექიმი ამირან აბრამია ხელმძღვანელობდა, საოცრად მკაცრი და მომთხოვნი იყო. უქმად ერთ წუთსაც არ გვაჩერებდა, დაგვიანებაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტი იყო. სამი შვილის მოვლა, მოგეხსენებათ, ადვილი საქმე არ არის. ამას უამრავი საოჯახო საქმეც ემატებოდა. ჩემს მეუღლეს კი არაფერი არ ეხერხებოდა. მისი საქმე მხოლოდ სამსახური

ეროვნული ბიბლიოთეკა

და წიგნები იყო. ასე რომ, ლურსმანიც კი ჩემი მისაჭედებელი იყო. ჰოდა, მეც დილიდან საღამომდე, რომ იტყვიან, გადარბენაზე ვიყავი. ერთხელ საათს შევხედე და ელდა მეცა. სამუშაოს დაწყებას წუთები აკლდა. სასწრაფოდ გადავიცვი პალტო და პოლიკლინიკისკენ გავიქეცი. დილის კონფერენცია ის-ის იყო იწყებოდა. მეც შევბით ამოვისუნთქე, პალტო გავიხადე და... კოლეგებს გულიანი სიცილი აუტყდათ. დავიხედე და მეც კი გამეცინა, ისეთი „კარგი ჩაცმული“ ვიყავი.

– როგორც მითხრეს, საამაყო შვილები გყავთ...

– ჩემგან ცოტა უხერხულია ამის თქმა, მაგრამ შვილებმა მართლაც გამიმართლეს. ავთანდილი ბავშვობიდან განსაკუთრებული ნიჭით გამოირჩეოდა ტექნიკურ საგნებში. ამიტომაც გადმოვიყვანე თბილისში კომაროვის სახ. მათემატიკურ სკოლა-ინტერნატში. შემდეგ მოსკოვის ლომონოსოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტი დაამთავრა და, შეიძლება ითქვას, რომ მთლიანად „გადასახლდა“ მეცნიერების სამყაროში. 27 წლის იყო სახელმწიფო პრემიის ლაურეატი რომ გახდა. სხვადასხვა დროს მიწვევით მუშაობდა შვეიცარიაში, გერმანიაში, საფრანგეთში. ამჟამად ამერიკის შეერთებულ შტატებში ცხოვრობს და მოღვაწეობს. რძალი, ია იაშვილიც, ფიზიკოსია, რომელიც მართლაც ერთგულად უდგას გვერდით ჩემს ვაჟს, მუშაობს, ოჯახს უვლის და პატარა გიორგის, მონატრებულ შვილიშვილს, ღირსეულ ქართველად ზრდის.



● ხულოში მუშაობისას

ქეთევანი ექიმი-თერაპევტია, თბილისში ცხოვრობს, 28-ე პოლიკლინიკის თერაპიული განყოფილების გამგეა, ჰყავს ორი შვილი. სამწუხაროდ, მეუღლე სრულიად ახალგაზრდას დაეღუპა. გული არ მითმენს, თავს ორმაგად ვალდებულად ვთვლი, რაღაცით მაინც დავეხმარო, ამიტომ ხშირად ჩამოვდივარ მათთან და შვილიშვილებს „ვმწყემსავ“.

ბაია ზუგდიდში ცხოვრობს, პროფესიით გინეკოლოგია. ჰყავს შესანიშნავი მეუღლე მურმან მესხია და ორი ვაჟი.

– თქვენი პროფესია არცერთმა შვილმა რომ არ აირჩია, გული ხომ არ გწყდებათ?

– სამაგიეროდ, ჩემმა ერთ-ერთმა შვილიშვილმა გადაწყვიტა სტომატოლოგობა – ერთგვარი სიამაყით ამბობს და თან დასძენს, – ჩვენს ოჯახში ყოველთვის ისმის სიმღერის ხმა. არა იმიტომ, რომ პრობლემა არ გვაქვს და არაფერი გვადარდებს. სიმღერა ჩვენი ცხოვრების წესია, რაც კიდევ უფრო აძლიერებს ჩვენს ურთიერთობასა და სიყვარულს.

ღმერთმა არ მოგიშალოთ სიმღერის სურვილი!



● გულის შვილები და შვილიშვილები



● ვალია ხაზალია, ია იაშვილი და გული გვაძაბია

**მარინე ნაკაიძე**

# სხვადასხვა

სარკის მაგიურ თვისებებზე ბევრი გვსმენია ზღაპრებსა თუ რეალურ ცხოვრებაში, ის ჩვეულებრივი საყოფაცხოვრო ნივთი არ გახლავთ და არც ყველგან შეიძლება მისი განთავსება. უნდა გვახსოვდეს, რომ:

– სარკეში არ უნდა ირეკლებოდნენ მძინარე ადამიანები, განსაკუთრებით წყვილები. ეს ცოლ-ქმრულ ურთიერთობას გამოუსწორებელ ზიანს აყენებს.

– სარკე არ უნდა მდებარეობდეს შემოსასვლელი კარის პირდაპირ – ამბობენ, უიღბლობა იცისო.

– არ შეიძლება სარკის ნატეხის გამოყენება, რადგან იგი გამოსახულებას (შესაბამისად ენერგიასაც) ფრაგმენტებად ყოფს და უსიამოვნებას მთელ სახლში ავრცელებს.

– სარკე დიდი უნდა იყოს – ისეთი, რომ ოჯახის ყველაზე მაღალი წევრიც კი თავით ფეხებამდე გამოჩნდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში, თავის ტკივილები შეაწუხებს.

– სარკისთვის ყველაზე საუკეთესო ადგილი სანიტარული კვანძის კარია, თანაც ორივე მხრიდან. ეს ცის ენერგიას წყლის მილებით წასვლის საშუალებას არ მისცემს, უარყოფით ენერგიას კი ტუალეტიდან არ გამოუშვებს!

– კარგი იქნება, თუ სარკეს სასტუმრო ოთახში ფანჯრის მოპირდაპირე მხარეს დაკიდებთ, რასაკვირველია, თუ იქ ლამაზი პეიზაჟი გეგულებათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მასთან დაძინება შეიძლება, გათხოვება კი....

ახლახან ერთ-ერთ პოპულარულ გაზეთში სათაურად იყო გამოტანილი პარლამენტარ ქალბატონის რჩევა: „ბოიფრენდის ინსტიტუტის შემოღება აუცილებელია“!

რაც არ უნდა სრულყოფილი იყოს ამ ტიპის ე.წ. „რეკომენდაციები“, მათი, როგორც სამზარეულო ცნობარის გამოყენება ყოვლად დაუშვებელია, რადგან ეს ერთდროულად – კულტურაცაა, მეცნიერებაც, ესთეტიკაც, მორალიც და ა.შ. ამ პრობლემებს სხვადასხვანაირი ასპექტი აქვს – ეთიკური, პედაგოგიური, ზოგადბიოლოგიური, სამედიცინო, იურიდიული, ფსიქოლოგიური, გენეტიკური, ისტორიული... ამა თუ იმ ერის ფსიქიკის, მენტალიტეტის ჩამოყალიბების საქმეში დიდი როლი ეკისრებოდა სექსს, როგორც ადამიანთა არსებობისა და გამრავლების საფუძველს. დროთა განმავლობაში მისი ბიოლოგიური საწყისი იზღუდებოდა და, ერის ადათ-წესების შესაბამისად, გარკვეულ ჩარჩოებში ჯდებოდა. ამდენად, ყოველ ერშია ჩადებული სექსუალურ-ფსიქოლოგიური კოდი. მას განაპირობებდა ყველაფერი, რაც ამ ერის წარმოშობასა და ცხოვრებასთან იყო დაკავშირებული.

საგულისხმოა ისიც, რომ რაც უფრო მცირერიცხოვანია ერი, მით უფრო გასაფრთხილებელია მისი გენოფონდი და შესაბამისად, გასათვალისწინებელია ამ ერის სექსუალური მორალი.

საკუთრივ ქართული სიყვარულის მოდელი საუკუნეების განმავლობაში მთლიანად ჩაჯდა სიყვარულის ქრისტიანულ მორალში, რომელსაც, სხვათა შორის, ყველაზე ოპტიმალურ და მისაღებ ფორმად მიიჩნევდა ფროიდიც, სწორედ ეს მოდელი გაჯდა ქართული კაცის, გინდა ქალის მენტალიტეტში, „ჩაიწერა გენებში“ და ამდენად, ყოველი გადახვევა, თუნდაც ნებაყოფლობით, ძალაუნებურად ანგრევს ფსიქიკას და აუბედურებს პიროვნებას. – ის, რაც ბუნებასა და საუკუნეებს არ შეუსისხლხორციელებია, მისი ხელოვნურად შეწებება შეუძლებელია არაფერი სასიკეთო აქედან არ გამოვა. გენეტიკის კანონია: „შეძენილი (თავსმოხვეული) ნიშან-თვისებები არ მემკვიდრეობენ.“ აქედან გამომდინარე, ბოიფრენდის ინსტიტუტით დაკმაყოფილებული ეროსი და მისგან გამომდინარე შედეგები ვინ იცის, რის ფასად დაუჯდება ამ პატარა ქვეყანას. მესმის, პრობლემა მართლაც, ხელშესახებია. დღეს საქართველოში ჯანმრთელ, საღ მამაკაცთა დეფიციტია! – ნარკოტიკმა, ალკოჰოლმა, ეკონომიკური სიდუხჭირით გამოწვეულმა დეპრესიამ საეჭვო სექსუალური ორიენტაციის მქონეთა გააქტიურებამ (ლამაზი, ახალგაზრდა და ჯანმრთელი ჭაბუკების მოსანადირებლად ისინი ლამის მთავარ კონკურენტებად უხდებიან ქალებს), ამას დამატებულმა საზოგადოებრივმა ნიჰილიზმმა, სულიერმა სიზარმაცემ და კიდევ სხვა მრავალმა ფაქტორმა კატასტროფულად შეამცირა ოჯახში შესაძლო მამაკაცთა რაოდენობა.

სექსუალურობასა და ცივილიზაციას შორის არსებულმა წინააღმდეგობამ ერთმანეთისგან გათიშა ბიოლოგიური და ეთიკური ნორმები. ახალგაზრდებს საშუალება მიეცათ, ამ უკანასკნელის უგულვებელყოფით იოლად გადაწყვიტონ სექსუალური პრობლემები და მაინც საქართველოში, საბედნიეროდ, მრავლად არიან ქართული ტრადიციული ოჯახები და ამ ოჯახებში აღზრდილი ქალიშვილები, რომლებიც ლამაზი სიყვარულის, ან სულაც დედობის მოლოდინში ინარჩუნებენ ქალურ ღირსებას. სამწუხაროდ, ხშირად ეს მოლოდინი ცრუვდება, მაგრამ ღირსება, საკუთარი თავის პატივისცემა და ღვთის თანადგომის იმედი რჩება.

მე შორსა ვარ იმისაგან, რომ მკაცრად გავაკრიტიკო „ბოიფრენდის ინსტიტუტის“ მოსურნეები.. ვინ იცის, იმ პარლამენტარი ქალბატონის მსგავსად, ვის რა მოტივაცია ამოძრავებს... მე ვარჩევ რა ჯობია, რადგან გულწრფელად მენანებიან „მანანუელებლად“ ქცეული მანანები. პრესა სავსეა მათი ვითომდა გულახდილი, თუმცა საკმაოდ ნევროზული აღსარებებით. კარგად თუ ჩავუკვირდებით, მათ უკან უმწეო, დაბნეული, გზადაკარგული, დაკომპლექსებული არსებები იმალებიან, რომლებიც საკმაოდ უნიჭოდ თამაშობენ ე.წ. ემანსიპირებული ქალების როლს და ამით უფრო საკუთარ თავს უმტკიცებენ იმას, რისიც გულის კუნჭულში არ ჯერათ. – არ ვთხოვდები იმიტომ, რომ უკვე გამოვიმუშავე საკმაოდ გულგრილი დამოკიდებულება საყოველთაოდ მიღებული აზრისადმი. თავისუფლად ვიტან გაჭორვას, არ მსურს, დედაჩემივით განუწყვეტლივ ვიფიქრო, როგორ გავძლოთ ხელფასამდე, რა ვაჭამო ქმარშვილს. მოკლედ, მე კი არ ვძლებ, ვცხოვრობ“ – თანამედროვე „ჩვენებურის“ ამ წერილიდან ჩანს, თუ რა დონის დევალვაცია განუცდია მის თვალში ყოველივე იმას, რაც ადამიანს ასურვებინებდა შეექმნა ოჯახი. სიყვარულს, საზოგადოებრივი აზრის ზეგავლენას, შვილების ყოლის სურვილს და სხვა „საქორწინო ფაქტორებს“



ძალა დაუკარგავთ. ხორცის დაკმაყოფილება კი დაუქორწინებლადაც შესაძლებელია, თუკი ეს მართლაც დასაშვებია, თუკი ოჯახმა, როგორც შეუცვლელმა მარადიულმა კატეგორიამ, როგორც ადამიანის არსებობის აუცილებელმა პირობამ, დაკარგა ხიბლი, რა შეიძლება შევუნაცვლოთ მას? „ბოიფრენდის ინსტიტუტის“ მსგავსი სუროგატები? გასაგებია, რომ თანამედროვე მატრიარქატის პირობებში, როცა ქალი ხშირად გაცილებით მეტს შოულობს, ვიდრე კაცი, მანქანასაც თავად მართავს და ლურსმანსაც თავად აჭედებს, თითქოს ნაკლებ სანატრელია ქმარი! მით უფრო, რომ ბევრი გოგონა დიდი ხანია ბოიფრენდთან „ამბულატორიულ“ ურთიერთობას სჯერდება. სტაციონარული ურთიერთობები არ იზიდავს და წარმატებით ახორციელებს იმას, რისკენაც უბიძგეს. თუმცა სიტყვა „წარმატებით“ ქართულ სინამდვილეში წარუმატებლობას უფრო გულისხმობს... თუ ეს ასე არ არის, მაშინ საიდან ამდენი ცრემლი, წუწუნი, გვიან მონანიებას რომ ახლავს: „ცხოვრება დამენგრა“, „ბედი არ მქონია“, „ამას არ ველოდი“, „ნეტავ სხვაგან დავბადებულიყავი“. აი, სწორედ ამაშია საქმე, მართლაც, სხვა ქვეყანაში ყველაფერი სხვაგვარად იქნებოდა. ხორცი ისე დაკმაყოფილდებოდა, რომ სულს არ ეტკინებოდა. მაგრამ საქართველოში ბოიფრენდიანი წარსულით ლამაზი მომავლის შექმნა ძალიან ძნელია. გამონაკლისები არსებობენ, მაგრამ მათ ხომ გამონაკლისები იმიტომ ჰქვიათ, რომ სხვა უამრავ მათნაირს შანსი ძალიან მცირე აქვს.

მართალია, ქორწინებაში მამაკაცთა ბატონობა მათ ეკონომიკურ ბატონობას ემყარებოდა და ამჯერად მათი ტახტი საკმაოდ შერყეულია, მაგრამ მათ მაინც რჩებათ უპირატესობა. დღესაც პირველი სიტყვა მათ ეკუთვნით. უამრავი ქალი ათრთოლებული გულით ელოდება ნანატრ სიტყვებს: „გახდი ჩემი მეუღლე“, „გამომყევი ცოლად“ და ა.შ. მიუხედავად იმისა, რომ ცნობილია, მამაკაცები ქორწინებაში უკეთ გრძნობენ თავს, ვიდრე მათი ცოლები, მათ უფრო სჭირდებათ სოციალურ-ფსიქოლოგიური მხარდაჭერა, ისინი მაინც საკმაოდ ჭირვეულად რეაგირებენ ქალების სექსუალურ რენესანსზე. მიუხედავად იმისა, რომ თითქოს დიდი ხანია,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაც ქალწულობის შენახვის დრო წავიდა, „ზეწრების გამოფენაც“ არ ხდება, მაინც ქალწულობა, როგორც პარტნიორის ბიოლოგიური გარანტი, უმრავლესი მამაკაცისათვის დღემდე რჩება ემოციურ პრობლემად, რადგან თვით მამაკაცის გენეტიკური ბუნება არ შეცვლილა და მას დღესაც სურს იყოს არა მარტო უკეთესი, არამედ ერთადერთიც. თანაც მესაკუთრული ინსტინქტი („ჩემია“) ჯერ კიდევ მძლავრად მოქმედებს მამრში. „უთუოდ არის განსხვავება იმ ქალსა, რომელიც შენთვის იხდის, და იმ ქალს შორის, რომელიც შენს თვალწინ იხდის“, – წერდა კრონი რომანში „უძილობა“.

მე, რასაკვირველია, მეცოდებიან ქალობა-გახუნებული არსებები. ისინი ხომ გაცილებით მეტნი არიან, ვიდრე ბერბიჭები. მრავალცოლიანობაც ხომ არ არის გამოსავალი. ჰარამხანის ყოლა მხოლოდ ორფეხა ცხოველთა ერთი, გარკვეული ჯგუფისთვის არის შესაძლებელი. ძნელია „სიყვარულის ასე მოთმენა“, მაგრამ განა ნაკლებად ძნელია „ტკბობის ობიექტი“ იყო და მეტი არაფერი. ცხოვრების ამგვარი ეროტიკული წესიდან ე.წ. „ღამის პეპლად“ დაცემამდე, ხშირად ერთი ნაბიჯიღა რჩება. აი, ამას კი ვერავის ვუსურვებ, თვით მტერსაც კი. თუკი გამონაკლისი მოხდა და მათ ოდესმე რამე ეღირსებათ, ასეთები საკუთარ ქორწილშიც კი დაუპატიჟებლად მიდიან. მართალია, ძალიან მკვეთრი, „რუსთველური ზღვარის“ გავლება არ ხდება, მაგრამ მამაკაცები მაინც მიჯნავენ ერთმანეთისაგან იმათ, ვისთანაც, დაძინება შეიძლება, მაგრამ გაღვიძება... და იმათ, რომელთაც სასურველ მეუღლეებად მიიჩნევენ. კიდევ ერთხელ ვიმეორებ: გამონაკლისი არსებობს, თუმცა ამ დროს მეეჭვება მამაკაცის მხრიდან ამგვარ კომპრომისს ანგარება, ან საკუთარი არასრულფასოვნების შეგრძნება ხომ არ უდევს საფუძვლად? უმრავლეს შემთხვევაში, ამგვარი კომპრომისული ქორწინება წინასწარ დათესილ უბედურებას მაგონებს, რომელიც თავის ნაყოფს აუცილებლად გამოიღებს „ბოროტი საყვედურებით“ გამწარებული ცხოვრების სახით მაინც.

საყოველთაოდ მიღებულია, რომ ზნეობრივად ითვლება წმინდა სიყვარულზე დაფუძნებული ქორწინება – „ამისათვის დაუტევოს კაცმან მამაჲ თვისი და დედაჲ თვისი და შეეყოს ცოლსა თვისსა და იყვნენ ორივე ერთ ხორც“... სწორედ ამგვარ კავშირს იცავს უფალი. ბუნებრივია, რომ ღვთივკურთხეული კავშირის უგულველყოფას ადრე თუ გვიან ღვთის რისხვა უნდა მოჰყოლოდა. ჩემი ღრმა რწმენით, იმგვარი სექსუალური უხამსობის გზაზე, რომელსაც გვთავაზობს ყოველგვარი პირობითობისაგან გათავისუფლებული სინდისი, ღვთის რისხვა-ჯებირად მოვლენილი შიდსი სულაც არ გახლავთ შემთხვევითი მოვლენა. მისმა შავმა კლანჭებმა თვით ჰომოსექსუალისტებსაც უბიძგა ქორწინებისაკენ. ამიტომაც, ვიყოთ ფრთხილად! არ დავემსგავსოთ სალტიკოვ – შჩედრინის „გლუპოვის“ მცხოვრებებს, რომლებიც დაიღუპნენ საკუთარი მოქალაქეების სიგიჟესთან წილნაყარ უმსგავსობების გამო.

გავა დრო... ღმერთმა ქნას, საქართველოს დემოგრაფია გასწორდეს. და ასე მგონია, იმათ, რომელთანაც დაძინება კი, მაგრამ გაღვიძება არ შეიძლება, ძალიან შეშურდებათ იმათი, ვინც არ გადაუხვია ღვთივკურთხეულ წესს.. დაახლოებით ისე, როგორც ხეიბარს შურს ჯანმრთელის.

**მანანა კეიდია**

# მართეთ ეჭვიანობის ენერგია!

ამას წინათ, ძველი ჩანაწერების თვალიერებისას, ცეკვის ჯადოქრის, ქალბატონ ნინო რამიშვილის სიტყვებს წავაწყდი: „სულელია ის ქალი, რომელიც იტყვის, ქმარს ჩემთვის არასოდეს უღალატიაო. შეიძლება, ილიკოს ჰქონდა უმნიშვნელო რომანები, მაგრამ მე ეჭვიანობის საბაბი არასოდეს მქონია, ამას ისე აკეთებდა. ვიცოდი, რომ მე მისთვის ვიყავი და ვიქნებოდი ყოველთვის პირველი“.

ალბათ, ყველა ქალის ოცნებაც სწორედ ესაა: ერთადერთი და განუმეორებელი იყოს საყვარელი მამაკაცისათვის. თუმცა, სამწუხაროდ, სულ მცირე მიზეზიც კი საკმარისია, რათა სადღაც მიმალული ეჭვის მარცვალი თანდათან გაიზარდოს, რაც ხშირად ოჯახის დანგრევის მიზეზი ხდება.

ეჭვიანობის საბაბად, შესაძლოა, სკოლის მეგობართან სატელეფონო საუბარი, ან სულაც წიგნი იქცეს, რომელსაც ვერაფრით აშორებთ თვალს. მოკლედ, ალბათ, ყველაფერი თავად ადამიანზე, მის ხასიათსა და, უპირველეს ყოვლისა, იმაზეა დამოკიდებული, როგორია სიყვარულის მისებური გაგება.

არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ეჭვიანობა უხსოვარი დროიდან მოდის. ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე საუკუნეებით ადრე ჩვენი თმააბურძგნული წინაპარი მეტოქეს კეტის საშუალებით იგერიებდა. ეს ცხადია, უფრო ბიოლოგიური ინსტინქტის გამოვლინება იყო, მაგრამ, თუ ეჭვიანობის ფორმად მივიჩნევთ, ამ თვალსაზრისითაც შეიძლება გამართლება მოვუძებნოთ, რადგან ხელს უწყობდა პოპულაციის შენარჩუნებას.

დღეისათვის ეჭვიანობამ თავისი „ბიოლოგიური მნიშვნელობა“ დაკარგა. სქესთა ურთიერთობასა და მომავალი თაობის აღზრდასთან დაკავშირებულ პრობლემათა უმეტესობის გადაჭრა უკვე შესაძლებელია ცივილიზებული მოლაპარაკებების საფუძველზე, მაგრამ... ეჭვიანობა დღესაც არსებობს და შესაძლოა, უფრო მძაფრი ფორმითაც კი. ფსიქოლოგები მის სამ ტიპს გამოყოფენ.

## ეჭვიანობა – ნორმა

ეჭვიანობის ეს ფორმა ყველაზე მეტადაა გავრცელებული. მაგალითად, თქვენმა მეუღლემ თქვენი თანდასწრებით განსაკუთრებული თავაზიანობა გამოამჟღავნა ვიღაც ქალბატონის მიმართ. თქვენ რატომღაც, უსიამოვნო შეგრძნება დაგეუფლათ და, მიუხედავად იმისა, რომ შეგეძლოთ გაჩუმებულიყავით, მაინც დაინტერესდით, ვის ელაპარაკებოდა ასე თავაზიანად. მეუღლემ ყველაფერი განგიმარტათ და თითქოს პრობლემაც მოიხსნა. ალბათ, სწორედ ასეთ სიტუაციებზე ამბობენ ხოლმე, სიყვარულს ეჭვიანობა თან ახლავსო.

## ეჭვიანობა – ხასიათი

მდგომარეობა რთულდება. თუ თქვენს მეუღლეს ეჭვიანი ხასიათი აქვს, მასთან ერთ ჭერქვეშ ცხოვრება ნამდვილად არ იქნება იოლი. სტუმრად ყოფნისას, ბუნებრივია, თქვენ მეგობრულად და გულღიად ეპყრობით იქ მყოფ მამაკაცებს. ეს კი, თქვენს მეუღლეს ლამის აცოფებს. ის ფიქრობს, რომ თქვენ ფლირტის მიზეზს ეძებთ. იმ შემთხვევაში კი, თუ რომელიმე სიმპათიურ მამაკაცთან ცეკვა გაბედეთ, სკანდალი გარდაუვალია. არანაირი თავის მართლება შედეგს არ მოგიტანთ – ეჭვიანობა და უნდობლობა ხომ თქვენი მეორე ნახევრის ბუნებრივი მდგომარეობაა?!

## ეჭვიანობა – ავადმყოფობა

როცა ეჭვიანობა უკვე ავადმყოფობად იქცევა, ამ შემთხვევაში ერთადერთი გამოსავალი არსებობს – მისი პირველი ნიშნების გამოვლენისთანავე სასწრაფოდ უნდა მიმართოთ ფსიქოთერაპევტს. ასეთი მდგომარეობა, ისევე, როგორც პარანოიის ნებისმიერი სხვა ფორმა, მკურნალობას ექვემდებარება.

ფსიქოლოგები ქალის მხრიდან ეჭვიანობას საკუთარი პიროვნების დაბალი თვითშეფასებით ხსნიან. იგი გამუდმებით ადარებს თავს შესაძლო მეტოქეს და ეშინია, რომ სხვა ქალის ფონზე მისი სექსუალური ხიბლი დაიკარგება. ამ ტიპის ქალი ხშირად ექცევა „ბოროტი ენების“ და „კეთილმოსურნეთა“ გავლენის ქვეშ, რომლებიც მისი ქმრის უწინდელი „ბობოქარი“ ცხოვრების ეპიზოდებს უყვებიან. რამდენიმე ასეთი ეპიზოდი და, ქალის ფანტაზიაში ათასგვარი სიუჟეტი ამოტივტივდება, რის შემდეგაც მას ეჩვენება, რომ გარშემომყოფნი სიბრალულით უყურებენ „უსინდისო და გარყვნილ“ ქმარზე შეყვარებულ სულელს. არადა, სინამდვილეში მსგავსი არაფერი ხდება.

საკმაოდ იშვიათი შემთხვევაა, როდესაც ქალს ეჭვიანობა ჰაერივით სჭირდება. უამისოდ მისთვის ცხოვრება ინტერესს კარგავს. თუ საყვარელი მამაკაცის შესანარჩუნებლად ბრძოლა არ უხდება, სტიმული ეკარგება და გრძნობა უნელდება. ასეთ ქალს ესაჭიროება მამაკაცი, რომელსაც თავის მხრივ, ქალთა ყურადღების მოთხოვნილება აქვს. ასეთი პიროვნებების კავშირი მყარია.

ბოლოს, ეჭვიანობა მორიელს ჰგავს. ადამიანი, პირველ რიგში, საკუთარ თავს გესლავს და ურთიერთობებს ანადგურებს. ეჭვის მარცვალი ყველა ადამიანში დევს, ისევე, როგორც სიყვარულის ან სიძულვილისა. მთავარია, მართოთ ეჭვიანობის ენერგია და ცხოვრება აუცილებლად გაგიადვილდებათ.

მოამზადა **თამთა გურულმა**

# კარგი აღზრდა ოქროზე ძვირფასია

მე-3 სამედიცინო სასწავლებელში ყველაფერი კეთდება პროფესიონალებისა და სრულფასოვანი ადამიანების ჩამოსაყალიბებლად. იქ დაგხვდებათ სუფთა, ნათელი აუდიტორიები და, რაც მთავარია, საქმეზე უსაზღვროდ შეყვარებული პედაგოგები, რომელსაც ხელმძღვანელობს მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, გადაუდებელი ქირურგიისა და ტრავმატოლოგიის ცენტრის ქირურგი მამუკა გოლეთიანი.

კარგა ხნის ლოდინი დაგვჭირდა, ვიდრე ბატონი მამუკა საოპერაციოდან გამოვიდოდა. ბრმა ნაწლავის სასწრაფო, გადაუდებელი ოპერაცია უკეთდებოდა სტუდენტ ბიჭუნას. მთელი სასწავლებელი ფეხზე იდგა, ეს იყო მართლაც ნიმუში დიდი გულისხმიერებისა. როგორც იქნა, საუბარიც შედგა.

**-ბატონო მამუკა, როგორ შეეხო თქვენს სასწავლებელს განათლების რეფორმა?**

– რეფორმას ვერავინ ასცდება. ჩვენი სასწავლებელი თავისი სტრუქტურით განსხვავებული და სპეციფიკურია, სწავლების მეთოდები და პრინციპებიც სხვანაირი გვაქვს, რაც თეორიისა და პრაქტიკის შერწყმით გამოიხატება. პირველი, რაც გავაკეთეთ, ის არის, რომ სასწავლებელი სკოლის შენობაში კი არა, ჰოსპიტალში განვათავსეთ, რათა სტუდენტებს უშუალო კავშირი ჰქონდეთ ავადმყოფებთან, ლაბორატორიებთან, იმავდროს, აქ დარგების მიხედვით საავადმყოფოს ბაზაზე პრაქტიკას გადიან.

**– რამდენი ბავშვი სწავლობს თქვენს სასწავლებელში, რა ფაკულტეტებია და დიპლომის მიღების შემდეგ სად შეუძლიათ იმუშაონ?**

– სასწავლებელში 850-ზე მეტი ახალგაზრდა სწავლობს. თუ საშუალო სკოლის არასრული კურსი აქვთ გავლილი, სამი წელია საჭირო დიპლომის მისაღებად. სკოლის კურსდამთავრებულთათვის კი ორი წელიც საკმარისია. გვაქვს შემდეგი ფაკულტეტები: ფარმაცია, ორთოპედიული სტომატოლოგია, სამკურნალო და სამეანო საქმე და მედდა. ადრე განაწილებით ჩვენი კურსდამთავრებულები მუშაობას იწყებდნენ სხვადასხვა სამედიცინო დაწესებულებებში, დღეს ჰოსპიტალიც ხელს უწყობს მათ დასაქმებას. თავადაც დაინტერესებული ვარ მათი დასაქმებით და ვცდილობ, დავეხმარო სამსახურის მოძებნაში.

**– გვიამბეთ სასწავლებლის ისტორიაზე, მის ტრადიციებზე, თქვენს კოლეგებზე.**

– სასწავლებელი 1937 წელს დაარსდა. ომის წლებში სამხედრო ჰოსპიტლად გადაკეთდა. შესანიშნავი დირექტორების, პედაგოგების, ექიმების ტრადიცია იმთავითვე გამოიკვეთა, ასეა დღესაც. ასზე მეტი პედაგოგი გვყავს. ოც წელზე მეტხანს სასწავლებელს ხელმძღვანელობდა პროფესიონალიზმით გამორჩეული, შესანიშნავი ადამიანური თვისებების მქონე, თავმდაბლობითა და სიდარბაისლით ცნობილი ქალბატონი როზიტა ფოცხიშვილი, რომელმაც უდიდესი ამაგი დასდო სასწავლებლის აღიარებასა და წარმატებებს. დღეს ეს ქალბატონი ჩემი მოადგილე გახლავთ. სასწავლებელში ყველა პირობაა კარგი სწავლისთვის. გვაქვს თანამედროვე ტექნიკითა და კომპიუტერებით აღჭურვილი ფარმაცევტული ლაბორატორია. ჩვენი სტუდენტები პრაქტიკას გადიან სამხედრო ჰოსპიტალში, პირველ საავადმყოფოში, თვალის კლინიკაში, მეოთხე სამშობიაროსა და 31-ე ქარხნის ჰოსპიტალში.

**– ჩეხურ ანდაზას მოვიშველიებ: „სკოლა დისციპლინის გარეშე იგივეა, რაც წისქვილი უწყლოდო," თქვენთან ამ მხრივ როგორაა საქმე?**

– ჩემი აზრით, ყველაზე მეტად სამედიცინო დაწესებულებას



● მამუკა გოლეთიანი

მოეთხოვება გადამეტებული დისციპლინა – ვისაც ადამიანის სიცოცხლე აბარია. ამ მხრივ არ მეგულება სასწავლებელი, რომელსაც ჩვენზე უკეთ ექნება საქმე დაყენებული. ყველა ჯგუფს ჰყავს თავისი კურატორი. თუ ბავშვი ლექციას აცდენს და არ მოდის სასწავლებელში, ვრეკავთ ოჯახში და ვამოწმებთ, სად არის ბავშვი, რას საქმიანობს. პასუხისმგებლობა ვიღაცამ უნდა იკისროს გამოუცდელ ახალგაზრდებზე; ყოველმხრივ მობილიზე-



● სასწავლებლის პედკოლექტივი

ბულია პედკოლექტივი, პედაგოგის უკითხავად ბავშვი შენობიდან ფეხს ვერ მოიცვლის.

**– თქვენი აზრით, სკოლაში უნდა ისწავლებოდეს თუ არა რელიგია?**

საუბარში გვერთვება ქ-ნი **როზიტა:**

– ბატონი მამუკა არის ჭეშმარიტი ქრისტიანი, იცავს ყველა წესს და მიაჩნია, რომ აუცილებელია რელიგიის ღრმა ცოდნა, დიდი განათლება, როგორც ჩვენი წმიდა მამები ამბობდნენ.

ადამიანი ჯერ ადამიანი უნდა იყოს და შემდეგ ექიმი. ცნობილია, ყველაზე დიდი მორწმუნეები ფიზიკოსები და ექიმები არიან. ყველაფერი უნდა კეთდებოდეს ახალგაზრდების სულის სიწმინდისათვის. უფალი ქვეშეცნეულად კარნახობს ადამიანს, რომელი კუთხით წარმართოს საკუთარი შესაძლებლობები, რამეთუ სულიერება სულის სიწმინდიდან მოდის. (ამის დასტურია

ხატებით შემკული სამასწავლებლოს თვალსაჩინო სტენდი).

**– არაბებს აქვთ გამოთქმა – „კარგი აღზრდა ოქროზე ძვირფასიაო“.**

– მშვენიერი ფრთიანი გამონათქვამია, სიბრძნით გაჯერებული, უკეთესად ვერ ვიტყვი! ჩვენს ხალხს ოდითგანვე ჰქონდა გამორჩეული თვისება – შვილისთვის მიეცა სათანადო განათლება. უწინაც და ახლაც განსაკუთრებით ფასობს მედიცინის დარგი, რაც პასუხისმგებლობის გრძნობას კიდევ უფრო აორმაგებს.

**როზიტა ფოცხიშვილი (დირექტორის მოადგილე):** ჩვენს სასწავლებელს პრაქტიკული თვალით უყურებენ და აფასებენ, მას ავტორიტეტი დღესაც აქვს შემორჩენილი. მოვიშველიებ არგუმენტებს – მისაღები გამოცდებისას შეივსებოდა კონტიგენტი და მერე იწყებოდა ხვეწნა-მუდარა, დაგვემატებინა ადგილები. ჩვენს კადრებზე მოთხოვნა იყო ყველგან, განსაკუთრებით მთიან რაიონებში.

ამ შეჭირვების წლებში დიდი ყურადღება გამოვიჩინეთ აფხაზი, სამაჩაბლოელი ლტოლვილების მიმართ, ომში დაღუპულთა შვილებზე, ობლებზე... ასეთებს შეძლებისდაგვარად, შეღავათებს ვუწევთ სწავლის თანხის გადახდაში. ბატონმა გურამ შარაძემ რამდენიმე ლტოლვილს გაუწია შუამდგომლობა. მთელი საინგილო ლამის ჩვენი კადრებითაა დაკომპლექტებული. ეს ტრადიცია დღესაც გრძელდება. კოლექტივში სრული ჰარმონიაა, ყველასათვის მისაბაძი. ამაყად შემიძლია განვაცხადო სრული სინდისით, რომ ყველამ ყველაფერი იცის და დაფარულიც არაფერი გვაქვს. ჩვენთან კონტაქტების დამყარების სურვილი აქვთ უცხოელებსაც. მათ კარგად იციან, რომ მიიღებენ კარგ განათლებას და ამასთან ერთად გადაიხდიან გაცილებით ნაკლებ გადასახადს ვიდრე იმ ქვეყნებში, საიდანაც ისინი ჩამოდიან. მომავალი წლისათვის გვეყოლება სტუდენტები: ინდოეთიდან, ვიეტნამიდან, პაკისტანიდან...



● პედაგოგები სტუდენტებთან

**მარინე კვირიკაშვილი (დირექტორის მოადგილე):** თავის ქებაში ნუ ჩამომართმევთ, აქ მოდიან სხვადასხვა სასწავლებლების კურსდამთავრებულები, რადგან ჩვენთან სწავლა სათანადო დონეზეა. სტუდენტები სისტემატურად მონაწილეობენ სამეცნიერო კონფერენციებში. შენობაში შემოსვლისთანავე ვივიწყებთ საკუთარ პრობლემებსა და საზრუნავს. მთელი არსებით ვეკუთვნით ბავშვებს. იყო წლები, როცა კაპიკსაც ვერ ვიღებდით, მიუხედავად ამისა, არცერთი დღე არ გაგვიცდენია, არავის უგრძნია ჩვენი გასაჭირი. იწერებოდა ცხრილი, ირეკებოდა ზარი, ყველაფერი თავისი წესითა და რიგით მიდიოდა. შემდეგ ვიპოვეთ გამოსავალი და 1998 წელს თვითდაფინანსებაზე გადავედით, ეს იყო ნაბიჯი ხსნისა. არავინ მოდის იმისათვის, მხოლოდ ხელფასი აიღოს, ყველა მაქსიმალურად მობილიზებულია თავისი საქმის საკეთებლად. ამ კედლებში შემოსულ სტუდენტზე ჩვენ ვაგებთ პასუხს. ერთადერთი სასწავლებელია, რომელიც სახელმწიფოს სოლიდურ მოგებას აძლევს. ჩარიცხვა გასაუბრებით, შერჩევის წესით ხდება. ჩვენი პედაგოგები უზომოდ შეყვარებულები არიან თავიანთ საქმეზე, როცა ტყვიების წვიმა მოდიოდა, იწვოდა მთავრობის სახლი, სწავლა მაშინაც არ შეგვიწყვეტია.

სისტემატურად ეწყობა ექსკურსიები, ლიტერატურული საღამოები, სპორტული შეჯიბრებები (ერთ ოთახში გამოფენილია ჯილდოები), ისმენენ ლექციებს რელიგიაზე, ხელოვნებაზე, გადიან სამხედრო მომზადებას. ბავშვების პედაგოგებთან ურთიერთდაახლოება-დამეგობრების ერთ-ერთი საუკეთესო მეთოდია კლასგარეშე ღონისძიებების მოწყობა, არ მეგულება მეორე ჩვენნაირი შეთანხმებული კოლექტივი, არავითარი დაპირისპირება ჩვენთან არასოდეს ყოფილა, ჩვენ ვჭირდებით და ვუფრთხილდებით ერთმანეთს. იმითაც ვამაყობთ, რომ ჩვენი დირექტორი აღიარებული მეცნიერია, ხუთი პედაგოგი კი მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი.

**მანანა ყიფიანი (მშობელი):** სასწავლებელში უმაღლეს დონეზე დგას სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესი, დისციპლინა. თითოეული გამოტოვებული გაკვეთილის შემდეგ ფარმაციის განყოფილების პირველი კურსის კურატორი ქ-ნი ლეილა ლასარეიშვილი შინ გვირეკავს და გაცდენის მიზეზით ინტერესდება. სასწავლებლის მთელი პერსონალი და ხელმძღვანელობა გასაოცარი ყურადღებითა და მზრუნველობით გამოირჩევა, პედაგოგები მთელ სულსა და გულს დებენ თავიანთ საგნებში, რადგან ყველას (მათ შორის, ჩვენს შვილებსაც) კარგად აქვს გათვალისწინებული, რამდენად სახიფათოა ამ სფეროში დაშვებული თითოეული შეცდომა.

სასწავლებელი უმაღლესი კატეგორიის დაწესებულება გახლავთ, იგი შესანიშნავი მოსამზადებელი ეტაპია უმაღლესი სა-



● მარინე კვირიკაშვილი ლექციაზე

მედიცინო განათლების მისაღებად, თუმცა მის კურსდამთავრებულებს, სპეციალური დიპლომის მიღების შემდეგ სულ თავისუფლად შეუძლიათ დამოუკიდებელი შრომითი საქმიანობის დაწყება.

* * *

... ვტოვებ სასწავლებელს რწმენით, რომ აქაური აღზრდილები, ამ შესანიშნავი პედაგოგების წყალობით, როცა ცხოვრების რთულ გზაზე დაიფანტებიან, სადაც არ უნდა წავიდნენ, მათი თანამდევი იქნება ცოდნა, ადამიანებისადმი სიყვარული, კეთილშობილება და, რა თქმა უნდა, ამ კედლებში გატარებული დაუვიწყარი დღეები...

**ნანული ბუკია**

ეროვნული ბიბლიოთეკა



## გიორგი კობახიძე

## იმ ლამაზ დრამას

მე ისევ გელი, მე ისევ გნატრობ,
ისევ შვიდფერობს ოცნების გამა,
თუმც უპასუხოდ ცარჩენილ „რატომს"
ემსხვერპლა ჩვენი ლამაზი დრამა.
        შენ კვლავ ღიმილის ძველ ნიღაბს ირგებ,
        მე კვლავ თავისთან მიხმობს ავდარი,
        ემაფოტების ვერ ამჩნევ რიგებს
        და ეჭვით გვემულ მავრს შემადარებ.
გახუნდა ფერი და გაცვდა სიტყვა,
რაც რომ ვნებები ხელგაშლით ვხარჯე,
მიჩენს სიძულვილს იგი, რაც მიყვარს, —
არ აქვს საზღვარი ღვთის ნების სასჯელს.
        მრავალ ღამეში გაფანტულ ცოდვებს
        აშიშვლებს დამლა ჩასმული გენში,
        ჩემს სიახლოვეს რომ უნდა ძრწოდე,
        გკარნახობს ალღო, ნადირის გეში.
მეწამულ ფერთა ხავერდის პლისე,
ნებდება ჩქერად ჩამოღვრილ ჭაღებს,
ქარი ვერ იტევს მოჯარულ ნისლებს
და მრუმე ფიქრთა მორევში ამღვრევს.
        ათას ფრაგმენტში დამსხვრეულ სარკის
        თავს ველარ უყრი შენს ლამაზ სხეულს,
        ნეონში ლღვება ღალატის ბანგი
        და შიში გიპყრობს ბილწსა და ველურს.
გადაშლილ გრიმზე ცრემლების კვალი
შლეგ გაელვებას ველარ აბრკოლებს,
ვუალებს მკრთალი გაჰკვეთავს ალი,
ოვაციები იპყრობს ბალკონებს.
        მწუხრით ივსება ცის კიდის უბე,
        დაეშვა ფარდა, მე მოვკვდი გუშინ,
        იების ველზე დგას ლურჯი კუბო,
        მოსთქვამს ქაოსი, ქალივით მრუში.
... და აღარ გელი. ჟამს ჭვრეტს სხვა გონი,
შემკრთალ ალიონს ათრობს სხვა დამა,
და ნაზ ალერსში, როგორც გაგონილს,
მე მას ვუამბობ ჩვენს ლამაზ დრამას.

## ფრაგმენტები გაუგზავნელი წერილებიდან

მე ვემშვიდობებოდი ოცნებას...
წვიმდა,
გაზაფხული ძალას იკრებდა.

გრძნობა, რომელიც ომებს იწვევდა,
კარგავს ფერს,
იმდენად დიდია სიცარიელე, რომ
მასთან ყველაფერი პატარავდება.
სხვადასხვაში გეძებდი თურმე..,
მაინც გიპოვნე, რადგან
თავდავიწყება მყავდა მეგზურად,
წამით შევყოვნდი სიგიჟის ზღვართან და...

წიგნში ჩარჩენილი
შემთხვევითი სანიშნე,
ჩემთვის სრულიად უცნობი ხის
გამხმარი ფოთოლი,
როგორც ბუნებრივი მსხვერპლის სიმბოლო...
იოჰან ვოლფგანგ ფონ გოეთე,
        გვერდი სამას მესამოცე:
        „გადაწყდა, მე უნდა მოვკვდე,
        და ამას გწერ მე შენ
        რომანტიული გადაჭარბების გარეშე,
გულდამშვიდებით,
სწორედ იმ დილით,
როცა შენ უნდა შეგხვდე
უკანასკნელად..."

მე ზუსტად ვიცი,
როგორია ბედნიერებისა და
სიხარულის შეგრძნება,
ვიცი, რა ფორმა აქვს...
დღეს სიხარული შენი ტუჩების
ფორმის და ფერის იყო...
რომ შემეძლოს...
რომ შეიძლებოდეს...
ალბათ, ჩვენი ურთიერთობაც
მხოლოდ ეს არის — რომ შეიძლებოდეს.
...და მაინც,
ყველაფერს აქვს თავისი ხიბლი,
ფურცლის უმწეო ნაკუწებად ქცეულ
ფიქრებსაც კი.

მეხსიერების სიღრმიდან,
მრავალმეათასედ,
ერთმანეთს ენაცვლება აკვიატებული კადრები —
ზღვაში ჩამავალი მზე
აივნის გისოსებს მიღმა და
ამავე გისოსების ჩარჩოში მოქცეული ზღვის
მომნუსხველი სილურჯის ფონზე,
სკამის საზურგედან იატაკისკენ ჩასრიალებული
წითელი ატლასის კაბა...
მზისფერი კაბა და
კაბისფერი მზე გისოსებს მიღმა
და დადუმებული,
სუნთქვაშეკრული, თითქოს
ავისმომასწავებლად გარინდებული
ზღვა —
ჩაძირული სურვილების სავანე...

მიყვარს ზამთარი, როგორც
ფიფქების იავნანით მიძინებული
ღონემიხდილი სიყვარული...
საოცარი კალენდარი აქვს ბედისწერას —
მე მივეჩვიე
საკუთარ თავზე
წარსულ დროში ლაპარაკს
და ეს
არანაირად აღარ მაღელვებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიმყუდროვით მავსებს შეგრძნება, რომ
სიმარტოვე ჩემი ერთგული მცველია, რასაც თან ახლავს,
რაღა თქმა უნდა,
სევდაც,
ოცნებების მარადიული ხიზანი,
და სამივე ერთად
შეუსაბამო სიმშვიდით ვაცნობიერებთ, რომ
უსახური არსებების კარნავალმა
დაჩრდილა სილამაზე.

ნუთუ ყველაფერს, რაც იწყება,
აუცილებლად აქვს დასასრული? —
დაორთქლილ მინაზე, იქ სადაც
თვალის სხივი
გათოშილი მთვარის
ნაღვლიან ღიმილთან იკვეთება,
საჩვენებელი თითის
წრიული მოძრაობით გამომყავს
ეპიტაფია:
„მარადისობაც ერთხელ მაინც გარდაიცვლება“.
მე არ ვიცი...
მე არ ვიცი,
როგორ უნდა დავასრულო
ეს წერილი,
წერტილის შეგრძნება დაკარგული მაქვს.
კარგია, როცა
წერტილის ფლობა შეგიძლია
და იგი ამის გამო
გიყვარს კიდეც.

მე წავედი...
ადამიანს
არ ძალუძს გაიაზროს
სასწაული,
შეიცნოს და შეიგრძნოს
ბედნიერება.
მე წავედი,
ერთკვირიანი ფუგა დასრულდა,
უკანასკნელი დღე
გადარჩენისთვის იბრძოდა...
მე წავედი...
ამ ყველაფრიდან
მხოლოდ პომადის ფერი შემორჩა ჭიქას.

მე ვემშვიდობებოდი ოცნებას,
გამვლელებს კი ეგონათ, რომ უბრალოდ,
წვიმიანი საღამო იყო.

20.**VI**.2003 წ.

## დილა გარიყულ კაცის

*(ციკლიდან „თბილისური სურათები“)*

კათოლიკეთა ტაძრის
იდუმალების ხიბლი,
სევდა ულევთოდ შლის მანძილს,
დეკემბერსა და ივლისს.
მისდევს ტრამვაის ხმაურს
მოგონებათა წყება,
და ნოსტალგიურ ალმურს
აკრთობს ჩაკლული ვნება.
ქარს კვლავ ახელებს ბრაზი,
სიყვარულისგან დაცლილს,
დილას ბეჭედი აზის
განზე გარიყულ კაცის.
გამოტირება ჩვილის,
ღიმი სასურველ ქალის,
ყურს ვინ ათხოვებს ჩივილს
დაუსრულებელ ხვალის.
ჰე, ახალგაზრდა პადრე,
მზერა ხორციელ წრფელი;
ფიქრი შეზრდილი ჭადრებს —
გნატრობ და მარად გელი...
სურათს უხდება ძაღლიც,
ქურთ მეეზოვის წყევლაც,
დროც ალბათ, მავან დაღლილს
სადღაც წესისებრ ცელავს.
სიმებდაწყვეტილ ოროანს
სუსხი შორეთში გაცრის,
ბნელ მოსახვევში ბორგავს
ჩასაფრებული მარცხი...
სხვაა ბებერი უბნის
იდუმალების ხიბლი,
სტროფი წიგნაკში უბის
და ოცნებების ლიბრი.

16.**I**.2003 წ.

## დარჩები ევა

ათასწლეულებს მისდევს ომები,
ეპიტაფია საზღვრავს ეპოქებს,
ო, მერამდენედ განმეორდები
ჟამთაგამრიგეს მარად მეტოქე.
ბრმა ოცნებებში ფრთებს შლის ნირვანა,
ცდუნება სურვილს ღამეებს უთევს,
გეიმედება, რომ არ ინანებთ
სოდომის კვამლში გაბნეულ წუთებს.
გართობს ტკარცალა ცეცხლის ენების
იაგუნდების პრიზმებში ფრქვევა,
კვლავ მოსაწყენი მოგეჩვენება
იდილიები, დარჩები ევა.
მთვარის სხივს თენთავს ზანტი ზმორება,
თვალებს მინაბავ ზლაზვნით ავაზა,
ნანადირევი ვნება შმორდება,
გაჭედილია რისხვით სავანე.
დაისადგურეს ბინდში შიშებმა,
წამს შეუპყრია მონაც და მეფეც,
სუსტი კივილი ბროლში იხშობა,
ერევა დენთი შამპანის შხეფებს...
ათასწლეულებს მისდევს ომები,
ეპიტაფია საზღვრავს ეპოქებს,
ო, მერამდენედ განმეორდები
ურჩი მეტოქე.

## გიშრისთვალება

„მითხარ, ვისი ხარ, შავთვალა ქალავ?!“
წლის იქნებოდა მეტადრე ხუთის,
ბავშვი თითებით ცელქ მზერას მალავს
და ნიავს მისდევს მერხისკენ კუთხის.
ფარულ შფოთს სჭიდებს კლანჭს მამრის ალღო,
ქერა დალალის მიღმა დალანდულს,
მზე შადრევნებში ბავშვივით ლაღობს
და სუსხში ხვალის ქარის ძალა დუმს.
ყველგანმყოფ ნათლის მადლით აკურთხებს
აპრილის სხივი შილიფ რიგს ჭადრის
და კრავს იდუმალ მუხტის სამკუთხედს —
ქალი, ვაჟი და ღრუბელი ავდრის...
დრო უკან გარბის წლით ექვსიოდე:
მზე, ზღვა და სულის ქროლვა თავნება
და ხვატს მოლურჯოს ათრთოლებს ოდენ
ჩურჩული — „ჩემო გიშრისთვალება!..“

30.**IV**.2003 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ცისფერი – დაავადება თუ უზნეობა

## როგორ ავარიდოთ ბავშვი მრუდე გზას

სოციალურ-ფსიქოლოგიური დახმარების ცენტრი „ნდობა“ 15 წელია არსებობს. წლების განმავლობაში საკმაოდ განვითარდა, დახმარების ფორმები უფრო მრავალფეროვანი გახდა. ცენტრში რამდენიმე განყოფილებაა: გადაუდებელი სატელეფონო დახმარება – ნდობის ტელეფონი; ინდივიდუალური მიღების განყოფილება. აქ არის ბავშვთა კრიზისული დახმარების ცენტრიც.

„ნდობის“ ცენტრალური ოფისის კლუბი ფუნქციონირებს რეზერვისტების და ე.წ. იუზერების საშუალებით.

გვესაუბრება ცენტრ „ნდობის“ ფსიქოლოგი **მანანა დუდუჩავა.**

**– ვინ მოგმართავთ ძირითადად?**

– ჩვენ მოგვმართავს ყველა ასაკის ადამიანი, განურჩევლად სქესისა, მრწამსისა და ა.შ. მიღება ხდება წინასწარი ჩაწერით.

**– რა ნომერზე გირეკავენ?**

– 911000.

**– ე.ი. ამ ტელეფონზე დარეკავს მსურველი, ჩაეწერება და შემდეგ მოვა ცენტრში.**

– შეუძლია მოგვმართოს ყველამ, ვისაც აქვს ფსიქოლოგიური პრობლემა.

**– ტელეფონითაც ესაუბრებით?**

– ნდობის ტელეფონის ნომერია 96-05-05, 22-10-00. ეს არის სატელეფონო მომსახურება. რაც მთავარია, ანონიმურობა დაცულია.

**– ძირითადად რა სახის ფსიქოლოგიური დახმარება სჭირდებათ ადამიანებს, რომლებიც მოგმართავენ?**

– ფსიქოლოგიური პრობლემები მრავალფეროვანია. შეიძლება ადამიანი ვერ აცნობიერებდეს, რომ მას ექიმის დახმარება სჭირდება და მოგვმართავს ფსიქოლოგიური პრობლემებით და სულ არ იყოს საჭირო მისთვის ხანგრძლივი ფსიქოლოგიური ან ფსიქოთერაპიული დახმარების მიღება. სწორედ ამის გამო, ცენტრში ჩადებულია ე.წ. მულტიდისციპლინური მიღების პრინციპი. პირველი მიღება ხდება ხოლმე გუნდურად – პაციენტს გაესაუბრება ექიმი, ფსიქოლოგი, სოცმუშაკი, რათა განისაზღვროს სფეროები, პრობლემა დაკონკრეტდეს, რეალურად რასთან გვაქვს საქმე და დახმარებაც იყოს მრავალმხრივი. პრობლემები მრავალფეროვანია, მაგალითად, ჩვეულებრივი, ყოფითი პრობლემები, როგორიცაა გაუგებრობა მეზობლებთან; ან ბავშვებთან დაკავშირებული პრობლემები სკოლაში, როგორც თანატოლებთან, ისე მასწავლებლებთან, გარემოსთან. ბოლო დროს მომრავლდა იმ ახალგაზრდების რიცხვი, რომლებიც უჩივიან თავიანთ უსუსურობას.

**– ბიჭები თუ გოგონები?**

– ორივე. ისინი ფიქრობენ, რომ არ არიან ისეთი შემტევები, მიზანმიმართულები, როგორიც სხვები, მათი თანატოლები.

**– ანუ თითქოს იჩაგრებიან?**

– თვითონ ფიქრობენ, რომ იჩაგრებიან. შეიძლება სინამდვილეში ისინი არიან უფრო ზრდილობიანები, კეთილგონივრულები, დაფიქრებულები, მაგრამ სხვების ფონზე საკუთარ თავს აღიქვამენ, უსუსურებად. გარკვეული მუშაობის შემდეგ რაღაც ცვლილება ხდება ხოლმე როგორც საკუთარი თავის, ასევე გარემოს აღქმაში. ჩვენ ვეხმარებით, დაინახონ პოზიტიური საკუთარ თავში, ის პოტენციური შესაძლებლობები, რომლებიც ამ პრობლემასთან გამკლავებაში დაეხმარებათ. ადამიანში ყოველთვის არის ამის რესურსი. ამიტომ აუცილებელია, თვითონაც გაიცნოს საკუთარი თავი.

**– ე.ი. თქვენ ადამიანს ეხმარებით, საკუთარ თავში მოიძიოს ძალა.**

– რა თქმა უნდა, ყველაზე მნიშვნელოვანია დაფარული რესურსების აღმოჩენა და რწმენა იმისა, რომ ეს შენ გაქვს და შეგიძლია გამოიყენო.

**– და არა ხარ სხვაზე სუსტი.**

– დიახ.

**– თქვენი აზრით, დღევანდელი ადამიანი უფრო გახსნილი გახდა?**

– რა თქმა უნდა. საერთოდ, მთლიანად საზოგადოება შეიცვალა და ეს ჩვენ თვალწინ მოხდა. ბოლო პერიოდში საზოგადოებაში არსებული კრიზისი ამ ცვალებადობასთან შეგუების მტკივნეული პროცესია.

**– საზღვარგარეთ – უფრო, მაგრამ რატომღაც ჩვენთანაც გაჩნდნენ ე.წ. ცისფერები და ვარდისფერები. რა არის ეს – ავადმყოფობა, სურვილი თუ მიბაძვა?**

– ჩვენთან ამ პრობლემით ძალიან იშვიათად მიდიან, მაგრამ უამრავი ლიტერატურა თუ ინფორმაცია, რომელიც ამ თემის ირგვლივ შემხვედრია, ერთმნიშვნელოვნად ამას არ განიხილავს როგორც ჯანმრთელობის ან სამედიცინო პრობლემას. რა თქმა უნდა, ეს არსებობდა ადრეც, სხვათა შორის გვხვდება ცხოველებშიც. საერთოდ, სექსუალურობა – ეს არის თანდაყოლილი თვისება, მაგრამ მერე სექსუალური განვითარებისთვის ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ოჯახის, გარემოს, საზოგადოების დამოკიდებულებას ამ საკითხისადმი; თუ როგორ აღიქმება ეს ადგილობრივ კულტურაში, როგორი შეფასება ეძლევა. ძალიან მნიშვნელოვანია პირველი სექსუალური გამოცდილება.

**– როგორ ავარიდოთ ბავშვი მრუდე გზას?**

– დიდი მნიშვნელობა აქვს ოჯახურ ატმოსფეროს. მოწოდებებით და ლოზუნგებით სინამდვილეში ბავშვი არ იზრდება. გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სიტუაციას ოჯახში, ურთიერთობას მშობლებს შორის. შეიძლება ბავშვი ამას ვერ აცნობიერებდეს პატარა ასაკში, მაგრამ არაცნობიერად აუცილებლად ილექება, შემდეგ კი გარკვეულ ასაკში ჰპოვებს. ამასთან ერთად, მშობლებმა უნდა იცოდნენ, სად არის ბავშვი, იზრუნონ იმაზე, რომ ბავშვი დაცული იყოს შემთხვევითი სექსუალური კავშირისა და სექსუალური ძალადობისაგან. გახშირდა თავდასხმა, გაუპატიურება, დაყოლიება სექსუალურ ურთიერთობაზე. ბავშვი არ უნდა გახდეს შემთხვევითი გაუგებრობის მსხვერპლი. გარდა ამისა, მხატვრული ნაწარმოები – კინო იქნება ეს თუ წიგნი, ყოველთვის ახდენს ბავშვზე უდიდეს გავლენას. ამიტომ არსებობს ფილმები, რომლებსაც აწერიათ, რომელი ასაკიდან შეიძლება ნახოს ბავშვმა.

**– უმთავრესი ალბათ, ფასეულობების სწორად მოწოდებაა.**

– მე ვფიქრობ, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ამ ფასეულობებში მშობლები იყვნენ გარკვეული და ამ ფასეულობებით ცხოვრობდეს საზოგადოებაც.

**მანანა ციცქიშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა





# რუსული ესტრადის ქართველი ვარსკვლავი




როდესაც 15 წლის ქეთა თოფურია პირველად გამოჩნდა ჩვენი ჟურნალის გარეკანზე, მხიარული, ნიჭიერი და იმედისმომცემი გოგონა იყო, რომელსაც, მოდელის და მომღერლის წარმატებული კარიერის პარალელურად, ვერაფრით გაეკეთებინა საბოლოო არჩევანი ჟურნალისტისა და მუსიკისმცოდნის პროფესიებს შორის.

მას შემდეგ, რომ იტყვიან, ბევრმა წყალმა ჩაიარა. ქეთა გაიზარდა, გოგონა ესტრადის ნამდვილ ვარსკვლავად იქცა და, ჩვენდა საბედნიეროდ, ბავშვური გულწრფელობა, უშუალობა და სიხალისე შეინარჩუნა. დღეს ქვეყნის ფარგლებს გარეთ მოღვაწე ქართველ მომღერალს, პოპულარული მუსიკალური ჯგუფის „A studio“-ს სოლისტს აღფრთოვანებით უკრავენ ტაშს დიდი რუსეთის მრავალათასიანი დარბაზები, ხოლო მისი სიმღერების კლიპები თითქმის შეუჩერებლად ტრიალებს სხვადასხვა ტელეარხის ეკრანზე.

ჭრელი ჭორების მიუხედავად, ქეთას პირად ცხოვრებაში ჯერ-ჯერობით ცვლილებები არ ჩანს და უახლოეს მომავალში, ალბათ, არც უნდა ველოდოთ, რადგან საგასტროლო ტურნეებით იმდენად არის გადატვირთული, რომ სერიოზული ურთიერთობისათვის დრო არ რჩება.

„A studio“-ს პრეტენზიულ წევრებს ძალიან კარგი ურთიერთობა აქვთ ახალგაზრდა სოლისტთან, რაც, ქეთას კომუნიკაბელური ხასიათიდან გამომდინარე, სულაც არ უნდა იყოს გასაკვირი. ქართველი მომღერალი რუსულმა ბომონდმაც კარგად მიიღო, თუმცა საყოველთაოდაა ცნობილი, რამდენად რთულია რუსულ ესტრადაზე ფეხის მოკიდება. ქეთას მეგობრული ურთიერთობა აქვს „ფაბრიკის“ წევრებთან: ირაკლი ფირცხალავასთან და დიმა ბილანთან, მის ნიჭს ძალიან აფასებს ფილიპ კირკოროვი, ხოლო „A studio“-ს და ქეთას პოპულარული სიმღერა **„Улетаю“** რუსული ესტრადის უბერებელმა დედოფალმა ალა პუგაჩოვამ წლის საუკეთესო სიმღერად აღიარა. ამდენად, ქეთას წინ საუკეთესო შემოქმედებითი ცხოვრება ელის და ჩვენც ისღა დაგვრჩენია, შემდგომი წარმატებები, ახალი ჰიტები და ლამაზი კლიპები ვუსურვოთ ჩვენს მშვენიერ თანამემამულეს.





**მანანა იმედაშვილი**

# მუსიკის ჯადოსნურ სამყაროში მავალნი

ეროვნული ბიბლიოთეკა



● ლიკა ჩხეიძე

იპოლიტოვ-ივანოვის სახელობის თბილისის მე-6 სამუსიკო სკოლამ არსებობის 85 წლის მანძილზე არაერთი ცნობილი მუსიკოსი და შემსრულებელი აღზარდა. მათ შორის: ოპერის ცნობილი მომღერალი ელისაბედ გოსტენინა, რესპუბლიკის სახალხო არტისტები: გულნარა ქავთარაძე, ბორის ჭიაურელი, კონსტანტინე ვარდელი, ნიკოლოზ გუდიაშვილი, რევაზ გაბიჩვაძე, თამარ გაბარაშვილი, ვაჟა აზარაშვილი, ჯემალ სეფიაშვილი, ევგენი მაჭავარიანი, ჯიმშერ მუჯირი, პროფ. მარინე ნათიშვილი, სულხან ცინცაძე და მრავალი სხვა ხელოვანი, ვისთვისაც მუსიკა მთელი მისი შემდგომი ცხოვრების გზად იქცა.

1921 წელს დაარსებულ სასწავლებელს თავიდანვე შესანიშნავი ხელმძღვანელობა და პედკოლექტივი დაებედა: ელენე გედევანიშვილი, ნათელა ფოცხვერაშვილი (კოტე ფოცხვერაშვილის ქალიშვილი), ზოია მირზაშვილი, თინა კორძაია, ლავრენტი ოძელაშვილი, ლალი ზურმუხტაშვილი, არჩილ გამცემლიძე ( ეს უკანასკნელი 46 წლის მანძილზე ხელმძღვანელობდა სკოლას და დღესაც აქვე ეწევა პედაგოგიურ მოღვაწეობას).

სამუსიკო სკოლაში არსებობს საფორტეპიანო, სიმებიანი, ჩასაბერ ინსტრუმენტთა და ვოკალური განყოფილებები, გიტარის კლასი, მომღერალთა გუნდი (ხელმძღვ. პედაგოგი ლალი ჭიკაიძე) და ხალხური სიმღერისა და მგალობელ გოგონათა გუნდი, რომელსაც ნიჭიერი მუსიკოსი და ხატმწერი თამარ გურაშვილი უდგას სათავეში. მგალობელთა გუნდის პირველი აღზრდილები დღეს სხვადასხვა საეკლესიო გუნდებში გალობენ, ხოლო გოგონათა ფოლკლორული ანსამბლი „ნანილა", რომელიც ასევე ქ-ნ თამარის ყოფილი მოსწავლეებისგან შედგება, წარმატებულ საკონცერტო მოღვაწეობას ეწევა.

სკოლას უკვე მეოთხე წელია ახალი ხელმძღვანელობა უდგას სათავეში – სკოლის დირექტორი ქ-ნი ლიკა ჩხეიძე და სასწავლო ნაწილის გამგე, ცნობილი შემსრულებელი და კონცერტმაისტერი, კონკურსების არაერთგზის ლაურეატი ქ-ნი ლიკა ბახტაძე სასწავლებელში 1985 წლიდან ეწეოდნენ პედაგოგიურ მოღვაწეობას, ხოლო მას შემდეგ, რაც წინამორბედებისგან მართვის სადავეები გადაიბარეს, ახალგაზრდული ენერგიითა და შემართებით შეუდგნენ მუშაობას. მათი დამსახურება გახლავთ ის, რომ დღეს ერთ მუშტად შეკრული კოლექტივის ურთიერთობა გადაედო მოსწავლეებსაც და სკოლა ერთ დიდ ოჯახს წარმოადგენს. ახალი ხელმძღვანელობის მოღვაწეობის პერიოდში შესამჩნევად გაიზარდა ისეთ მოსწავლეთა რიცხვი, რომლებიც სკოლის დამთავრების შემდეგ სხვადასხვა სამუსიკო კოლეჯებსა და შემდგომ კონსერვატორიაში აპირებენ სწავლის გაგრძელებას. და იმის გამო, რომ სკოლას საუკეთესო პედაგოგები ჰყავს და შესანიშნავი მატერიალურ-ტექნიკური ბაზაც გააჩნია, დღის წესრიგში იპოლიტოვ-ივანოვის სახ. მე-6 სამუსიკო სკოლის ხელოვნების სკოლად გარდაქმნის საკითხი დადგა, რათა შემდგომი ეტაპი მოსწავლეებმა აქვე გაიარონ.

სკოლის ხელმძღვანელობის დიდ დამსახურებად უნდა ჩაითვალოს ისიც, რომ როგორც იქნა, უმაღლეს დონეზე გარემონტდა ძველი, სკოლისთვის ჯერ კიდევ 1948 წელს გადაცემული შენობა და დღეს მის კედლებსა და ეზო-ყურეში მოხვედრილი ადამიანი პირდაპირ აღფრთოვანებული დარჩება მშვენიერი შენობის ხილვით, რომელსაც ულამაზეს წალკოტში გედივით მოუღერებია ყელი.

სკოლა დაუფარავად ამაყობს თავისი მრავალფეროვანი ბიბლიოთეკითა და ფონოთეკით, რომელიც, პედაგოგების მონდომებითა და წყალობით, ახალ-ახალი ლიტერატურით ივსება.

სამუსიკო სკოლაში თანაბარი ყურადღება ეთმობა ყველა განყოფილებას, მაგრამ ყველაზე წარმატებულად მაინც საფორტეპიანო განყოფილება ითვლება, რომელსაც მუსიკოსი და ცნობილი პედაგოგი ვიტალი კლიაშტორნი უდგას სათავეში.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია სკოლის თეორიული განყოფილება და მისი გამგე, თავისი საქმის ნამდვილი პროფესიონალი ქ-ნი თამილა კარტოზია, რომლის ავტორობით გამოსული სახელმძღვანელო დიდი მოწონებითა და ავტორიტეტით სარგებლობს მუსიკოსთა წრეში. ქ-ნ თამილას თაოსნობით სამუსიკო სკოლაში ეწყობა თემატური საღამოებიც, რომელთაგან ორი მუსიკის ორ დიდ კლასიკოსს – იოჰან სებასტიან ბახსა და ვოლფგანგ ამადეუს მოცარტს მიეძღვნა.

სამუსიკო სკოლაში კიდევ ერთი მშვენიერი ტრადიცია არსებობს – უკვე რამდენიმე წელია, ყოველ გაზაფხულზე ტარდება საოცრად ლამაზი მუსიკალურ-ლიტერატურული საღამოები, რომელთაგან აღსანიშნავია ცნობილი საბავშვო პოეტის ქ-ნ დოდო ხიმშიაშვილი-ვადაჭკორიას საიუბილეო საღამო, რომლის მოწყობა-წარმართვაც მთლიანად ამ სკოლის ორმა პედაგოგმა, ნიჭიერმა მუსიკოსებმა: ქ-ნებმა როზი უჩანეიშვილმა და ლიკა ბახტაძემ ითავეს. საღამომ, რომელზეც საოცრად ჰარმონიულად შეერწყა ერთმანეთს ქართული სიტყვისა და კლასიკური მუსიკის მადლი, დიდად აღაფრთოვანა ქ-ნი დოდო და მოწვეული სტუმრები, ხოლო ერთ-ერთი მუსიკალურ-ლიტერატურული კომპოზიცია იმდენად წარმატებული აღმოჩნდა, რომ ქუთაისის მუსიკალური საზოგადოების მოთხოვნით, განმეორებით ქუთაისში ჩატარდა.

იპოლიტოვ-ივანოვის სახ. მე-6 სამუსიკო სკოლა რომ ოდითგანვე ქართული მუსიკის პროპაგანდისტად გვევლინება და დიდ როლს ასრულებს ეროვნული მუსიკალური ცნობიერების ჩამოყალიბებაში, აღარავისთვის წარმოადგენს საიდუმლოს. ჯერ კიდევ იმ წლებში, როდესაც ქართული ნაწარმოებების შესრულება და პროპაგანდა შეზღუდული იყო და გარკვეულ წრეებში ეთაკილებოდათ კიდეც, სკოლის ღვაწლმოსილი პედაგოგი დინა სამსონია თავდაუზოგავად ილვწოდა ამ სფეროში. დღეს მისი ტრადიციების ღირსეული გამგრძელებელი გახლავთ დამსახურებული პედაგოგი ქ-ნი მთვარიდა ყიფიანი, რომელიც არაერთი მშვენიერი წამოწყების სულისჩამდგმელი გახლავთ.

ქ-ნი მთვარიდას თაოსნობით მოწყობილი კონცერტებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია ალექსი მაჭავარიანის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო, რომელსაც კომპოზიტორის ვაჟი, ცნობილი მუსიკოსი და დირიჟორი ვახტანგ მაჭავარიანი, ოჯახის სხვა წევრები, საფრანგეთის, გერმანიის, დიდი ბრიტანეთისა და რუსეთის დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები და ელჩები მეუღლეებითურთ ესწრებოდნენ. ბ-ნმა ვლადიმერ ჩხიკვიშვილმა, ვისთვისაც ნამდვილი აღმოჩენა გახლდათ თბილისში იპოლიტოვ-ივანოვის სახ. სამუსიკო სკოლის არსებობის ფაქტი, კონცერტის შემდეგ აღფრთოვანება და მოწონება ვერ დაფარა და ყურადღება და თანადგომა აღუთქვა მეექვსესკოლელებს.

ქ-ნი მთვარიდას ნიჭის კიდევ ერთი გამოვლენა გახლავთ ყოველ გაზაფხულზე, ყვავილების დღეს მისი ნაქარგების გამოფენა და კლასის კონცერტი, რომელსაც, ტრადიციულად, უამრავი მნახველი და მსმენელი სტუმრობს.

სამუსიკო სკოლა წარმატებით ხვდება საიუბილეო თარიღს. სკოლაში ყოველწლიურად ტარდება ტრადიციული კონცერტები – კონკურსი ტექნიკური ნაწარმოების შესრულებაში კლასების მიხედვით „ფარდის მიღმა" (ჟიურის წევრები ვერ ხედავენ შემსრულებელს და ისე აფასებენ მის ნამუშევარს), საშობაო კონცერტი, საგაზაფხულო კონცერტი პირველკლასელთათვის „საჩუქარი დედას", შიდასასკოლო კონკურსი „მომავლის იმედი" სამ კატეგორიად და ორ ტურად, საანგარიშო და სიმფონიური კონცერტი, რომელზეც წლის ბოლოს გამორჩეული მოსწავლეები ორკესტრთან ერთად უკრავენ.

სკოლის აღსაზრდელები: ანი მაჭავარიანი, ფერიდე ენუქიძე, ნატო კვირიკაშვილი, ანი ტურაშვილი, ნინი კალანდაძე, სოფო და გიორგი მერებაშვილები, ეკა გელაშვილი, სოფო გელავა, სალომე კვარაცხელია, თამუნა ენუქიძე, ელენე ლალიაშვილი, ქეთი ჩხეიძე, ნატა ინაძე, გიორგი აროშვილი, თეონა და ქეთი ადეიშვილები, რომელთა დაოსტატებაზეც შესანიშნავი პედაგოგები: ქეთევან შამანაური, მთვარიდა ყიფიანი, ლიანა ნაკაშიძე, ვიტალი კლიაშტორნი, ლიკა ბახტაძე, როზი უჩანეიშვილი, თამილა კარტოზია, თამარ გურაშვილი, ლალი ჭიკაიძე, გულიკო ჯომარდიძე, ინგა მიქაძე, მეგი იობაშვილი, ზაზა სირაძე და სხვანი ილვწიან, მრავალი საქალაქო და რესპუბლიკური დათვალიერება-კონკურსების ლაურეატები და გამარჯვებულები არიან და კონცერტების ჩასატარებლად ლუთერანულ ეკლესიაშიც კი იყვნენ მიწვეულნი.



სკოლას სამომავლოდ მრავალი საინტერესო ღონისძიების ჩატარება აქვს განზრახული, რისთვისაც, როგორც ყოველთვის, დედაქალაქის მერიისა და მერიის კულტურის სამსახურის თანადგომის იმედი აქვს: „ბ-ნი გიგი უგულავას მხარდაჭერა და მერიის კულტურის სამსახურის უფროსის ნატა მაჩალაძისა და მისი მოადგილის ფატი დავითულიანის ყურადღება და პატრონაჟი რომ არა, მარტო ენთუზიაზმითა და შემართებით ბევრს ვერაფერს გავხდებოდით", – ამბობს სკოლის დირექტორი ქ-ნი ლიკა ჩხეიძე, რომელიც სამუსიკო სკოლის ხელმძღვანელობას წარმატებით უთავსებს მზრუნველი დედის ფუნქციებს და სამ ღირსეულ შვილს უზრდის სამშობლოს.





● ლიკა ჩხეიძე და ლიკა ბახტაძე მოსწავლეებთან ერთად

ჩვენ კი გვსურს, დავამატოთ – რომ არა სკოლის ხელმძღვანელობისა და პედაგოგიური კოლექტივის ერთიანობა და კეთილგანწყობა, იპოლიტოვ-ივანოვის სახელობის მე-6 სამუსიკო სკოლაში ძნელად თუ იქნებოდა ასეთი თბილი, შემოქმედებითი განწყობილება და წარმატებული სასწავლო პროცესი.

კვლავაც აღმასვლა ვუსურვოთ მუსიკის ჯადოსნურ სამყაროში მავალთ!

თამთა ყიფიანი

# არაჩვეულებრივ ფერთა პალიტრა

ნაციონალური შოუ-ინდუსტრიის ასოციაცია „ჯორჯიან სტაილ გრუპი" (GSG) ე. თაყაიშვილის სახელობის კულტურისა და ხელოვნების უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებმა 2004 წელს დააფუძნეს. ასოციაციამ მიზნად დაისახა საქართველოს ტრადიციული სახვითი მხატვრობის კულტურული მიმართულებების პროპაგანდა-პოპულარიზაცია, პერსპექტიული ახალგაზრდების შემოკრება და მათი შემოქმედების ფართო საზოგადოებისთვის წარდგინება, გარდა ამისა, სასწავლო-საგანმანათლებლო პრაქტიკის დანერგვა, რითაც ყველა მსურველი შეძლებს ამა თუ იმ არტ-ტრეინინგში მონაწილეობას.

უნივერსიტეტის პროფესორის, ნაციონალური შოუ-ინდუსტრიის ასოციაციის მხატვრული ხელმძღვანელის პროფესორ თემურ თურმანიძის კათედრასთან პროფესიონალი დიზაინერ-პედაგოგების ჯგუფი თანამშრომლობს, ნაწილი ასოციაციაშია გაერთიანებული. ესენი არიან – GS-გალერეის გენერალური დირექტორი, დიზაინერი ქეთი დარსაველიძე და არტ-დირექტორი, სასწავლო-შემოქმედებითი ჯგუფის ხელმძღვანელი, დიზაინერი ელენე ფიცხელაური.

პროფესორ თემურ თურმანიძის პროგრამის პარტნიორები არიან პარიზის მოდის ინსტიტუტი და პარიზის ამერიკული აკადემია. მათთან ერთად წელს დიდი სანახაობითი დეფილეს ორგანიზება იგეგმება.

რაც შეეხება ნაციონალური შოუ-ინდუსტრიის ასოციაციას, პროფესორ თემურ თურმანიძეს გული წყდება, რომ ამ წამოწყებას მეცენატები არ გამოუჩნდნენ და ყველაფერს საკუთარი ძალებით აკეთებდნენ. მისი გადმოცემით, ნიჭიერ მხატვარ-დიზაინერებს ელენე ფიცხელაურს და ქეთი დარსაველიძეს უკვე ჰქონდათ განვლილი შემოქმედებითი გზა და ახლა ასოციაციასთან თანამშრომლობით ახალი ასპარეზი გაეხსნათ. ისინი GS-გალერეის ფარგლებში ორგანიზებული ყველა გამოფენა-დეფილეს მთავარი მონაწილეები არიან.

დიზაინერი ელენე ფიცხელაური ხუთი წელი ი. ნიკოლაძის სახელობის სამხატვრო სასწავლებელში ქსოვილების მხატვრულ გაფორმებას ეუფლებოდა. შემდეგ სულხან-საბა ორბელიანის სახელობის პედაგოგიური უნივერსიტეტის სახვითი ხელოვნების კათედრაზე განაგრძო ცოდნის გაღრმავება. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ამავე კათედრაზე ასპირანტურაში ჩააბარა, თემა – „ქსოვილების მხატვრული დამუშავება". ამჟამად იგი ასწავლის კულტურის უნივერსიტეტის სანახაობის მხატვრული გაფორმება-დიზაინის კათედრასა და ილ. ჭავჭავაძის სახელობის საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის მოდელირება-დიზაინის კათედრაზე. აგრეთვე, მასთან ბატიკისა და თექის დამუშავების შესწავლა ყველა მსურველს შეუძლია GS-გალერეაში ორგანიზებულ არტ-ტრეინინგზე.

დიზაინერი უკვე სამი წელია არა მხოლოდ ტექსტილს ამუშავებს, არამედ მოდელირების სფეროშიც ავლენს თავის შესაძლებლობებს. მის კოლექციებში ფართოდაა წარმოდგენილი თექისა და ბატიკის სამოსი, სხვადასხვა აქსესუარები.

ბატიკა* ნატურალურ ქსოვილთან (აბრეშუმი, შიფონი) მუშაობას გულისხმობს, მაგრამ მსოფლიოში საღებავების ტექნოლოგიის დახვეწასთან ერთად შესაძლებელი გახდა ხელოვნური ქსოვილების დამუშავება. ელენე ფიცხელაურმა თავის ნაშრომზე მუშაობის პერიოდში საფუძვლიანად შეისწავლა ქსოვილისა და საღებავის ქიმიური ანალიზი მათი ურთიერთქმედების გამოკვლევის მიზნით, უფრო დაოსტატდა ცივი, ცხელი და შერეული ბატიკის დამუშავების ტექნიკაში. აგრეთვე, მოუწია კომპოზიციის კანონების საფუძვლიანი შესწავლა და ორნამენტული ნახატის ე.წ. ეთნიკური ანალიზი.



● ქეთი დარსაველიძე და ელენე ფიცხელაური

– ქართული ორნამენტი არაჩვეულებრივი ფერთა პალიტრით, რითმულობით, პლასტიკით გამოირჩევა, – აღნიშნავს საუბარში ელენე ფიცხელაური, – ეს უდიდესი განძია ჩვენი წინაპრების მიერ დანატოვარი, უნდა გავუფრთხილდეთ.

ქართველები უზადო გემოვნებით გამოვირჩევით და გვახასიათებს ინდივიდუალიზმის განცდა, რომელიც სამოსის შერჩევაში აისახება. ნებისმიერ საზოგადოებაში თექის და ბატიკის მომხმარებლები განსაკუთრებულად დახვეწილი გემოვნების, ესთეტიკური შეგრძნებების მატარებლებად ითვლებიან, რაც შემოქმედისგან დიდ ენერგიას და უნარის კონცენტრაციას მოითხოვს.

ქართველ საზოგადოებას დიზაინერ ელენე ფიცხელაურის ნამუშევრები შეეძლო ეხილა: ლაგუნა ვერაზე, ქარვასლაში, ექსპო-ჯორჯიაზე, კლუბ-რესტორან „ივერიაში", „16 რაუნდში" ორგანიზებულ დეფილეებზე. 2006 წლის ივნისში მის და მისტერ ამიერკავკასიის სილამაზის კონკურსში დიზაინერი ელენე ფიცხელაურის მამაკაცებისთვის შექმნილმა ბატიკის პერანგების კოლექციამ დიდი მოწონება დაიმსახურა და დიპლომით დაჯილდოვდა. სწორედ მაშინ გაეცნო პროფესორი თემურ თურმანიძე დიზაინერის ნამუშევრებს. იმჟამად ელენე ფიცხელაური არტ-სალონ „ქებაიასთან" თანამშრომლობდა.

2005 წ. 24 დეკემბერს რუსთაველის საზოგადოების საგამოფენო დარბაზში ორგანიზებულ გამოფენა-დეფილეზე დიზაინერები ელენე ფიცხელაური და ქეთი დარსაველიძე „ჯორჯიან სტაილ გრუპის" სახელით წარსდგნენ. GS-გალერეის პრეზენტაცია დიზაინერმა ქალბატონებმა სოცუზრუნველყოფის ფონდის თანამონაწილეობით ინვალიდი ბავშვებისთვის 2006 წლის მოლოცვით და მათი მხარდამჭერი საქველმოქმედო გამოფენით გახსნეს. ახლახანს კიდევ ერთ საქველმოქმედო გამოფენას უმასპინძლეს, სადაც თავიანთი შემოქმედება მზრუნველობამოკლებული ბავშვთა სახლის, „მომავლის სახლის" აღსაზრდელებმაც წარმოადგინეს. GS-გალერეის არტ-დირექტორი ელენე ფიცხელაური თვლის, რომ ასეთი აქციები სამომავლოდაც გაგრძელდება.

დიზაინერი ქეთი დარსაველიძე ჯერ კიდევ სამხატვრო აკადემიის პირველკურსელი იყო, როცა მხატვარ მაია წერეთლისგან მიიღო შემოთავაზება, თანამედროვე ხელოვნების საგამოფენო დარბაზში გამოფენაში მიეღო მონაწილეობა. თავდაპირველად ქეთი დარსაველიძემ ზეთის ნახატები და კომპოზიციები წარმოადგინა, შემდეგ კოლაჟებისა და პანოების შექმნაში გამოსცადა თავი, ხოლო სამხატვრო აკადემიის მესამე კურსიდან პენოპლასტის გამოყენებით თოჯინების შექმნა დაიწყო. ახლა ტანსაცმლის დიზაინსაც ქმნის. ფართო საზოგადოებას მისი ნამუშევრების ხილვა შეეძლო ჯგუფურ გამოფენებში: ქარვასლაში, ცისფერ გალერეაში, ლაგუნა-ვერაზე, ექსპო-ჯორჯიაში, „16 რაუნდში". 2001 წელს გაეროს ოფისში მისი პერსონალური გამოფენა მოეწყო. 2001-2005 წლებში ქეთი დარსაველიძე სამხატვრო სალონ „მუზას" ხელმძღვანელობდა. სწორედ მაშინ მიიღო მონაწილეობა კონკურსში „რუსკი სილუეტი" და ფინალისტის დიპლომით დაჯილდოვდა. 2004 წელს „ამიერკავკასიის ფეშენ ანსამბლეის" გრან-პრის მფლობელი გახდა საუკეთესო თეატრალური კოსტიუმების შექმნისათვის. მისი თოჯინა „მოხუცი ბერიკაცი" მოსკოვის მიხაილოვას მუზეუმში ინახება. ხუთი ნამუშევარი, ასევე თოჯინა, ინგლისელი ლორდის კერძო კოლექციაშია.

GS-გალერეის გენერალური დირექტორი ქეთი დარსაველიძე თავის მოღვაწეობას დიდი პასუხისმგებლობით ეკიდება. მას ხომ ახლა ყველა ორგანიზაციული საკითხის მოგვარება ეკისრება.

საერთაშორისო ასოციაცია „ქვილთის" ქართული წარმომადგენლობა აქტიურად თანამშრომლობს „ჯორჯიან სტაილ გრუპთან". მათ GS-გალერეაში სახელოსნო მოაწყვეს და მუდმივმოქმედ საგამოფენო დარბაზში პერმანენტულად ახალ-ახალი ნამუშევრები გამოაქვთ. კულტურის უნივერსიტეტში რეორგანიზაციის დაწყებამდე სტუდენტებს ასწავლიდნენ „ქვილთის" – ფერადი ნაჭრებით აწყობილი ზედაპირის ტექნიკას. „ქვილთის" ჯგუფის კოორდინატორის მხატვარ ირინა ლავრინენკოს გადმოცემით, ეს ტექნიკა ძალიან გავრცელებულია ევროპასა და ამერიკაში, ჩვენთან, სამწუხაროდ, – ნაკლებად. თუმცა, ქართულ მხატვრულ ფილმში „ვერის უბნის მელოდიები" ამ ტექნიკით შესრულებული საბნებია ნაჩვენები. საერთაშორისო ასოციაცია „ქვილთის" მიზანი სწორედ ამ საქმის პოპულარიზაციაა. ამიტომ GS-გალერეასთან თანამშრომლობა სამომავლოდაც გაგრძელდება.

ბ-ნი თემურ თურმანიძის თქმით, უკვე მარტიდან GS-გალერეაში ყველა მსურველს შეეძლება დეკორატიულ-მხატვრული ხელოვნების სხვადასხვა მიმდინარეობების: ბატიკის, თექის, ქვილთის, არტ-დეკორის, კოლაჟის, თოჯინების დამზადების, ფერწერის, ხატვის, გრაფიკისა და კომპოზიციების შესწავლა.

**თამარ წინწაძე**



თათა ხურცილავას და ზაზა [illegible]

ვულოცავთ შეუღლებას.
ვუსურვებთ ბედნიერებას,
უსაზღვრო სიყვარულს,
გამრავლებას და ხანგრძლივ სიცოცხლეს.



ეროვნული ბიბლიოთეკა

## ელეგანტურები რომ ვიყოთ...

ამბობენ, რომ ელეგანტურობა – ტანსაცმლისა და სამკაულის ტარების ხელოვნებაა. რა სიმაღლეზე ავიწიოთ საყელო, რომელი ღილი დავტოვოთ შეხსნილი, როგორ დავსხდეთ, ავდგეთ, გავიაროთ, როგორ დავიხუროთ ქუდი, ატაროთ ჩანთა – ყოველივე ეს უნდა შევიგრძნოთ, გამოვიყენოთ... თუმცა ამის უნარი ყველა ქალს როდი გააჩნია. ბევრი მათგანი ვერ გრძნობს ტანსაცმლის პლასტიკას, კოსტიუმის „განწყობას", ქალების გარკვეულ ნაწილს კი, მიუხედავად იმისა, რომ შესაბამისი აღნაგობა არ აქვს, გემოვნებით შერჩეულ ტანსაცმლის წყალობით, ნაკლის დაფარვა ნამდვილად ძალუძს.

თუ ქალს ლამაზი ფეხები აქვს, შეუძლია ნებისმიერი სიგრძისა და ფორმის ქვედაბოლოები ატაროს, მაგრამ, თუ ფეხები წვრილია, უმჯობესია, არ ჩაიცვას მოკლე ნაოჭებიანი კაბა, რადგან ასეთი ჩაცმულობა ფეხებს უფრო წვრილს გამოაჩენს. სქელფეხებიანმა ქალებმა კი გრძელი, ნაოჭებიანი კაბები უნდა ატარონ.

დიდმკერდიანმა ქალებმა უარი უნდა თქვან სხეულზე შემოტმასნილ ტანსაცმელზე, მკერდის არეში დაკერებულ ჯიბეზე, V-ს მსგავსი საყელო, ნაჭრის ვერტიკალური ნახატი და თავისუფალი ტანსაცმელი ვიზუალურად ამცირებს სხეულის ზომებს.

ქალები, რომელთაც პატარა მკერდი აქვთ, უნდა ერიდონ ვიწრო პულოვერებს, სვიტრებს. მით უფრო მეტად ნაოჭებით, ბაფთებით, ქოფრეთი შემკული ბლუზონები უნდა ატარონ. მაღალყელიან ქალბატონებს, პრაქტიკულად, ნებისმიერი საყელო და გულისპირი მოუხდებათ.

მხრებში მოხრილ სხეულს ზურგზე პატარა „კოკეტკა" და ნაოჭები დაუფარავს ნაკლს. შესაძლებელია, ასევე, ზურგისკენ გადასული „ლიპების" გამოყენება.

მსუქან ან წარმოსადეგ ქალებს სპეციალისტები მცირე ზომის დეტალებიანი ტანსაცმლის გამოყენებას ურჩევენ. სავსემკლავიანმა ქალბატონებმა კი სახელოებიანი ტანსაცმელი უნდა ატარონ – სახელოები ვიწრო არ უნდა იყოს.

მოკლედ, თუ გინდათ, რომ ლამაზად და ელეგანტურად გამოიყურებოდეთ, ამ რჩევების გამოყენება ნამდვილად გამოგადგებათ, სცადეთ და თავად დარწმუნდებით.

# სილამაზის გაკვეთილები

ამ ცოტა ხნის წინ ტელეეკრანებიდან საზეიმოდ გვაუწყეს, რომ ჩვენი დედაქალაქის ხა-ხელგანთქმულ პარფიუმერულ სალონებს კიდევ ერთი ცნობილი ბრენდი შეემატა, სადაც მრავალრიცხოვან ნელსაცხებელსა და სხვადასხვა კოსმეტიკურ საშუალებასთან ერთად, ხიზილალაზე დამზადებული სასწაულმოქმედი მალამოც გაიყიდება, რომლის ფასიც, თუ არ ვცდებით, სამ და ოთხნიშნა რიცხვებს შორის („ევროზეა“ საუბარი) მერყეობს.

გაგიხარია, თუ საშუალება გაქვს, რა სჯობს ხარისხიან (თანაც სასწაულმოქმედ) მალამოს, ახალშობილის ჩვილი კანივით რომ აქცევს უკვე ჭკნობაშეპარულ მობერებულ სახეს. მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენი მკითხველების უმრავლესობას მხოლოდ ბადრიჯნის ხიზილალაზე მიუწვდება ხელი და ისიც ყოველთვის არა. ამიტომ, ამჯერადაც ჩვენი ბებიებისა და დედების მიერ წლების მანძილზე გამოცდილ შინაურ საშუალებებს შემოგთავაზებთ, რომლებიც არანაკლები ეფექტურობით გამოირჩევა.

## კანის გამწმენდი და მათეთრებელი ნიღბები

**ბადრიჯნის** – სახეზე 20 წუთით გატარებული და კანგაცლილი ბადრიჯნის რბილობი ან ბადრიჯნის წვენში დასველებული ხელსახოცი დაიდეთ, 20 წუთის შემდეგ კი ოთახის ტემპერატურის წყლით ჩამოიბანეთ. ასე მოიქეცით ყოველდღე, ვიდრე სასურველ ეფექტს არ მიიღებთ. ეს ნიღაბი კარგად აშორებს პიგმენტურ ლაქებსაც.

**კიტრის** – შეუდარებელია ჭკნობაშეპარული კანისთვის. საშუალო ზომის გათლილი კიტრის ნახევარი წვრილ სახეხზე დახეხეთ, დაუმატეთ ერთი სუფრის კოვზი მდუღარე წყალი და ორი სუფრის კოვზი ზეითუნის ზეთი. ნიღაბი სახეზე 10-12 წუთით დაიდეთ, მერე კი ცივი წყლით ჩამოიბანეთ. წაისვით მკვებავი კრემი.

**კამის** – ერთ სუფრის კოვზ ახალდაკრეფილ წვრილად დაჭრილ კამას ერთი ჩაის კოვზი სიმინდის ზეთი და ერთი კვერცხის გული შეურიეთ. მიღებული მასა სახეზე 25 წუთით დაიდეთ, შემდეგ კი ანადუღარი თბილი წყლით ჩამოიბანეთ და მკვებავი კრემი წაისვით.

## გამაახალგაზრდავებელი ნიღაბი

ოთხი-ხუთი სუფრის კოვზი უცხიმო ხაჭო, ნახევარი ლიმონის წვენი ან ნახევარი კონა გატარებული ოხრახუში ერთმანეთში აურიეთ. მიღებული მასა სახეზე 15-20 წუთით დაიდეთ, მერე კი წყლით ჩამოიბანეთ და მკვებავი კრემი წაისვით.

## ნიღაბი მშრალი და უხეში კანისთვის

ერთი სუფრის კოვზი ზეითუნის ზეთი, ერთი სუფრის კოვზი პურის ფქვილი და კარგად ათქვეფილი ერთი კვერცხის გული ერთმანეთში აურიეთ. დაიდეთ სახეზე 20 წუთით, შემდეგ კი თბილი წყლით ჩამოიბანეთ და მკვებავი კრემი წაისვით.



## ნიღაბი მოდუნებული კანისთვის

ერთი კვერცხის კარგად ათქვეფილ ცილას შეურიეთ ხუთი წვეთი ლიმონის წვენი. მიღებული მასა (თვალებისა და ტუჩის მიდამოების გარდა) სახეზე 5 წუთით წაისვით, შემდეგ კი ზემოდან მეორე ფენა გადაისვით და ახლა 10 წუთით გაიჩერეთ. ჩამოიბანეთ ოთახის ტემპერატურის წყლით. წაისვით მკვებავი კრემი.

## ნიღაბი ფორებიანი კანისთვის

ერთი კვერცხის კარგად ათქვეფილი გული, ერთი სუფრის კოვზი ზეითუნის ზეთი, ერთი სუფრის კოვზი შვრიის ფქვილი (შეგიძლიათ დაფქვილი „ჰერკულესით“ შეცვალოთ) და ხუთი წვეთი ლიმონის წვენი ერთმანეთში კარგად აურიეთ. დაიდეთ სახეზე 20 წუთით, შემდეგ თბილი წყლით ჩამოიბანეთ და მკვებავი კრემი წაისვით.

# კულინარია



## კარტოფილისა და სიმინდის სალათი

**მასალად საჭიროა:** 100 გრამი კარტოფილი, 80 გრამი მოხარშული ან დაკონსერვებული სიმინდი, 1 კონა მწვანე ხახვი, 1 სუფრის კოვზი ზეთი, 1 სუფრის კოვზი ძმარი, 1/2 ჩაის კოვზი შაქრის ფხვნილი, მარილი, პილპილი.

**მომზადების წესი:**

კარტოფილი კანიანად მოხარშეთ, შეაგრილეთ, კანი გააცალეთ და კუბიკებად დაჭერით. დაუმატეთ სიმინდი, ზეთი, ძმარი, მარილი, შაქრის ფხვნილი, პილპილი და კარგად აურიეთ. გადაიტანეთ სასალათეში და ზემოდან წვრილად დაჭრილი მწვანე ხახვი მოაყარეთ.

## ტორტი „სტუდენტური“

**მასალად საჭიროა:**

1 კილოგრამი თაფლაკვერა („პრიანიკები“), 1 ქილა შესქელებული რძე, 200 გრამი კარაქი ან მარგარინი, 3 სუფრის კოვზი შვრიის ფანტელი („ჰერკულესი“).

**მომზადების წესი:**

თაფლაკვერა მსხვილ სახეხზე დახეხეთ, დაუმატეთ ნებისმიერი ტიპის (შოკოლადის, კაკაოს ან მოხარშული) შესქელებული რძე, შერბილებული კარაქი ან მარგარინი და ტაფაზე მოხალული შვრიის ფანტელი.

ყველაფერი კარგად აურიეთ. თუ სურვილი გაქვთ, დანის წვერით დარიჩინი ან 3 სუფრის კოვზი კაკაო დაუმატეთ. მიღებული მასა ჭურჭელში გადაიტანეთ და მთელი დღე-ღამით მაცივარში შედგით.



## ბოსტნეულის ტორტი-სალათი

**მასალად საჭიროა:**

2 ცალი მოხარშული კარტოფილი, 1 თალგამი ან 5-6 ცალი მოზრდილი ბოლოკი, 2 ვაშლი, 1 ცალი მოხარშული ჭარხალი, 2 სტაფილო, 1 მოხარშული კვერცხი, 1 ქილა მაიონეზი, მარილი გემოვნებით.

**მომზადების წესი:**

ლანგარზე ფენა-ფენა მოაწყვეთ: სახეხზე დახეხილი კარტოფილი, თალგამი ან ბოლოკი, ჭარხალი, ვაშლი, წვრილ სახეხზე დახეხილი უმი სტაფილო. თითოეულ ფენას მაიონეზი მოუსვით და მარილი მოაყარეთ. ზემოდან დაჭრილი კვერცხით მორთეთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა







მასალა
იხ. 38-ე
გვერდზე



# GS-გალერეა

ინდექსი 76178

ეროვნული ბიბლიოთეკა



ხ76/18